

„სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის“ ფაკულტეტი;
2018 - 2023 წწ განხორციელებული სამეცნიერო სამუშაოები (წლების მიხედვით)

მონოგრაფია / სახელმძღვანელო

1. ავტორები - მერაბ შვანგირაძე, ოთარ მაგლობლიშვილი, ქეთევან ინაშარიძე;

სათაური - „თერმო ჭრის საფუძვლები“;

გამოცემის ადგილი და გამომცემლობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2018; - საერთაშორისო სტანდარტული კოდი - CD 4725.

მოკლე ანოტაცია: მასალების ცხელ მდგომარეობაში ჭრით დამუშავების იდეა ჩამოყალიბდა და განვითარდა XX საუკუნის მეორე ნახევარში, რაც ძირითადად გამოწვეულია ფოლადებისა და შენადნობების მზარდი ფიზიკო-მექანიკური თვისებებით. განსაკუთრებული სირთულეები იქმნება მეტალურგიულ წარმოებაში სამსხმო ქერქის დამუშავებისას, რომლის თვისებები აჭარბებს ძირითადი ლითონის თვისებებს. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრაზე მასალების ცხელ მდგომარეობაში დამუშავებას, ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიეძღვნა მრავალი კვლევითი სამუშაო. შედეგად, ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი ტრადიციები და კვლევების ამ მიმართულებით კათედრა ერთ-ერთ მოთავე ორგანიზაციად იქცა. სახელმძღვანელოში მოყვანილია მეცნიერების მრავალწლიანი კვლევითი სამუშაოების შედეგები, რომლებიც სასწავლო კურსის სახით არის გადმოცემული. სახელმძღვანელო განკუთვნილია სპეციალობის: "მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია" მაგისტრანტების და დოქტორანტებისთვის.

2. ავტორი - მერაბ შვანგირაძე;

სათაური - „კომპოზიტური მასალებისგან ნაკეთობის მიღების ტექნოლოგიები“;

გამოცემის ადგილი და გამომცემლობა - საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი - 2020 წ. - საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN - უაკ 72:726:725.

მოკლე ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია პოლიმერულ-კომპოზიტური მასალების მიღების ტექნოლოგიები, მათი სტრუქტურა და შემადგენლობა, არმირების მასალების ფუნქცია. მოყვანილია მათი სახეობები და ახსნილია გავლენა მასალის მექანიკურ თვისებებზე. წარმოდგენილია მატრიცების ანუ შემკვრელების დანიშნულება მათი ნაირსახეობა. მოყვანილია მონაცემები კომპოზიტური მასალების გამოყენების შესახებ ტრანსპორტში, ენერგეტიკაში. წიგნი განკუთვნილია ტექნიკური დარგის უმაღლესი სასწავლებლების მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის და საავიაციო ინჟინერიის სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის და შედგენილია სასწავლო დისციპლინის „კომპოზიტური მასალებისგან ნაკეთობის მიღების პროცესები“ სილაბუსის შესაბამისად.

3. ამყოლაძე ხათუნა, ქირია ვაჟა;

სათაური - ტექნოლოგიური მანქანების კვლევა, გამოცდა, ექსპლუატაცია და რემონტი;

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2018 - ISBN 978-9941-28-014-6 (PDF)

მოკლე ანოტაცია: განხილულია ტექნოლოგიური მანქანების გამოცდის, კვლევის, ექსპლუატაციის, რემონტის და მოდერნიზაციის საკითხები. მოყვანილია ლითონ საჭრელი ჩარხების ცალკეული დეტალების სიზუსტის გაზომვის მეთოდები. აღწერილია საზომ-საკონტროლო მოწყობილობები და სამარჯვები, მათი მუშაობის პრინციპები და გამოყენების მეთოდები. განხილულია ლითონსაჭრელი ჩარხების ცალკეული დეტალების აღდგენარემონტის მეთოდები, ზოგიერთი კვანძის რეგულირების მეთოდები.

4. ამყოლაძე ხათუნა

სათაური - რხევების გამოყენებითი თეორია

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2018 ISBN 978-9941-28-150-1 (PDF)

მოკლე ანოტაცია: განხილულია მექანიკურის სისტემების რხევების სახეები და მანქანათა დინამიკა, ძირითადი მათემატიკური მოდელები და მათი ამოხსნის მეთოდები წრფივი, პარამეტრული და არაწრფივი მახასიათებლის შემთხვევაში, დეტერმინირებული და შემთხვევითი დატვირთვების მოქმედების დრო. მოცემულია აგრეთვე თავისუფლების მრავალი ხარისხის მქონე და განაწილებული სისტემების რხევების საფუძვლები. მაგალითების სახით მოყვანილია საფრენი აპარატების, ჩარხების და ვიბრაციული მანქანების ძირითადი კვანძებისა და ნაწილების რხევების აღწერა და მიმოხილვა.

5. ამყოლაძე ხათუნა, მჭედლიშვილი თამაზ;

სათაური - ჩარხების დინამიკა

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2018 ISBN 978-9941-28-015-3 (PDF)

მოკლე ანოტაცია: განხილულია ჩარხების დინამიკის ძირითადი საკითხები: დრეკადი სისტემების, ჭრის პროცესების, ბრუნვითი მოძრაობების, ამძრავთა გარდამავალი პროცესების ძირითადი მახასიათებლები, ფრიქციული ავტორხევები და რხევები; აგრეთვე რთულ-პროფილიანი დეტალების დამამუშავებელი კონკრეტული საჩარხო სისტემების დინამიკის მათემატიკური მოდელების აგების საკითხები; მოყვანილია ჩარხების დინამიკური მახასიათებლების განსაზღვრის მეთოდები.

6. ხ. ამყოლაძე, თ. მჭედლიშვილი, ბ. ნავროზაშვილი, ვ. ქირია.

სათაური - მანქანებისა და ხელსაწყოების ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2018 - ISBN 978-9941-28-037-5 (PDF)

მოკლე ანოტაცია: მოცემულია მეცნიერული კვლევებისა და დაპროექტების მანქანახელსაწყოების ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. განხილულია პარამეტრები სადამაჩვენებლების შერჩევისა და სისტემატიზაციის, მათემატიკური მოდელებისა და საკონსტრუქტორო გადაწყვეტილების ოპტიმიზაციის საკითხები.

7. ო. რუხაძე, ხ. ამყოლაძე, ვ. ქირია

სათაური - ლითონ საჭრელი ჩარხები და საჩარხო მოწყობილობები. (მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად)

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2019 - ISBN 978-9941-28-387-1 (PDF)

მოკლე ანოტაცია: მეთოდიკური მითითებები სტუდენტს საშუალებას მისცემს წინასწარ გაეცნოს ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების მეთოდიკას. წიგნში განხილულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა ლაბორატორიული სამუშაო ლითონსაჭრელი ჩარხების ლაბორატორიაში არსებული მოწყობილობებისა და მზომი იარაღების შესაბამისად.

8. ვ. ქირია, ზ. მჭედლიშვილი.

სათაური - ამძრავთა ელექტრომექანიკური სისტემები.

დამხმარე სახელმძღვანელო. 2019 წ. სტუ - ISBN 978-9941-28-531-8 (PDF).

მოკლე ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემულია თანამედროვე ავტომატიზებულ წარმოებაში გამოყენებული ელექტრომექანიკური ამძრავები – განხილულია მათი თავისებურებები და კვლევის მეთოდები. კვლევებისათვის გამოყენებულია კომპიუტერული პროგრამა მატლაბ-ის შიმულინგპაკეტი. ნაჩვენებია ელექტრომექანიკური ამძრავების მექანიკური, ელექტრული-წილებისა და მართვის სისტემების კვლევისა და სიმულაციის მაგალითები. გამოცემა განკუთვნილია მექანიკის ინჟინერიის პროგრამის სტუდენტებისათვის.

9. ზ. ღვინიაშვილი, ვ. ქირია.

სათაური - მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად CNC ჩარხების პროგრამირებაში Inventor HSM-ის გამოყენებით.

2019 წ. სტუ - ISBN 978-9941-28-534-9 (PDF)

მოკლე ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია Inვენტორ HSM-ის გამოყენებით პროგრამული მართვის ჩარხებისათვის პრო-გრამების შექმნის მაგალითები. მეთოდური სამუშაო განკუთვნილია მექანიკის ინჟინერიის სტუდენტებისათვის.

10. ვ. ქირია, ზ.ჯაფარიძე.

სათაური - ჰიდრო და პნევმო ამძრავები, დამხმარე სახელმძღვანელო.

2019 წ - სტუ -ISBN 978-9941-28-533-2 (PDF)

მოკლე ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია ჰიდრავლიკური და პნევმატიკური ამძრავების დანიშნულება, გამოყენების სფეროები, შემადგენელი ელემენტები. მოცემულია ცალკეული ელემენტების მოქმედების პრინციპები, სტრუქტურული აღნიშვნები და კონსტრუქციულითავისებურებები. გამოცემაგანკუთვნილიასატრანსპორტოდა მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

11. ვ. ქირია

სათაური - მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად მიკროპროცესორულ ტექნიკაში.

2019 წ. სტუ - ISBN 978-9941-28-532-5 (PDF)

მოკლე ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია პნევმატიკური სისტემების მართვისათვის ელექტრონული და მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენების მაგალითები. ლაბორატორიულ სამუშაოებში გამოყენებულია პროგრამა პნევმატიკური, ელექტრული და ალგორითმული დიაგრამების ასაგებად.

12. ვ.ქირია, ზ.მჭედლიშვილი.

სათაური - ამძრავთა ავტომატიზებული ელექტრომექანიკური სისტემები, მეთოდური მითითებები ლაბორატორიებისათვის.

2020 წ. სტუ - ISBN 978-9941-28-557-8 (PDF)

მოკლე ანოტაცია: განხილულია თანამედროვე ავტომატიზებულ საწარმოებში გამოყენებული ელექტრომექანიკური ამძრავების სტრუქტურული სქემები. მოცემულია მოდელირების მეთოდები Matlab-Shimulik-ის გამოყენებით. ასევე განხილულია ელექტრომექანიკური ამძრავების მართვის სისტემების მოდელირების მაგალითები.

13. ავტორი /ავტორები/;დავით ბუცხრიკიძე

სათაური; დამხმარე სახელმძღვანელო: ტექნოლოგიური პროცესები მანქანათმშენებლობაში

გამოცემის ადგილი და გამომცემლობა; 2020 <http://www.gtu.ge/publishinghouse/>

საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN.ISBN 978-9941-28-770-1

მოკლე ანოტაცია : სახელმძღვანელოში განხილულია შრომის კანონმდებლობის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი საკითხები. მიზეზ - შედეგობრივადაა გაანალიზებული საწარმოში შესაძლო, საფრთხის შემცველი და მავნე ფაქტორები, მათი თავიდან აცილების მეთოდები, საშუალებები და მოწყობილობები, აგრეთვე განხილულია მომუშავეთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

14. ავტორი /ავტორები/;დავით ბუცხრიკიძე

სათაური; მეთოდური მითითებები: ნაშხადების დაპროექტება და წარმოება გამოცემის ადგილი და გამომცემლობა;

2018 <http://www.gtu.ge/publishinghouse/>

საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN.ISBN 978-9941-28-768-8

მოკლე ანოტაცია: მეთოდურ მითითებებში „ნამზადების დაპროექტება და წარმოება“ პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად მოცემულია წარმოების სხვადასხვა ტიპის პირობებში მანქანათა დეტალების ნამზადების მიღების მეთოდების შერჩევის ზოგადი რეკომენდაციები, შერჩევის თანმიმდევრობა, მექანიკური დამუშავებისას ნამატთა დანიშვნის მეთოდები სხმულების, ნაჭედებისა და შტამპვით მიღებული ნამზადებისათვის.

15. ავტორი /ავტორები/; დავით ბუცხრიკიძე

სათაური - დამხმარე სახელმძღვანელო: დამხმარე სახელმძღვანელო: მასალები და ნამზადები საიარალო წარმოებაში

გამოცემის ადგილი და გამომცემლობა; 2018 <http://www.gtu.ge/publishinghouse/>

საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN.ISBN 978-9941-28-768-8

მოკლე ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემულია ლითონსაჭრელი იარაღების მასალების ჯგუფები, მჭრელი იარაღების ტექნოლოგიური კლასიფიკაცია, ნამზადების სახეები და მათი მიღების მეთოდები; აღწერილია მოსამზადებელი ოპერაციები ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით: ნაგლინის სწორება, ნამზადების დაჭრა, ტექნოლოგიური ბაზების მომზადება, ჭედვა და შტამპვა, ჩამოსხმა, შედუღება სხვადასხვა მეთოდით, სწრაფმჭრელი ფოლადისა და ლითონკერამიკული სალი შენადნობის მჭრელი ფირფიტების მირჩილვა, შეერთება შეწყობებით და სხვ.

16. ნია ნათბილაძე

სათაური - სამრეწველო პროდუქციის ბრენდი და საფირმო სტილი. ელ.რესურსი

2020 წ. გვ.58 ; 659.1(076) / CD-6294;

მოკლე ანოტაცია: მეთოდური მითითებებში მიმოხილულია სამრეწველო პროდუქციის ბრენდის მოდელირების, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავების მეთოდები, საჭირო მონაცემების შეგროვების, განმარტებისა და მათ გაანალიზების გზები, საფირმო სტილის ძირითადი ელემენტები და მახასიათებლები, განხილულია ბრენდის შექმნაში მარკეტინგისა და პიარის სპეციალისტების როლი. განკუთვნილია სამრეწველო ინჟინერიის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. აგრეთვე დააინტერესებს იმ პირებსაც, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია პოლიგრაფიულ მრეწველობასთან.

17. ნია ნათბილაძე

სათაური - ვექტორული პროგრამის თავისებურებანი

Corel DRAW. ელ. ვერსია.

2019 წ. გვ.151 004.92, 7 / CD-5251

მოკლე ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია ვექტორული პროგრამის თავისებურებანი, მუშაობის ძირითადი პრინციპები და ნაჩვენებია, რომ ვექტორულ გრაფიკულ პროგრამებს შორის აღნიშნული პროგრამა რაოდენ საინტერესოდ ითვლება . აღწერილია ფერი, ფერის სიღრმე და ფერთა მოდულების დატვირთულობა, აგრეთვე გრაფიკული ფაილების ფორმატები.

18. ნია ნათბილაძე

სათაური - სარეკლამო პროდუქციის კონსტრუირება და გაფორმება advertising products.

2018წ. გვ.86 CD-5350 ლექციების კურსი.

მოკლე ანოტაცია: სალექციო კურსში მიმოხილულია სამრეწველო პროდუქციის ბრენდის მოდელირების, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავების მეთოდები, საჭირო მონაცემების შეგროვების, განმარტებისა და მათ გაანალიზების გზები, საფირმო სტილის ძირითადი ელემენტები და მახასიათებლები, განხილულია ბრენდის შექმნაში მარკეტინგისა და პიარის სპეციალისტების როლი. განკუთვნილია სამრეწველო ინჟინერიის ბაკალავრიატის

სტუდენტებისათვის. აგრეთვე დააინტერესებს იმ პირებსაც, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია პოლიგრაფიულ მრეწველობასთან.

19.ნია ნათბილაძე

სათაური - პოლიგრაფიული მოძრავი მექანიკური სისტემების ანალიზი

2018წ; გვ. 216; CD-5351 - ლექციების კურსი.

მოკლე ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია რამდენიმე თავისუფლების ხარისხის მქონე იძულებითი მოძრაობის ამოცანები, ასევე სასურველი მექანიზმების მიმართ წაყენებული მოთხოვნები. გაანალიზებულია გეომეტრიული გარდაქმნების ზუსტ პრინციპებზე შექმნილი მექანიზმები და მათი სტრუქტურული სქემები, რაციონალური მუშაობის პრინციპები. ფუნქციური დანიშნულების საფუძველზე აღწერილია მათი კლასიფიკაცია და გამოყენების სფეროები. ნაშრომი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო დარგის სპეციალობების მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის.

20. ნია ნათბილაძე

სათაური - შესავალი საინჟინრო სპეციალობაში/ Introduction to the engineering profession..

2020წ; გვ.135 62 / CD-6097;

მოკლე ანოტაცია: სალექციო კურსში აღწერილია საინჟინრო საინჟინრო საქმიანობის წარმოშობა, მისი არსი და ფუნქციები. ინჟინრის ადგილი სოციალური წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში. საინჟინრო კრეატივის ჩამოყალიბება. გადმოცემულია სამრეწველო ინჟინერიის დარგი, რომელიც მოიცავს ხალხის, ფულის, ცოდნის, ინფორმაციის, აღჭურვილობის, ენერჯის, მასალების და პროცესების ინტეგრირებული სისტემების დაგეგმვას, გაუმჯობესებასა და კვლევას. სალექციო კურსი განკუთვნილია შესაბამისი დარგის ბაკალავრის საფეხურის სტუდენტებისათვის.

21. ნია ნათბილაძე

სათაური - პოლიგრაფიულ საწარმოთა დაგეგმარების საფუძვლები

2020წ. გვ.186 655 / CD-6096 ლექციების კურსი

მოკლე ანოტაცია: სალექციო კურსში მიმოხილულია პოლიგრაფიული საწარმოს დაარსების მიზანი და ამოცანები, პოლიგრაფიული წარმოების ორგანიზაციის დაგეგმვისა და მენჯმენტის საკითხები. პოლიგრაფიული საწარმოს არსი და მისი ძირითადი მახასიათებლები. საწარმოთა ტიპები პოლიგრაფიულ მრეწველობაში. საგამომცემლო - პოლიგრაფიული კომპლექსის ცნება. საგამომცემლო-პოლიგრაფიული ციკლი. ყურადღებაა გამახვილებული წარმოების ინფრასტრუქტურის ორგანიზაციასა და საწარმოს რესურსული უზრუნველყოფაზე, წარმოების ტექნიკურ მომზადების შინაარსსა და ამოცანებზე.

22. ნია ნათბილაძე

სათაური - სამრეწველო საწარმოთა პროცესების ავტომატიზაციის საფუძვლები

2020წ. გვ 141; 658.5 / CD-609

მოკლე ანოტაცია : სალექციო კურსში აღწერილია ზოგადი ცნობები სამრეწველო ინჟინერიაში ავტომატიზირებული საწარმოს ძირითადი მოთხოვნები, შრომის უსაფრთხოების წესები და ნორმატივები, საინჟინრო შრომა და წარმოების განვითარება, სამრეწველო ავტომატიზაციის განვითარების ეტაპები და მოქნილი ავტომატიზირებული ტექნოლოგია, მისი ტენდენციები

23. ნია ნათბილაძე

სათაური - პოლიგრაფიული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების, კონტროლისა და რემონტის საფუძვლები

2020 წ. გვ.147; 655 / CD-6100 ლექციების კურსი

მოკლე ანოტაცია: სალექციო კურსში აღწერილია პოლიგრაფიული მოწყობილობების მომსახურების თავისებურებები და კლასიფიკაცია. მომსახურების სფეროს მრავალფეროვანება. სერვისული კონტაქტები და მათი სტრუქტურული ზეგავლენა, მომსახურების საწარმოს სტრუქტურა, მომსახურების გაწევის მეთოდები და პროექტირების ზოგადი მიმოხილვა. ბეჭდვის კონტროლი, უსაფრთხოების გადაწყვეტილებები და ბეჭდვის ნებართვა. კურსი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიგრაფიული სფეროს საგანმანათლებლო პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის.

24. ნია ნათბილაძე

სათაური - თეორია და რეკლამის პრაქტიკა

2020წ. გვ.45. 659(076) / CD-6296

მოკლე ანოტაცია: მეთოდური მითითებები განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთათვის. მასში მოცემული მასალა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, ამ სფეროთი დაინტერესებულ ყველა პირს.

მეთოდურ მითითებებში აღწერილია რეკლამის თვისებები, მრავალფუნქციურობა, დანიშნულება, მისი გამოყენების სფეროები მაგალითების დადასტურებით. განხილულია რეკლამის კონსტრუირების თავისებურებანი და პრობლემების გადაჭრის გზები. აგრეთვე, ნაჩვენებია დიზაინერის კრეატიულობა რეკლამებში და მისი გონებრივი საქმიანობა.

25. ნია ნათბილაძე

სათაური - პოლიგრაფიულ საწარმოთა დაგეგმარების მეთოდები

2020წ. გვ. 32 655(076) / CD-6293; მეთოდური მითითებები.

მოკლე ანოტაცია: მეთოდური მითითებები განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის, პოლიგრაფიული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის. მასში მოცემული მასალა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, ამ პოლიგრაფიის სფეროში დაინტერესებულ ყველა პირს. ნაშრომში აღწერილია ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესები პოლიგრაფიულ წარმოებაში, განსაზღვრულია პროექტირების არსი ახალი წარმოების დაგეგმარების შემუშავებისას, პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგიური პროექტის შემუშავების თანამიმდევრულობა. განხილულია დაგეგმარების პრაქტიკული დავალებები, კერძოდ, სამუშაოს მიზანი, ამოცანები, შინაარსი, თეორიული საფუძველი და სამუშაოს შესრულების თანამიმდევრულობა.

26. ირინე უგრეხელიძე - სათაური - ჰარმონიული პროპორცია ოქროს კვეთა

(დამხმარე სახელმძღვანელო); საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ უაკ 72.013 ISBN9789941-28-505-9 (2019 წ).

მოკლე ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში „ჰარმონიული პროპორცია ოქროს კვეთა“ განხილული და გაანალიზებულია, რომ ოქროს კვეთა არის უნივერსალური წესი, რომელიც ყველაფერზე ვრცელდება. გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ოქროს კვეთის გამოხატვა ბუნებაში, მუსიკაში, ადამიანის აგებულებაში, ფერწერაში, ქანდაკებაში, არქიტექტურაში, ფოტოგრაფიაში, რეკლამაში, წიგნის დაკაბადონების პროცესში და ა. შ.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც სტუდენტებისთვის, ისე სხვადასხვა ასაკის ადამიანისათვის, მათთვის, ვისაც აინტერესებს ეს ჯადოსნური, ღვთიური პროპორცია, რომელიც თან ახლავს ყოველივე ცოცხალს.

27. ირინე უგრეხელიძე - სათაური - ტექნიკური რედაქტორის ცნობარი

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ უაკ (031):0255ISBN978-9941-28-569-1 (2020წ)
მოკლე ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია საკითხები, რომლებიც ეხება ტექნიკურ რედაქტირებას, იმ შემთხვევისათვის, როდესაც შეკვეთა მიდის უშუალოდ სტამბაში; მოცემულია სხვადასხვა ნორმატიული ინსტრუქცია, რომელიც განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. წიგნი განკუთვნილია მომავალი და მოქმედი ტექნიკური რედაქტორებისათვის.

28. ზ. ბალამწარაშვილი, ზ. ჩიტბე, თ. მჭედლიშვილი, რ. ტყემალაძე

სათაური - ტყეკაფითი სამუშაოების ტექნოლოგია, მანქანები და ორგანიზაცია (IV ნაწილი)

თბილისი, 2021წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/GTU (ელ. ვერსია) - უაკ 630. 0. 36

ანოტაცია: სახელმძღვანელოში მოცემულია ტყეკაფზე მერქნის დატვირთვის მანქანების, მოწყობილობებისა და მექანიზმების დახასიათება და მუშაობის პრინციპი, განხილულია ტყეკაფების ნარჩენებისაგან გაწმენდის ტექნოლოგია, ნარჩენების გამოყენების სახეები და მათი გადამუშავების მანქანა-დანადგარების დახასიათება; დამუშავებულია გაჩეხილ ტყეკაფებზე ტყის აღდგენის ტექნოლოგია, ხერხები და მათი გამოყენების პირობები, ტყის აღდგენისათვის საჭირო მანქანების, აგრეგატების, იარაღებისა და აპარატების დახასიათება და მუშაობის პრინციპი; დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ტყეკაფითი სამუშაოების პროექტირების და ორგანიზაციის საკითხებს, მათ შორის სტრუქტურასა და შემადგენლობას, ტექნოლოგიური პროცესის აგების საერთო პრინციპებს, შრომის ორგანიზაციის ფორმებს და მეთოდებს; გამახვილებულია ყურადღება ტყის ხანძრების ჩაქრობაზე, ხანძრებისაგან დაცვის ორგანიზაციაზე, ხანძრების გამოვლენასა და აცილებაზე, აგრეთვე ტყის ხანძრების ჩასაქრობ ინსტრუმენტებსა და მოწყობილობებზე. სახელმძღვანელო განკუთვნილია საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერიის და ტექნოლოგიის“ სპეციალობების ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

29. ზ. ბალამწარაშვილი, ზ. ჩიტბე, რ. ტყემალაძე, ლ. გიგინეიშვილი, დ. მოსულიშვილი;

სათაური - სატყეო მანქანები და მორსათრევი აგრეგატები - (I ნაწილი) 2021

თბილისი, 2021წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/ GTU (ელ. ვერსია) უაკ 630. 0. 36

ანოტაცია: სახელმძღვანელოში განხილულია მთიან ტყეკაფებზე მომუშავე ტყის მანქანები, ნაჩვენებია მათი საწვეი თვისებების თეორიული ანალიზი; დიდი ყურადღება ეთმობა მუხლუხა ტრაქტორების საერთო დინამიკის შესწავლას; მაღალ დონეზეა წარმოდგენილი გამოკვლევები ტყის მანქანებისა და მორსათრევი აგრეგატების მდგრადობისა და გამავლობის შესასწავლად; ჩატარებულია მორსათრევი აგრეგატების ძარა-ისრის მექანიზმების სტრუქტურული კვლევები; ჩატარებულია აგრეთვე საწევ-საექსპლუატაციო გამოკვლევები და დადგენილია მორსათრევი აგრეგატის ჯალამბრის წვეის ძალისა და სიმძლავრის სიდიდეების მნიშვნელობები; მიღებულია ექსპერიმენტული კვლევების მასალები ტყეკაფზე მორსათრევის ხერხების მიხედვით ტყის გარემოზე ეკოლოგიური შეფასებისათვის მანქანა-დანადგარების ზეგავლენის ხარისხის დასადგენად; სახელმძღვანელო განკუთვნილია ძირითადად სატყეო-საინჟინრო სპეციალობის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, რაც მათ დაეხმარება სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომებზე მუშაობის დროს;

30. ზ. ბალამწარაშვილი, ზ. ჩიტბე, რ. ტყემალაძე, დ. მოსულიშვილი, მ. ახვლედიანი

სათაური - ტყესაკაფი სამუშაო პროცესების ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგია და განივგადასატანი საბაგრო მორსათრევი დანადგარები - (II ნაწილი)

თბილისი, 2021წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/GTU (ელ. ვერსია) - უაკ 630. 0. 36

ანოტაცია: სახელმძღვანელოს „ტყესაკაფი სამუშაო პროცესების ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგია და განივგადასატანი საბაგრო მორსათრევი დანადგარები“ II ნაწილში განხილულია საბაგრო მორსათრევი დანადგარები, დანადგარების სისტემები და სისტემების ელემენტები; მოცემულია მზიდი ბაგირის ანგარიში დიდი და მცირე ისრებით, აგრეთვე

განალიზებულია მზიდი ბაგირის ჩაკიდულობის და დაჭი-მულობის გაანგარიშების ჯაჭვური ხაზის და პარაბოლის მეთოდები; ჩამოყალიბებულია მორსათრევი საბაგრო დანადგარის ძირითადი პარამეტრების გაანგარიშების თავისებურებები; წარმოდგენილია ახალი მორსათრევი საბაგრო დანადგარების სქემური და კონსტრუქციული გადაწყვეტილებები; დამუშავებულია განივგადასატანი საბაგრო მორსათრევი დანადგარის საწევ-საექსპლოატაციო გაანგარიშების და მისი მზიდი ბაგირის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები; მოცემულია ტყეკაფითი სამუშაო პროცესების ეკონომიკური გაანგარიშების მეთოდები ტექნოლოგიური სქემების მიხედვით. სახელმძღვანელო განკუთვნილია სატყეო-საინჟინრო სპეციალობის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, ასევე დიდ დახმარებას გაუწევს აღნიშნული სპეციალობის ბაკალავრებს ცოდნის გაღრმავებაში.

31. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გოლეტიანი, გ.გუგულაშვილი, გ. ბერუაშვილი.

სათაური - მაცივარი მანქანების თეორიული საფუძვლები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018–124 გვ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა CD-4707. უაკ 664 ISBN 978-9941-28-071-9 (PDF) - CD-4707. UCD 664 ISBN 978-9941-28-071-9 (PDF)

ანოტაცია: განხილულია საწარმოთა დაპროექტებისას გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები, ტექნოლოგიურ ხაზში შემავალი მანქანების მუშაობის შეთანხმებულობა, მშენებლობის აუცილებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, დაპროექტების ტექნოლოგიური ნაწილი, სადაც მოცემულია დასაგეგმარებელი საწარმოს ტექნოლოგიური მოწყობილობის შერჩევისა და გაანგარიშების მაგალითები პურისა და ჩაის წარმოებებში, ტექნოლოგიური გაანგარიშების შედეგად შერჩეული მოწყობილობის საწარმოო საამქროებში ოპტიმალურად განლაგება, საწარმოს დაპროექტების სამშენებლო, სანიტარიულ-ტექნიკური, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებანი, საწარმოს დაპროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური ნაწილი. განკუთვნილია კვების მრეწველობის მექანიკური და ტექნოლოგიური ფაკულტეტების ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის, აგრეთვე კვების მრეწველობასთან დაკავშირებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის.

32. თ.მეგრელიძე, ზ.ჯაფარიძე, გ.გოლეტიანი, გ.გუგულაშვილი.

სათაური - სამრეწველო საწარმოთა დაპროექტება. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 – 97 გვ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD-4709. უაკ 664 ISBN 978-9941-28-069-6

ანოტაცია: განხილულია საწარმოთა დაპროექტებისას გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები, ტექნოლოგიურ ხაზში შემავალი მანქანების მუშაობის შეთანხმებულობა, მშენებლობის აუცილებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, დაპროექტების ტექნოლოგიური ნაწილი, სადაც მოცემულია დასაგეგმარებელი საწარმოს ტექნოლოგიური მოწყობილობის შერჩევისა და გაანგარიშების მაგალითები პურისა და ჩაის წარმოებებში, ტექნოლოგიური გაანგარიშების შედეგად შერჩეული მოწყობილობის საწარმოო საამქროებში ოპტიმალურად განლაგება, საწარმოს დაპროექტების სამშენებლო, სანიტარიულ-ტექნიკური, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებანი, საწარმოს დაპროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური ნაწილი. განკუთვნილია კვების მრეწველობის მექანიკური და ტექნოლოგიური ფაკულტეტების ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის, აგრეთვე კვების მრეწველობასთან დაკავშირებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის.

33. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გოლეტიანი, გ.გუგულაშვილი.

სათაური - სამაცივრო მანქანა-დანადგარების მონტაჟი და ტექ.მომსახურება. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 – 137 გვ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD-4847. უაკ 621.57:621.56 ISBN 978-9941-28-373-4 (PDF)

ანოტაცია: მოცემულია სამაცივრო მანქანა-დანადგარების რემონტის, მონტაჟისა და ექსპლუატაციის საკითხები. წარმოდგენილია ავტომატიკის ხელსაწყოების, კომპრესორების

ამპრავების, სამაცივრო მილგაყვანილობებისა და სამფაზიანი სისტემების სამონტაჟო და ტექნოლოგიური საკითხები. განკუთვნილია სამაცივრო ტექნოლოგია და ტექნიკის პროფილის სპეციალობების ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად საგნებში: “სამაცივრო მანქანა-დანადგარების მონტაჟი და ტექ-მომსახურება”, “დგუშიანი კომპრესორები“, “როტაციული კომპრესორები“ და “ხრახნული კომპრესორები“. მეთოდური მითითებები შეიძლება გამოიყენონ აგრეთვე სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის სპეციალობის პროფესიული სწავლების სტუდენტებმა.

34. თ. მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გოლეტიანი, გ.გუგულაშვილი.

სათაური - კრიოგენული ტექნიკა. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 – 117 გვ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD-4846. უაკ 621.8 ISBN 978-9941-28-140-2 (PDF)

ანოტაცია: სალექციო კურსში მოცემულია კრიოგენული ტექნიკის არსი და მისი გამოყენება კვების მრეწველობაში. ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა კრიოგენტების გათხევადების საკითხებს, ზედაბალი ტემპერატურის მიღების ტექნოლოგიებს, აგრეთვე რეფრიჟერატორულ ციკლებს. ნაშრომში განხილულია აირის მაცივარი მანქანების გაანგარიშების მეთოდები, როგორც ანალიტიკურად ასევე კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. ნაშრომი განკუთვნილია სამაცივრო ტექნოლოგიისა და ტექნიკის პროფილის სპეციალობების სტუდენტებისათვის.

35. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გოლეტიანი, გ.გუგულაშვილი. - სათაური - სამაცივრო სისტემების მომსახურების თანამედროვე პრაქტიკა. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 – 147 გვ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD-4966. უაკ 62-71 ISBN 978-9941-28-236-2 (PDF)

ანოტაცია: სალექციო კურსში მოცემულია თერმომარეგულირებელი ვენტილების მუშაობის პრინციპები, მათი აწყობის ნორმები, გაუმართაობანი და მისი მმართველი ტრაქტი. გაკეთებულია ანალიზი მათ პულსაციასა და წარმადობაზე. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კომპრესორების მუშაობის ყველა ასპექტს: ინდიკატორულ დიაგრამას, მასური ხარჯის დამოკიდებულებას სიცივის მწარმოებლობაზე, დუდილის წნევის ანომალიური დაცემის საკითხებს. აქვეა განხილული სისტემებში მაცივარაგენტების ჟონვის საკითხები; ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა შემოწმდეს კონტურის ჰერმეტიულობა, მაცივარაგენტების ჩართვის საკითხები. აგრეთვე მაცივარაგენტების ჩატვირთვის ოპტიმალური ნორმებიდან გადახვევის მაგნი შედეგები და მათი აღმოფხვრის გზები. სალექციო კურსი განკუთვნილია სამაცივრო ტექნოლოგია და ტექნიკის პროფილის სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად საგნებში: სამაცივრო მანქანა-დანადგარების მონტაჟი და ტექ-მომსახურება, დგუშიანი კომპრესორები, როტაციული კომპრესორები და ხრახნული კომპ-რესორები. მეთოდური მითითებები შეიძლება გამოიყენონ, აგრეთვე, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის სპეციალობის პროფესიული სწავლების სტუდენტებმა.

36. მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი. ტექნიკური დიზაინის ისტორია.

ლექციების კურსი. ციფრული ვერსია. 2018 წ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა. კოდი CD – 4653; უაკ.72.03

ანოტაცია: ლექციების კურსი განიხილავს ტექნიკური დიზაინის, როგორც მრავალმხრივ მნიშვნელოვანი სფეროს ჩამოყალიბების საწყისებს, განვითარების ეტაპებსა და თანამედროვე ტენდენციებს. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, ტექნიკური დიზაინის განვითარების ძირითად მიმართულებებს, მათ მნიშვნელოვან მახასიათებლებს, თავისებურებებსა და ნიშან-თვისებებს. ლექციების კურსი „ტექნიკური დიზაინის ისტორია“ განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის.

37. თ.მეგრელიძე, გ.გოლეტიანი, გ.გუგულაშვილი, თ.ისაკაძე, გ.ბერუაშვილი.

სათაური - კვების პროდუქტების სამაცივრო ტექნოლოგია. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 – 95 გვ. ანოტაცია: სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD-4968. - უაკ 641.57 ISBN 978-9941-28-230-0 (PDF)

ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია კვების პროდუქტების სამაცივრო ტექნოლოგია. მოყვანილია კვების პროდუქტების სამაცივრო გაცივების, გადაცივების, გაყინვისა და გალღობის რეჟიმები, სხვადასხვა პროდუქტისათვის განკუთვნილი გამაცივებელი მოწყობილობები და მათი თავისებურებანი. განხილულია სხვადასხვა სახის პროდუქტისათვის გაცივებისა და გალღობის რეჟიმების შერჩევის პირობები. გამოცემა განკუთვნილია “სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის “სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგიის“ სპეციალობის სტუდენტებისათვის, აგრეთვე კვებისა და სამაცივრო საწარმოებთან დაკავშირებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის.

38. მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი, საიუველირო ნაკეთობათა მხატვრული კონსტრუირება. ლექციების კურსი. ელ.ვერსია.120 გვ. თბ. 2018 წ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა. CD- 5100; უაკ 67.12:739

ანოტაცია: ლექციების კურსი განსაზღვრავს საიუველირო ნაკეთობათა მხატვრული კონსტრუირების ადგილსა და როლს საიუველირო წარმოების განვითარების პროცესში. წარმოდგენილია საიუველირო ნაკეთობათა მხატვრული კონსტრუირების განვითარების ძირითადი მიმართულებები და არსებული საერთაშორისო პრაქტიკა.

განსაზღვრულია საიუველირო ნაკეთობათა სტილისტიკის განვითარების თანამედროვე მიმართულებები და ტენდენციები. ლექციების კურსი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიტს საინჟინრო დარგის სპეციალობების მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

39. თ.მეგრელიძე, ზ.ჯაფარიძე, გ.გუგულაშვილი, გ.ბერუაშვილი, გ.გოლეტიანი, ე. სადალაშვილი.

სათაური - სამრეწველო საწარმოთა საერთო დანიშნულების მოწყობილობები; თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018წ. 232გვ. უაკ 621.86 ISBN 978-9941-28-068-9 (PDF)

ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია სამრეწველო საწარმოთა მექანიზაციის მოწყობილობების ფუნქციური დანიშნულება, მათი ტექნოლოგიური და კინემატიკური გაანგარიშების თეორიული საფუძვლები. ნაშრომი განკუთვნილია პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად საგანში „წარმოების მექანიზაციის საშუალებები“ მანქანათმშენებლობის დეპარტამენტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. იგი შეიძლება გამოიყენონ, აგრეთვე, პროფესიული სწავლების სტუდენტებმა, მაგისტრანტებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა

40. მ. მილაშვილი. ვ. მჭედლიშვილი, ლექციების კურსი რუსულ ენაზე. ლექციების კურსი. ელ.ვერსია.78 გვ. თბ. 2018 წ. სტუ-ს ბიბლიოთეკა CD- 4680; უაკ 72.03

ანოტაცია: ლექციების კურსში განხილულია ტექნიკური დიზაინის განვითარების ძირითადი ეტაპები, ამ სფეროში არსებული მნიშვნელოვანი სტილისტური და სტილისტიკური მიმართულებები და მათი თავისებურებანი. გაანალიზებულია ტექნიკური დიზაინის სფეროში ინგლისის, აშშ-ს, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და სხვა წამყვანი ქვეყნებში არსებული საეთაშორისო პრაქტიკა და მათი მნიშვნელოვანი მიღწევები. განსაზღვრულია ტექნიკური დიზაინის სფეროს განვითარების თანამედროვე მიმართულებები და ტენდენციები.

41. ნ.ბალათურია; ნ.ბეგიაშვილი; გ.გოლეტიანი; ზ.ჯაფარიძე; გ.გუგულაშვილი; გ.ბერუაშვილი; ზ.ლაზარაშვილი; ლ.ნეჩაევი ნ.შერბეშნიოვა ვ.შერბაკოვი; ვ.შიხინა; ი.შუბი; გ.მელკინა; ო.ანოშინა

სათარი - მემცენარეობის პროდუქციის გადამუშავების ტექნოლოგიები.

„მპს ბენე“, თბილისი, 2018 გვ.375

ISBN 978-9941-27-928-7

ანოტაცია: სახელმძღვანელოში აღწერილია კვების პროდუქტების ძირითადი კომპონენტები და მათი გარდაქმნები მცენარეული ნედლეულის გადამამუშავების პროცესში. აღწერილია მემცენარეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის ძირითად დარგებში ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარ მოწყობილობები და მათზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები.

42. ზ.ლაზარაშვილი.

სათაური - მარცვლეულისა და კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი მოწყობილობები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, სტუ. 128გვ. ცენტრალური ბიბლიოთეკა CD 4519 ISBN 978-9941-20-994-9 (PDF)

ანოტაცია: სალექციო კურსში წარმოდგენილია მარცვლეულისა და კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი მრეწველობის თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგია. გამოცემულია ამ მოწყობილობათა მოქმედების პრინციპები, ტექნოლოგიური მანქანების გაწყობა და რეგულირება, ექსპლუატაციის თავისებურებების გათვალისწინებით ამ მოწყობილობათა ტექნოლოგიური ეფექტურობის მიღწევის გზები.

გამოცემა განკუთვნილია კვების ინდუსტრიის ინჟინერისა და ტექნოლოგიების სპეციალისტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. იგი დახმარებას გაუწევს უმაღლესი პროფესიული განათლების სტუდენტებსაც.

43. გ.გოლეთიანი, ზ.ლაზარაშვილი, გ.გუგულაშვილი.

სათაური - კვებისა და სამაცივრო საწარმოთა

მოწყობილობების სერვისი. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2019 – 132 გვ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა CD -6252. უაკ 621 ISBN 978-9941-28-579-0

ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობების სერვისი, მოცემულია ტექნოლოგიური მოწყობილობის რემონტისა და მონტაჟის საკითხები. დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია კვების ინდუსტრიის ინჟინერისა და ტექნოლოგიის სპეციალისტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. ის შეიძლება გამოიყენონ აგრეთვე ამავე სპეციალისტის მაგისტრატურის სტუდენტებმა.

44. მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი, მ.მოსწრაფიშვილი. მწვანე მშენებლობა.

ლექციების კურსი. 70 გვ. ელ.ვერსია.თბ. 2019 წ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა CD- 5246; უაკ 624

ანოტაცია: ლექციების კურსში განხილულია მწვანე მშენებლობის განვითარების ძირითადი ეტაპები, ამ სფეროში არსებული მნიშვნელოვანი მიმართულებები და თავისებურებანი. გაანალიზებულია მწვანე მშენებლობის სფეროში წამყვან ქვეყნებში არსებული საეთაშორისო პრაქტიკა და მათი მნიშვნელოვანი მიღწევები. განსაზღვრულია მწვანე მშენებლობის სფეროს განვითარების თანამედროვე მიმართულებები და სამომავლო ტენდენციები.

45. ზ. ჯაფარიძე, ზ.ლაზარაშვილი. პურის, მაკარონისა და საკონდიტრო საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2020, გვ.192, სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD 6253 უაკ 664.65 ISBN 978-9941-28-592-9

რეზიუმე: დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია პურის, მაკარონისა და საკონდიტრო საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები, ტექნოლოგიური ხაზები, მოწყობილობათა სტრუქტურულ-პრინციპული და კინემატიკური სქემები, აგრეთვე ცალკეული მუშა ორგანოების კონსტრუქციები, მოყვანილია მოწყობილობათა კინემატიკური და ძალოვანი გაანგარიშებების საფუძვლები.

46. ნ.ბალათურია ნ.ბეგიაშვილი გ.გოლეტიანი ზ.ჯაფარიძე თ.მეგრელიძე გ.გუგულაშვილი გ.ბერუაშვილი ზ.ლაზარაშვილი; თ.რევიშვილი; ლ.ნეჩაევი ნ.შერბენიოვა ვ.შერბაკოვი; ვ.შიხინა; ი.შუბი; გ.მელკინა; ო.ანოშინა

სათაური - კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები

წიგნი I; ნაწილი II „მკს ბენე“, თბილისი, 2020

რეზიუმე: დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემულია კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მეცნიერული საფუძვლები. აღწერილია კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ძირითად დარგებში მცენარეული ნედლეულისგან ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობები და მათში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები.

47. თ. ისაკაძე, ლ. კობახიძე კვების პროდუქტების გაცივების, გაყინვისა და შენახვის თეორიული საფუძვლები.

სალექციო კურსი უაკ 641 თბილისი 2020 88 გვ. ISBN 978-9941-28-614-8 (PDF)

ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გაცივების, გაყინვისა და შენახვის პროცესის თეორიული საფუძვლები, ქიმიური და ბიოლოგიური ცვლილებები კვების პროდუქტების გაყინვის დროს; აღწერილია გაცივებისა და გაყინვის პროცესების მიმდინარეობა პროდუქტის სიცივით დამუშავებისას. გამოცემა განკუთვნილია საკვები პროდუქტების წარმოება-გადამამუშავებისა და სამაცივრო მოწყობილობების პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, შეიძლება აგრეთვე გამოიყენონ ამავე პროგრამის შემსწავლელმა მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა.

48. ზ.ჯაფარიძე, ლ.კობახიძე

სათაური - რძის საწარმოთა მოწყობილობები. დამხმარე სახელმძღვანელო უაკ 637.1.002.5(075.8) თბილისი 2020 ISBN 978-9941-28-782-4

ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია რძის საწარმოთა ტექნოლოგიური და საერთო დანიშნულების მოწყობილობები, მოწყობილობათა სტრუქტურულ-პრინციპული და კინემატიკური სქემები. მოყვანილია მოწყობილობათა კინემატიკური და ტექნოლოგიური გაანგარიშებების საფუძვლები. განკუთვნილია სასურსათო ტექნოლოგიის სპეციალისტების ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. გარკვეულ დახმარებას გაუწევს აგრეთვე შესაბამისი პროფილის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს და დარგის სპეციალისტებს.

49. გ. გოლეტიანი; ვ.ღვაჩლიანი; თ.ისაკაძე; ზ.ლაზარაშვილი; გ.გუგულაშვილი.

სათაური: მატეს ტიპის ჩაის წარმოების ბიოტექნოლოგიური საფუძვლები.

„საგამომცემლო სახლი“ ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2022 წ. ISBN 978-9941-28-803-6

ანოტაცია: აღწერილია მატეს სამშობლო, მატეს წარმოების ნედლეული. მოყვანილია ძველი ინდიელების ლეგენდები მატეს სასარგებლო თვისებების შესახებ. წარმოდგენილია მატეს ქიმიური შედგენილობა და ის სასარგებლო თვისებები, რომლებიც მას პოპულარულს ხდის მსოფლიოში. ნაჩვენებია, რომ, ნადლეულის მარაგის სიმცირის გამო, მატეს წარმოება ვერ აკმაყოფილებს მასზე მთელ მსოფლიოში გაზრდილ მოთხოვნილებას, რაც განაპირობებს ახალი ნედლეულის გამოძებნისა და მატეს მსგავსი ჩაის წარმოებისათვის ახალი ტექნოლოგიების დამუშავების აუცილებლობას. ასეთ ნედლეულად მიჩნეულია კავკასიური როდოდენდრონი, საიდანაც შესაძლებელია ჯანმრთელობისათვის ძალზე სასარგებლო პროდუქციის წარმოება.

50. ზ.ლაზარაშვილი

სალექციო კურსი. „მარცვლეულის გადამამუშავების ტექნიკა და ტექნოლოგია“.

თბილისი 2022 წ. 147 გვ.- სტუ. ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD 6911 უაკ 664.7 ISBN 978-9941-28-885-2

ანოტაცია: სალექციო კურსში წარმოდგენილია მარცვლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგია. განხილულია ამ საწარმოებში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები, მარცვლეულის ნარევიდან მინარევების გამოყოფა; ზომით, ფორმით, აეროდინამიკური და სხვა ფიზიკური თვისებებით მარცვლის გამწმენდა; მარცვლის (ნედლეულის) ზედაპირის დამუშავება; მარცვლის კონდიცირება, დატენიანება; მათი დაქუცმაცება და დახარისხება; დაფქვის შუალედური პროდუქტების გამდიდრება, მზა პროდუქციის ფორმირება აგრეთვე კომბინირებული საკვების წარმოება და გრანულირება. მოწინავე მაღალმწარმოებლური, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიური მოწყობილობები, მათი ეფექტურად მუშაობის და ექსპლუატაციის მეთოდები.

51. გ.გოლეთიანი, ზ.ლაზარაშვილი, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი.

სათაური - ჰაერის კონდიცირება სურსათის წარმოებაში. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2022 წ. 122 გვ. სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD-6913. უაკ 621.8 ISBN 978-9941-28-876-0 (PDF)

ანოტაცია: განხილულია ჰაერის კონდიცირების ტექნოლოგიური საკითხები; აღწერილია ჰაერის მდგომარეობის დამახასიათებელი ძირითადი პარამეტრები და მათი ცვლილების შემთხვევები, კონდიცირების სისტემაში ჰაერის დამუშავების და კონდიციონერის ძირითადი და დამხმარე ელემენტების გაანგარიშების მეთოდები; განხილულია ცენტრალური და ადგილობრივი კონდიციონერების დაპროექტების საკითხები; მოყვანილია კომპიუტერული პროგრამები და ჰაერის კონდიცირების სისტემის დასაპროექტებლად მათი გამოყენების მეთოდები. განკუთვნილია კვების ინდუსტრიის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამა “კვების ინჟინერიის“ სპეციალობის ბაკალავრებისათვის.

52. გ.გოლეთიანი, ზ.ლაზარაშვილი, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი.

სათაური - სასურსათო პროდუქტების ცივად შესანახი საწარმოს დაპროექტება.

თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2022 წ. 156 გვ. სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD-6914. უაკ 621.565 ISBN 978-9941-28-875-3 (PDF)

ანოტაცია: განხილულია სასურსათო პროდუქტების ცივად შესანახი საწარმოს დასაპროექტებლად საჭირო საწყისი მონაცემები; აღწერილია მისი სამშენებლო-საიზოლაციო კონსტრუქციები და თბოიზოლაციის გაანგარიშება, სივრცითი დაგეგმარების პირობები; საწარმოსათვის კომპრესორის, საორთქლებლის, კონდენსატორის და დამხმარე მოწყობილობის შერჩევის მეთოდიკა; ცივად შესანახი საწარმოს სქემის შერჩევისა და დაპროექტების საფუძვლები. განკუთვნილია კვების მრეწველობის ინჟინერია და ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა “საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგიის“ ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის; გამოადგებათ ამავე პროგრამის შემსწავლელ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

53. ზ. ჯაფარიძე, ზ. ლაზარაშვილი.

სათაური - სასურსათო ნედლეულის გადამამუშავებელი მოწყობილობები თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.

2022 წ. - 220 გვ. სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD-6912. უაკ 664.143 ISBN 978-9941-28-884-5 (PDF)

ანოტაცია - სალექციო კურსში წარმოდგენილია სასურსათო ნედლეულის გადამამუშავებელი მოწყობილობები, მათი კლასიფიკაციები ფუნქციური ნიშნით. განხილულია მოწყობილობათა სტრუქტურულ-პრინციპული და კინემატიკური სქემები, აგრეთვე ცალკეული მუშა ორგანოების კონსტრუქციები, მოწყობილობათა კინემატიკური, ძალოვანი და თბური გაანგარიშების საფუძვლები. ნაშრომი განკუთვნილია საკვები პროდუქტების გადამამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. დახმარებას გაუწევს აგრეთვე

შესაბამისი პროფილის მაგისტრატურისა და პროფესიული განათლების სტუდენტებს. საინტერესო იქნება კვების მრეწველობის შესაბამისი დარგის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და სპეციალისტებისათვის.

54. ზ.ჯაფარიძე, გ.გუგულაშვილი.

სათაური - სასურსათო საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები.

თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2022 წ. 202 გვ. სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD-6986. უაკ 664.143 ISBN 978-9941-28-874-6 (PDF)

რეზიუმე: წარმოდგენილია სასურსათო მრეწველობის საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები, განხილულია მოწყობილობათა სტრუქტურულ-პრინციპული და კინემატიკური სქემები. მოყვანილია მოწყობილობათა კინემატიკური, ძალოვანი და თბური გაანგარიშებების საფუძვლები. განკუთვნილია სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის იგი დახმარებას გაუწევს აგრეთვე შესაბამისი პროფილის მაგისტრატურის და პროფესიული განათლების სტუდენტებს.

55. ზ.ჯაფარიძე, გ.გოლეთიანი, გ.გუგულაშვილი, ზ.ლაზარაშვილი.

სათაური - კვების საწარმოთა ნაკადური ხაზები.

თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი. 2023 წ. - 165 გვ. სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა - CD-3539.

რეზიუმე: დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია კვების მრეწველობის საწარმოთა ნაკადური ხაზების აგების თეორიული საფუძვლები, ხაზების კლა-სიფიკაცია და სტრუქტურა, ტექნო-ლოგიური ხაზების განვითარების მეცნიერული სა-ფუძვლები, ნაკადური ხაზების შემადგენელი ელემენტები და მათი თეორიული დასაბუთება.

განკუთვნილია კვების მრეწველობის პროფილის სპეციალობების მაგისტრანტებისათვის, აგრეთვე დარგის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და სპეციალისტებისათვის.

56. მ. მილაშვილი.

სათაური - პროდუქციის სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია.

ლექციების კურსი უაკ 389.6 109 გვ. ელ.ვერსია CD-6925. სტუ. თბ. 2022წ.

ანოტაცია: ლექციების კურსში განხილულია პროდუქტების სტანდარტიზაციის ძირითადი ცნებები, სტანდარტის შემუშავების ეტაპები, სტანდარტიზაციის ძირითადი მეთოდები, სერტი-ფი-ცი-რების სისტემები და სქემები, საერთაშორისო და ეროვნული სასერტიფიკაციო ორგანოების ფუნქციონირების ფორმები, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ეროვნული და საერთა-შორისო მოთხოვნები, სერტი-ფიკაციისა და სტანდარტიზაციის ეროვნული და საერთა-შორისო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. ნაშრომი განკუთვნილია საბაკალავრო პროგრამებში შემავალი სასწავლო კურსის „პროდუქციის სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის“ სწავლების ერთ-ერთ სასწავ-ლო რე-სურსად.

57. მ. მილაშვილი. ვ. მჭედლიშვილი,

სათაური - ღონისძიების გაფორმება და დიზაინი.

დამხმარე სახელმძღვანელო. უაკ 74, 141 გვ. ელ.ვერსია CD-6906.სტუ.თბ. 2022 წ.

ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია სხვადასხვა ტიპის ღონისძიების გასამართი სივრცისა და გარემოს დეკორაციული გაფორმებისადმი შემოქმედებითი მიდგომის ძირითადი სახეები სივრცის დიზაინი და არქიტექტურული თავისებურებები დეკორის ელემენტების მისადაგებისა და მხატვრული იდეების გენერირების ხერხები. ასევე შეიცავს ინფორმაციას მსოფლიო სამხარეულოს თავისებურებების, ხალხთა კვებითი კულტურის კულტურულ-რელიგიური ტრადიციების, კვებითი მომსახურების სახეების, კვებითი უსაფრთხოების ნორმების შესახებ. მოცემულია ღონისძიების მუსიკალურად გაფორმებისა და

გასართობი პროგრამის შემუშავების სპეციფიკა.დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამა „ლონისძიების ორგანიზების“ შესაბამისი მოდულის სწავლებისთვის.

58. მ. მილაშვილი.

სათაური - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება.

დამხმარე სახელმძღვანელო. უაკ 791.6;793.2., 132 გვ. ელ.ვერსია CD-6994. სტუ. თბ. 2022 წ.

ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია სადღესასწაულო ღონისძიებების სახეები, მათი ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები. მოცემულია სხვადასხვა ტიპის სადღესასწაულო ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო სამოქმედო გეგმის/სცენარის შედგენის ძირითადი პრინციპები და განსაზღვრულია მისი კომპონენტები. დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია პროფესიული მოდულური პროგრამით “ლონისძიების ორგანიზების” გათვალისწინებული სასწავლო მოდულის “სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირების” სწავლებისათვის.

59. მ. მილაშვილი.

სათაური - სპორტულ-სანახაობითი ღონისძიებების დაგეგმვა.

დამხმარე სახელმძღვანელო. უაკ 796.06., 138 გვ. ელ.ვერსია. CD-6924. სტუ.თბ. 2022 წ.

ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია სხვადასხვა ტიპის, ფორმატისა და მასშტაბის სპორტულ – სანახაობითი ღონისძიებების ჩატარებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების სახეები და განხორციელების ეტაპები. სხვადასხვა სპორტილ – სანახაობითი ღონისძიებების დაგეგმვისა ადმინისტრირებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენს პროფესიული მოდულური პროგრამის “ლონისძიების ორგანიზების” სტუდენტებისათვის გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსს და განკუთვნილია მოდულის “სპორტულ-სანახაობითი ღონისძიების დაგეგმვის” (ს/ნ 0411926) სწავლებისათვის.

60. მ. მილაშვილი.

სათაური - ოფიციალური და საქმიანი შეხვედრების ადმინისტრირება.

ლექციების კურსი. უაკ 007.14;057.3. 168 გვ. ელ.ვერსია CD-6905. სტუ. თბ. 2022 წ.

ანოტაცია: ლექციების კურსში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ოფიციალურ-საქმიანი შეხვედრების სახეები და მათი კლასიფიკაცია, სხვადასხვა ფორმატის ოფიციალურ-საქმიანი შეხვედრებისა და ღონისძიებების ადმინისტრირების მეთოდები და ხერხები. ასევე შეიცავს ინფორმაციას საქმიანი ღონისძიების საინფორმაციო უზრუნველყოფის საშუალებების, შეხვედრის ტიპის მიხედვით საჭირო დოკუმენტაციის წარმოების წესების, ღონისძიების ბიუჯეტის შედგენის პარამეტრების შესახებ. განხილულია შეხვედრებისათვის ადაპტირებული გარემოს მომზადებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ოფიციალური მოწვევის ორგანიზებისა და მიღების ოქმების მოთხოვნები. ლექციების კურსი განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ლონისძიების ორგანიზების“ შესაბამისი მოდულის სწავლებისათვის.

61. მ. მილაშვილი.

სათაური - გაცნობითი პრაქტიკული - ღონისძიების ორგანიზება.

დამხმარე სახელმძღვანელო. უაკ.761.6;793.250 გვ. ელ.ვერსია. CD-6995. სტუ.თბ. 2022 წ.

ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია ღონისძიების ორგანიზატორის პროფესიის არსი, მისი მნიშვნელობა, დასაქმების სფეროები. ღონისძიების სახეების შესაბამისად განსაზღვრულია მათი კლასიფიკაცია, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზების ძირითადი პრინციპები და თავისებურებები. დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია

პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამა „ლონისძიების ორგანიზების“ შესაბამისი მოდულის სწავლებისათვის.

62. მურმან ბლიაძე

სათაური - საერთაშორისო ტურიზმი და საქართველოს საკურორტო მეურნეობა (სახელმძღვანელო) - თბილისი გამომცემლობა „უნივერსალი“ - ISBN. ISBN 978-9941-26-150-3.

რეზიუმე: სახელმძღვანელოში განხილულია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების საკითხები, მისი ცნება, არსი და მნიშვნელობა. სახელმძღვანელო მომზადდა თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე, სადაც თანმიმდევრულად განხილულია ისეთი საკითხები, რომელსაც XXI საუკუნეში დიდი მნიშვნელობა აქვს. ნაშრომში თეორიულ საკითხებთან ერთად წარმოდგენილია თვალსაჩინო მასალები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს თანამედროვე საერთაშორისო ტურიზმის საკითხების შესწავლაში. კერძოდ: საერთაშორისო ტურიზმის განვითარება XXI საუკუნეში, საქართველოს საკურორტო მეურნეობის ჩამოყალიბება, განვითარება და სხვა.

63. მურმან ბლიაძე

სათაური - საერთაშორისო ბიზნესი „(სახელმძღვანელო)

თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ - ISBN. ISBN 978-9941-26-148-0

ანოტაცია: სახელმძღვანელო მომზადდა საერთაშორისო ბიზნესის სფეროში არსებული თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე, მასში შესაბამისი თანმიმდევრობითაა განხილული საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. საერთაშორისო ბიზნესის თეორიები, დინამიკა და სტრუქტურა, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური ბიზნესის ფორმები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი საკითხების შესწავლას. წიგნში განხილულია საერთაშორისო ბიზნესის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

64. მურმან ბლიაძე

სათაური - ფირმის სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები (სახელმძღვანელო)

თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2019 ISBN. ISBN 978-9941-26-402-3

რეზიუმე: სახელმძღვანელო ფირმის სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები მომზადდა არსებული თანამედროვე სასწავლო და სანეცნიერო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე, მასში შესაბამისი თანმიმდევრობითაა განხილული ისეთი საკითხები, რომლებსაც დღეისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ნაშრომი დაეხმარება სტუდენტებს თანამედროვე ფირმის სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების საკითხების შესწავლაში. სახელმძღვანელოში განხილულია ფირმის სამეწარმეო საქმიანობის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მოცემულია ფირმის მართვა, ადგილი, როლი, გარემო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საწარმოო პროცესი და წარმოების ტიპები, საწარმოო ციკლი და მისი სტრუქტურა, წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ფირმის და წარმოების ტექნიკური მომზადება და სხვა. ნაშრომი, განკუთვნილია ფირმების, წარმოების, მენეჯერების, მარკეტოლოგთა, ბიზნესმენტთა, უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკური სპეციალისტების სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

65. მურმან ბლიაძე

სათაური - „სამეწარმეო და ოპერაციული მენეჯმენტი“ (სახელმძღვანელო)

გამოცემის ადგილი და გამომცემლობა; თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“ 2019 საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN. ISBN 978-9941-26-401-6.

რეზიუმე: სახელმძღვანელოში განხილულია საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. გააანალიზებულია მენეჯმენტის საკითხების უცხოური

გამოცდილება. სადაც თანმიმდევრობითაა გაანალიზებული საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. დაწყებულია მენეჯმენტის საკითხებით და გაანალიზებულია საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებები, სტრატეგია, პროექტირება, ხარისხის მართვა, საწარმო მარაგების მართვა, პროგნოზირება და დაგეგმვა. სახელმძღვანელო საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტი განკუთვნილია სასწავლო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკური და სხვა სპეციალობის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, აგრეთვე დიდ დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს ეკონომისტებს და ყველას ვინც დაინტერესებულია საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტის საკითხებით.

66. მურმან ბლიაძე

სათაური - „ახალი ტექნოლოგიები ზნესში, მრეწველობაში, ტრანსპორტში (სახელმძღვანელო)
გამომცემლობა; თბილისი გამომცემლობა “ბარატონი“ 2019 საერთაშორისო სტანდარტული კოდი
ISBN. ISBN 978-9941-9649-1-6

რეზიუმე: წარმოდგენილი სახელმძღვანელო მომზადდა არსებული თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე, მასში შესაბამისი თანმიმდევრობითაა განხილული ისეთი საკითხები, რომლებსაც დღეისთვის დიდი მინიშვნელობა აქვს ბიზნესის, ტრანსპორტისა და მრეწველობის განვითარებაში, ნაშრომი დახმარება სტუდენტებს თანამედროვე საწარმოებისა და სამეწარმეო საქმიანობის შესწავლაში. სახელმძღვანელოში განხილულია საწარმოებისა და მეწარმეობის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ბიზნესი, ახალი ტექნოლოგიები მრეწველობაში, წარმოების მართვა, ინტერნეტი, ტრანსპორტი, ეროვნული მეწარმეობა, ეკონომიკური პროგნოზირება და სხვა. ნაშრომი განკუთვნილია საწარმოების, წარმოების მენეჯერების, მარკეტოლოგთა, ბიზნესმენტთა, უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

67. მურმან ბლიაძე.

სათაური - „ბიზნესი და თანამედროვე მიმართულებები“ (სახელმძღვანელო)

გამომცემლობა; თბილისი გამომცემლობა “ბარატონი“ 2020 საერთაშორისო სტანდარტული კოდი
ISBN. ISBN 978-9941-9649-4-7

ანოტაცია: სტატიაში გაანალიზებულია უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფური გამოყენების შესაძლებლობები და თანამედროვე გამოწვევები. მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების და მათი ჯგუფური გამოყენების კონცეფციების გაერთმთლიანებით იქმნება ისეთი უპირატესობათა სფერო, სადაც ასეთ უპილოტო საფრენ აპარატებს ექნებათ გამოყენების აშკარა პრიორიტეტები. იკვეთება ავტონომიურ მართვის პრინციპზე მოქმედი მცირე ზომის უპილოტოს საფრენი აპარატების ჯგუფში გამოყენების ახალი ტექნოლოგიების მიმართულება. ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ჯგუფში მართვის და კავშირის უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტასთან, რასაც ჯგუფური ინტელექტის მეთოდების გამოყენებასთან მივყავართ.

12. უპილოტოსაფრენი აპარატების გამოყენების და საჰაერო მოძრაობის რეგულირების მდგომარეობის მიმოხილვა სხვადასხვა ქვეყნებში და საქართველოში;

2020წ. „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ - №1-№2 (47-48)2020 №1-№2(47-48); ISSN1512-3537;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია სხვადასხვა ქვეყნებში და საქართველოში მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების საჰაერო მოძრაობის რეგულირების ნორმატიული ბაზები. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს შეთანხმებული გადაწყვეტილება მონაცემთა გადაცემის ამა თუ იმ ტექნოლოგიის სასარგებლოდ, რადგან ყველა გადაწყვეტილება დამოკიდებულია ექსპლუატაციის გარემოზე, ადგილზე, უპილოტო საფრენი აპარატის მიზნებზე და ამოცანებზე

13. ტექნიკური კერამიკის ფილების ბრტყელი ზედაპირებისა და პარამეტრების ალმასური ხეხვის სპეციალური ჩარხი; - დ. ბუცხრიკიძე, ტ. მ.კ. ასოც. პროფესორი

2021წ. სტუ-ს სამეცნიერო შრომების კრებული, №4(522): უაკ 621.921:

რეზიუმე: არალითონური, კომპოზიციური, სალი და მყიფე მასალების ნაკეთობების (ტექნიკური კერამიკა SiC და Al₂O₃ ბაზაზე; პოლიკრისტალური ალმასი, კომპოზიტი – Si+SiC+ ალმასი და სხვ.) ალმასური ხეხვის ნახევარავტომატი წარმოდგენს უნივერსალურ ბრტყლადსახე ჩარხს, რომელიც განკუთვნილია პრიზმის ფორმის ნაკეთობის როგორც ძირითადი ზედაპირების-სიბრტყეების, ისე გვერდითი წახნაგების - პერიმეტრის მაღალმწარმოებლური დამუშავებისათვის. აგრეთვე ჩარხზე შესაძლებელია დამუშავდეს სხვა ფორმის ნაკეთობებიც, მაგალითად, წრიული, ოვალური და სხვ. დამუშავებას ექვემდებარება როგორც დეტალის ჯგუფი ისე ცალკეული დეტალი, მათი ზომებიდან გამომდინარე. დამუშავება სრულდება მოზამბარე-ამყოლი მიწოდების მეთოდით პნევმოსისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს დამუშავების დროს არალითონური, მყიფე მასალების ნაკეთობების გატეხვის თავიდან აცილებას და მაქსიმალურად მაღალი ზედაპირის ხარისხის მიღებას.

14. ზესალი, მყიფე, კომპოზიციური-კერამიკული მასალების ღუნვის სიმტკიცეზე გამოსაცდელი ნიმუშების ალმასური ხეხვის ტექნოლოგია და აღჭურვილობა;

დავით ბუცხრიკიძე, ტ. მ.კ. ასოც. პროფესორი

2021წ. სტუ-ს სამეცნიერო შრომების კრებული, № 4(522) - უაკ 621.921;

რეზიუმე: მოცემულია ზესალი, კომპოზიციური-კერამიკული მასალების ღუნვის სიმტკიცეზე გამოსაცდელი ნიმუშების ალმასური ხეხვის პროგრესული ტექნოლოგიური პროცესი, რომელსაც საფუძვლად დაედო არალითონური მასალების ალმასური ხეხვის ორიგინალური, მაღალეფექტური მეთოდი – „დაბალტემპერატურული პრეციზიული ხეხვა“ (დპხ). კომპოზიციური მასალების დპხ მეთოდით დამუშავებაში ჩატარებული მრავალწლიანი და მრავალმხრივი კვლევების შედეგების საფუძველზე შემუშავებული და რეკომენდებულია ალმასური ხეხვის ოპტიმალური პირობები, აგრეთვე წარმოდგენილია ორიგინალური დანადგარები და ტექნოლოგიური აღჭურვილობა კომპოზიციური-კერამიკული მასალების ნიმუშების დასამუშავებლად.

15. ორნამენტის მოსაჭრელი ავტომატური ჩარხის ბიჯური კონვეიერი;

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №2 (42) 2018;

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>

რეზიუმე: დამუშავებული და შექმნილია ორნამენტის მოსაჭრელი ავტომატური ჩარხის ბიჯური კონვეიერი. კონვეიერის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს ზუსტი ბიჯის მიღება და ბიჯის შეცვლის გამარტივება. აღნიშნული მიღწეულია ჩარხის ბიჯური კონვეიერის ცალკეული მექანიზმების სქემური და კონსტრუქციული გადაწყვეტილებებით. ნამზადების მიმწოდებელი ჯაჭვის წამყვანი ვარსკვლავს ღერძზე, ორივე მხრიდან დამონტაჟებულია ელექტრომაგნიტური ქუროები ისე, რომ ქუროების მიმდევრობითი და პარალელური ჩართვის საშუალებით წამყვანი ვარსკვლავს, გარკვეული თანმიმდევრობით, პერიოდულად ხისტად უკავშირდება დგარას და მიმწოდებელი მექანიზმის მხრეულას. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩარხის მუშაობის დროს უზრუნველყოფილია ჯაჭვის მუდმივად დატვირთული და დაჭიმული მდგომარეობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სტაბილურად ზუსტი ბიჯის მიღებას და დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩარხის გამართულად მუშაობას.

16. ორნამენტის მოსაჭრელი ავტომატური ჩარხის ბიჯური კონვეიერის ბიჯის ცდომილების მექანიზმი;

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №3 (43) 2018; - <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>;

რეზიუმე: დამუშავებული და შექმნილია ორნამენტის მოსაჭრელი ავტომატური ჩარხის ბიჯური კონვეიერის ბიჯის ცდომილების მექანიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავაფიქსიროთ ბიჯის ცდომილების სიდიდე ჩარხის სამუშაო პროცესში ორნამენტის მოჭრის ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის დროს. ბიჯის ცდომილების მაჩვენებელი მექანიზმი მარტივია და დამონტაჟებულია ჩარხის ბიჯური კონვეიერის ბოლოში ნამზადების გადასაადგილებელ მიმმართველზე. მექანიზმის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს ორმხარა მხრეულა და წრიული ლიმბა. ლიმბის თითოეული დანაყოფი შეესაბამება კონვეიერის ბიჯის 0,0162 მმ-ით დარღვევას, რაც 6 ბიჯის ჯამური ცდომილების ტოლია, ანუ თითოეულ ბიჯზე ცდომილება უდრის დაახლოებით 0,0027 მმ-ს, ე.ი. მაქსიმალური 2 მ სიგრძის ლარტყაზე 72 რაპორტის გადაადგილების შემთხვევაში ჯამური ცდომილება ტოლია 0,194 მმ-ისა. ჩარხის ბიჯური კონვეიერის ბიჯის ცდომილების მაჩვენებელი მექანიზმი საშუალებას იძლევა ბიჯის კორექცია დავიწყით 0,0162 მმ სიდიდის ბიჯის ცდომილების დროს, რაც გაცილებით ნაკლებია ხეზე ორნამენტის მოჭრაზე დასაშვებ ტექნოლოგიურ ცდომილებაზე - 0,2 მმ-ზე.

17. ორნამენტის მოსაჭრელი ავტომატური ჩარხის ბიჯური კონვეიერის ბიჯის ცდომილების სალიკვიდაციო მექანიზმი;

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა - №2 (45) 2019; <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>;

რეზიუმე: დამუშავებულია და შექმნილია ორნამენტის მოსაჭრელი ავტომატური ჩარხის ბიჯური კონვეიერის ბიჯის ცდომილების სალიკვიდაციო მექანიზმი, სადაც ბიჯური კონვეიერის ხრახნული მექანიზმის ქანჩი შესრულებულია ცილინდრული ფორმის, რომლის ზედა ტორსულ ნაწილზე, ხრახნის ღერძის პერპენდიკულარულად დატანილია ისარი დაკავშირებული მხრეულაზე უძრავად დამაგრებულ, ხრახნის ღერძის პარალელურად განლაგებულ ბიჯის სიდიდის მაჩვენებელ ბრტყელ ლიმბთან, ხოლო ცილინდრული ქანჩის მსახველზე, ხრახნის ღერძის პარალელურად დატანილი ისარი დაკავშირებულია ხრახნზე განმხოლოებულად დასმული ქანჩის ზედა ტორსზე დამაგრებულ ბიჯის ცდომილების სალიკვიდაციო მნიშვნელობის მაჩვენებელ წრიულ ლიმბთან, ამასთან ბიჯის ცდომილების დამაფიქსირებელი და ბიჯის ცდომილების სალიკვიდაციო წრიული ლიმბის მაჩვენებელი დანაყოფების მნიშვნელობები ურთიერთშესაბამისობაშია, რაც მიღწეულია აღნიშნული ლიმბების მოქმედებაში მომყვანი მექანიზმების გადამცემი პარამეტრების ურთიერთდამაკავშირებელი თეორიული გათვლებისა და ექსპერიმენტული ცდების შედეგად.

18. ელექტრომექანიკური ამბრავის დინამიკის კვლევა დრეკადობის გათვალისწინებით მექანიკურ ნაწილში;

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა - №3 (46) 2019;

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>;

რეზიუმე: ელექტრომექანიკური მოთვალთვალე ამბრავთა დინამიკური კვლევები დაკავშირებულნი არიან დრეკადობის გათვალისწინებასთან სისტემის მექანიკურ გადამცემ ელემენტებში, რაც თავის მხრივ მოითხოვს დინამიკური კვლევების მეთოდების და მეთოდიკების შემდგომ სრულყოფას. წარმოდგენილ ნაშრომში განიხილებიან მეთოდოლოგიური მიდგომები და საწყისი მათემატიკური დამოკიდებულებები, მიმართულნი მექანიკურ დრეკადკავშირებიანი ამბრავთა სისტემების შემდგომ სრულყოფისაკენ.

19. ელექტროპნევმომექანიკური მოთვალთვალე ამბრავის დინამიკის საკითხის შესახებ;

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა - №3 (46) 2019;

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>;

რეზიუმე: ელექტროპნევმომექანიკურმა მოთვალთვალე ამბრავებმა ჰპოვეს ფართო გავრცელება ტექნიკის მრავალ სფეროში, კერძოდ, თვითმფრინავმშენებლობაში. ეს სისტემები ადეკვატური მოდელირებისას მოითხოვენ დრეკადი თვისებების გათვალისწინებას ამბრავთა ძალოვანი ნაწილების გადამცემ მექანიზმებში, რომელთა მოქმედება ახორციელებს მნიშვნელოვან ზემოქმედებას განსახილველი სისტემების დინამიკურ მაჩვენებლებზე. წარმოდგენილ ნაშრომში განიხილება დინამიკის გაღრმავებული მოდელირების ამოცანა და შემდგომი კვლევების მიმართულების საკითხი.

20. მექანიკურ ნაწილში დრეკადი კავშირებიანი ელექტროპნევმომექანიკური ამბრავის დინამიკის საკითხის შესახებ;

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა - №3 (49) 2020წ

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>

თანამედროვე სწავლადი ელექტროპნევმომექანიკური ამბრავების დინამიკური კვლევები მრავალ წილად დაკავშირებულნი არიან მექანიკური გადამცემი ელემენტების დრეკადი თვისებების გათვალისწინებასთან, რაც თავის მხრივ მოითხოვს საკვლევი მეთოდების და მეთოდიკების შემდგომ სრულყოფას. წარმოდგენილ ნაშრომში განიხილებიან ორიგინალური მოდელების აგებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ საჭირო დამოკიდებულებების გამოვლენის საფუძველს განხილვადი სისტემების მიზანდასახული სტრუქტურულ-პარამეტრული სინთეზისათვის.

21. მექანიკურ ნაწილში დრეკადრგოლებიანი ელექტრომექანიკური მოთვალთვალე ამბრავის სინთეზის საკითხისადმი;

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა - №3 (52) 2021წ.

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>

რეზიუმე: თანამედროვე სწავლადი მოთვალთვალე ელექტრომექანიკური ამბრავების დინამიკური კვლევები მრავალწილად დაკავშირებულნი არიან მექანიკური გადამცემი ელემენტების დრეკადი თვისებების გათვალისწინებასთან, რაც თავის მხრივ მოითხოვს საკვლევი სისტემების პარამეტრულ და სტრუქტურულ სინთეზთან დაკავშირებული მეთოდების და მეთოდიკების შემდგომ სრულყოფას. წარმოდგენილ ნაშრომში განიხილებიან მეთოდოლოგიური მიდგომები და საწყისი მათემატიკური დამოკიდებულებები, მიმართულნი განხილვადი მოთვალთვალე ამბრავის დინამიკური სტრუქტურულ-პარამეტრული სინთეზის მეთოდიკის აგებისაკენ, როგორც პარალელური, უკუკავშირების, აგრეთვე მიმდევრობითი მაკორექტირებელი რგოლების პარამეტრების გათვალისწინებით.

22. გიპოციკლოიდური მექანიზმის კინემატიკის კვლევა

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №3 (55) 2022წ.

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>

რეზიუმე: სტატიაში წარმოდგენილია სატელიტის მქონე პლანეტარული მექანიზმის კინემატიკური კვლევა, რომელიც იმყოფება შიდა მოდებში უძრავ ცენტრალურ კბილა თვალთან. მექანიზმის ტრაექტორიის თავისებურებები საშუალებას იძლევა ეს მექანიზმი გამოყენებული იქნეს ისეთ მანქანებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნოლოგიურ პროცესებს, რომელთათვისაც ხანდახან საჭიროა მიმყოლი რგოლის მცირე რხევები გაჩერების ეტაპებზე. ასეთი ტიპის მექანიზმები გამოიყენება ტექსტილურ წარმოებაში, სადაც რომელიმე მასალის დამუშავებისას მოითხოვება შემსრულებელი ორგანოს მცირე რხევების დაშვება მექანიზმის დროებითი გაჩერებისას.

23. „თავდაცვითი ოპერაციების დროს ფიზიკური გარემოს შეფასება რისკის მართვის მოდელის მიხედვით“

გ.გრატიაშვილი, ი.ბუიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სამხედრო მეცნიერება.

საქართველო, თბილისი, 2023წ. №2ISSN 2587-523X, გვ 49-63

ანოტაცია. ოპერატიული გარემოს ერთ-ერთ ცვლადზე, ფიზიკურ გარემოზე დაყდრნობით, საოპერაციო რაიონში განხორციელებული სამხედრო მოქმედებების პროცესში, რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა რისკების შეფასების არსი და მისი საფეხურები, საფრთხეები, საფრთხის ქვეშ მყოფი პირთა წრე, საკონტროლო ღნისძიებების იერარქია, რისკების შეფასების ფორმა და მატრიცა

24. სათაური; Analysis of dependence of the variable geometry rotor thrust from the rotor rotational speed

რეზიუმე: გამოცემის თარიღი და გამომცემლობა; The 10th International Symposium- KOD 2018 'MACHINE AND INDUSTRIAL DESIGN IN MECHANICAL ENGINEERING' 6 - 8 June 2018, Novi Sad, Serbia. ციფრული საიდენტიფიკაციო კოდი; ISBN 978-86-6022-059-4

მოკლე ანოტაცია: ანგარიშში წარმოდგენილი იქნება დინამიკაში ცვლადი გეომეტრიის პარამეტრების მქონე როტორების სამუშაო მოდელის კვლევის შედეგები.

აეროდინამიკური და ეკონომიკური გამოთვლების გამოდადასტურებულია ქარის ძლიერი სადგურებისთვის ასეთი დიზაინის გამოყენების ეფექტურობა. მოცემულია ამანსხვა დიზაინის შერჩევის სხვადასხვა დიზაინის ადამეთოდების ანალიზი ქარის დანადგარების მუშაობის სხვადასხვა პირობებისთვის, ქარის სიჩქარის ცვლილების ფართო დიაპაზონში.

ასევე საკმაოდ ეფექტური იქნება ქარის ენერჯის დაგროვების ხარჯ-ფასის მეთოდით, რაც მსოფლიო აქტუალური პრობლემაა და რომლის განვითარებისთვის სყოველწლიურად იხარჯება ასობით მილიონი აშშ დოლარი.

25. სათაური; MAIN EXPECTED PROBLEMS DURING THE IMPLEMENTATION OF "INDUSTRY-4.0" REFORMS AND THEIR PRACTICAL SOLUTIONS BASED ON IMPROVING THE EFFICIENCY OF USED MECHATRONIC SYSTEMS

გამოცემის თარიღი და გამომცემლობა; ციფრული საიდენტიფიკაციო კოდი; ISBN 978-989-20-8312-4

რეზიუმე: წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ძირითადი მოსალოდნელი პოტენციური პრობლემების ანალიზის შედეგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას INDUSTRY - 4.0 რეფორმის განხორციელებისას. დადასტურებულია, რომ ამ რეფორმის განვითარების ტემპი და დონე დიდ წილად განისაზღვრება გამოყენებული მექატრონიკული სისტემების ეფექტურობით. ასევე დადგინდა, რომ რადიო ელექტრონიკული აღჭურვილობისა და მიკროელექტრონიკული აღჭურვილობისა და მიკროელექტრონიკული ტექნოლოგიების კვანძების სისტემატური

მინიატურიზაციის შედეგად, ამ რეფორმების დართული ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების მთავარი პრობლემა ინსტრუმენტული მხარდაჭერაა, განსაკუთრებით ჭრის მიკროიარაღები. აქედან გამომდინარე, ამ მიკრო-ინსტრუმენტების მაგალითები აჩვენებს მეთოდებს მათი შესრულების მახასიათებლების გასაუმჯობესებლად.

26. სათაური; Digital infrastructure in Georgia as a condition for successful application Industry 4.0.

გამოცემის თარიღი და გამომცემლობა; *Proceedings of the 4th International Scientific Conference "Industry 4.0 - 2019": Winter Session*; Borovets, Bulgaria; 11-14 December 2019. Sofia (Bulgaria): The Scientific Technical Union of Mechanical Engineering "Industry 4.0", 2019., ISSN 2535-0153.

ციფრული საიდენტიფიკაციო კოდი; ISSN 2535-0153.

მოკლე ანოტაცია: ახალი თაობის ციფრული ქარხნები Industry 4.0-ში ეფუძნება კიბერ-ფიზიკური სისტემების (CPS) დაციფრული ტექნოლოგიების კომბინაციას, რათა უზრუნველყოს წარმოების პროცესში ინტეგრირებული და ინტელექტუალური სინერგია, რომელიც აკავშირებს ფიზიკურ, ციფრულ და ვირტუალურ სამყაროს. Industry 4.0 იყენებს წარმოების სისტემებს, CPS, CPPS, SCPS და რობოტებს ციფრულ ტექნოლოგიებთან IoS, IoP, IoT, IIoT, IoE, CC და ა.შ. ქვეყნის ციფრული ინფრასტრუქტურის შეფასება შესაძლებელია განვითარების სხვადასხვა ინდექსების გამოყენებით, როგორცაა: IDI , EGDI, TII, OSI დასხვ. ნაშრომში მოცემულია განვითარების ინდექსების (DI) ტენდენციის ანალიზი ICT და ინტერნეტის გამოყენებისთვის, EGDI და TII საქართველოში 2003 წლიდან 2018 წლამდე.

27. სათაური; Chapter 15: Investigation of operational characteristics of mechatronic systems in Industry 4.0.

გამოცემის თარიღი და გამომცემლობა; *Handbook of Research on Integrating Industry 4.0 in Business and Manufacturing*. Edited by Isak Karabegović; Ahmed Kovačević; Lejla Banjanović-Mehmedović & Predrag Dašić. Hershey (Pennsylvania - USA): IGI Global, 2020, ციფრული საიდენტიფიკაციო კოდი; ISBN 978-1-7998-2725-2.

მოკლე ანოტაცია: წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ძირითადი მოსალოდნელი პოტენციური პრობლემების ანალიზის შედეგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას INDUSTRY - 4.0 რეფორმის განხორციელებისას. დადასტურებულია, რომ ამ რეფორმის განვითარების ტემპი და დონე დიდწილად განისაზღვრება გამოყენებული მექატრონიკული სისტემების ეფექტურობით. ასევე დადგინდა, რომ რადიოელექტრონული აღჭურვილობისა და მიკროელექტრონული აღჭურვილობისა და მიკროელექტრონული ტექნოლოგიების კვანძების სისტემატური მინიატურიზაციის შედეგად, ამ რეფორმების და რთული ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების მთავარი პრობლემა ინსტრუმენტული მხარდაჭერაა, განსაკუთრებით ჭრის მიკროიარაღები. აქედან გამომდინარე, ამ მიკრო-ინსტრუმენტების მაგალითები აჩვენებს მეთოდებს მათი შესრულების მახასიათებლების გასაუმჯობესებლად.

28. ნია ნათბილაძე - „ფასიანი ქაღალდების ბეჭდვის ტექნოლოგიების ეკონომიკური ეფექტიანობა“ - ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა -უაკ: 330; 625; ISSN 1512-3537

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ნაბეჭდი პროდუქციის დადგენილი ბეჭდვის ნორმები და აუცილებელი რეკვიზიტები, მათი ფორმისა და დანიშნულების მიხედვით. აღწერილია ფასიანი ქაღალდების დამზადების ტექნოლოგიური პროცესი და მასზედ დამცავი ნიშნების დატანის რეკომენდაციები, რითაც ხდება მათი დაცვა ფალსიფიკაციისა და გაყალბებისგან. სტატიაში დასაბუთებულია ტექნოლოგიური პროცესის ეკონომიკური ეფექტიანობა ინვესტიციიდან - ფასიანი ქაღალდების ბეჭდვამდე, რითაც ვფიქრობთ, ჩვენს მიერ რეკომენდირებული ტექნოლოგიური პროცესის სქემა მასალის ტექნოლოგიიდან ფასიანი ქაღალდების ბეჭდვამდე უზრუნველყოფს ხარისხიან და ეკონომიკურ ბეჭდვით პროცესს. საკვანძო სიტყვები: ობლიგაცია, მარკა, დიპლომი, სერთიფიკატი, ტექნოლოგია, ინვესტიცია.

29. ნია ნათბილაძე - „ქართული მეღვინეობისთვის განკუთვნილი სარეკლამო პროდუქციის კონსტრუირება და ტექნოლოგია“/DESIGN AND PRINT TECHNOLOGIES OF GEORGIAN WINE ADVERTISING PRODUCTS

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა/ Transport and machine building №1 (41) 2018

-უაკ: 330; 625; ISSN 1512-3537

რეზიუმე: ნაშრომში ნაჩვენებია რეკლამის როლი ბეჭდვით მედიაში. ბეჭდვითი პროდუქციის კონსტრუირების პროცესში აუცილებელი მომენტების გათვალისწინება, რომლებიც სამომავლოდ, აგვარიდებს შესაძლო დეფექტებსა და ხარვეზებს. განხილულია ჩვენს მიერ კონსტრუირებული პროსპექტი, ლოგო და პლაკატი, განკუთვნილი "ქართველ მეღვინეთა ასოციაციის" მიერ ორგანიზებული ღვინის ფესტივალისთვის; მათი ბეჭდვის ტექნოლოგიური პროცესების შერჩევის გზები და გაანგარიშებულია ღვინის სარეკლამო ნაწარმის ბეჭდვისთვის მისაღები ეკონომიური ეფექტი. აღნიშნული ეკონომიკური ეფექტი გამოიხატება ღვინის სარეკლამო პროდუქციის გაიაფებაში, რომელიც შეეხება უპირველეს ყოვლისა პოლიგრაფიულ წარმოებას. საკვანძო სიტყვები: ლოგო, პროსპექტი, რეკლამა, პლაკატი, ტექნოლოგია

30. ნია ნათბილაძე - „ბავშვთა კვების სარეკლამო-შესაფუთი ნაწარმის დამზადების ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთება“

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (41) 2018 - -უაკ: 330; 625; ISSN 1512-3537

რეზიუმე: ნაშრომში ნაჩვენებია რეკლამის ძირითადი მიზანი ბეჭდვით მედიაში, კერძოდ განხილულია შესაფუთი საშუალებების დატვირთვა პროდუქციის დახარისხებას, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციაში. ნაშრომში განხილულია ჩვენს მიერ კონსტრუირებული ლოგო და პლაკატი, განკუთვნილი საბავშვო საფუთავისათვის, აღწერილია მათი კონსტრუირების თავისებურებანი, აგრეთვე მათი ვიზუალური დატვირთულობა და შერჩეული ბეჭდვის ტექნოლოგიური პროცესების უპირატესობანი. დასაბუთებულია ბავშვთა კვების სარეკლამო-შესაფუთი ნაწარმის დამზადების ეკონომიკური ეფექტიანობა, ნაშრომში ჩატარებული გათვლები ადასტურებენ ჩვენს მიერ ჩატარებული ტექნიკური გადაწყვეტის ეფექტიანობას. საკვანძო სიტყვები: ბრენდი, რეკლამა, პროდუქცია, კონსტრუირება.

31. ნია ნათბილაძე

„საბეჭდი აპარატის ამძრავის შეწყვილებული მექანიზმი“

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა/ №3 (43) 2018

ISSN 1512-3537

რეზიუმე: სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ბეჭდვითი ნაწარმის ტექნოლოგიური პროცესის შესრულებისას იმ ფაქტორებზე, რომლებიც შემდგომში აგვარიდებს შესაძლო ხარვეზებს, რასაც სრულყოფილი პოლიგრაფიული ტექნოლოგიური პროცესების სწორად წარმართვა და მანქანა-მოწყობილობების ოპტიმალური რეჟიმების სწორი შერჩევა უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, განხილულია სამრეწველო ინჟინერიაში და კერძოდ, პოლიგრაფიულ მრეწველობაში გამოყენებული სხვადასხვა მოწყობილობათა წამყვანი მექანიზმების მუშაობის პრინციპები, არსებული მოძრავი სისტემები ჩანაცვლებულია ნაშრომში წარმოდგენილი სახროვანი მექანიზმებით და შესაბამისად კონსტრუირებულია საბეჭდი აპარატის ამძრავის შეწყვილებული მექანიზმი. საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგია, მექანიზმი, გადაცემა, ამძრავი.

32. ნია ნათბილაძე - „სამრეწველო ავტომატიზირებული მექანიზმი“

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა/ №3 (46) 2019; უაკ 514.513; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია რობოტიზებული კომპლექსი, რომელიც განეკუთვნება რობოტოტექნიკურ დარგს და შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული მანქანათმშენებლობასა და მრეწველობის სხვადასხვა დარგში. მისი გამოყენება იძლევა საწარმოო ფართის შემცირების

შესაძლებლობას, მაღლდება ავტომატიზაციის ხარისხი, იზრდება გამოშვებული პროდუქციის წარმადობა, რადგანაც კომპლექსის ყველა დეტალი მუშაობს თანმიმდევრობით ერთიანი მართვის სისტემით, რითაც შემცირებულია მუშაობის რეჟიმის დარღვევის ალბათობა, იზრდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და მცირდება თვითღირებულება. გარდა აღნიშნულისა მნიშვნელოვნად იოლდება კომპლექსში შემავალი დეტალების შეკეთება და გაწყობის შესაძლებლობა. საკვანძო სიტყვები: მანქანა, კონსტრუირება, მანიპულატორი, პროცესი, კვანძები.

33. ნია ნათბილაძე - „ფურცლოვანი მასალების საკეცი მოწყობილობა“

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა/ - №3 (46) 2019;

უკ 514.513; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია მოწყობილობა, რომელიც ზოგადად უზრუნველყოფს წამყვანი და ამჟამად რგოლების სინქრონულ ბრუნვით მოძრაობას და ასრულებს ფურცლის კეცვის ოპერაციას მაღალი ხარისხის სიზუსტის დაცვით, რაც გამორიცხავს ფურცლის ჩაჭედვის და დაზიანების შემთხვევებს, რომელიც თანამედროვე მანქანებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. სტატიაში განხილული გეომეტრიულ გარდაქმნებზე კონსტრუირებული მექანიზმი, განეკუთვნება მრეწველობის დარგს და შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა ფურცლოვანი მასალების დასტების დასაკეცად. აღნიშნული მექანიზმი, რომელიც მეშვეობითაც გამარტივებულია ავტომატიზირებული მანქანების მუშა მექანიზმების სირთულე, სასურველ დარგში შეუფერხებლად ასრულებს ოპერაციებს. საკვანძო სიტყვები: მანქანა-დანადგარები, კონსტრუირება, სისტემა, დეტალები.

34. ნია ნათბილაძე - „ოქროს კვეთისა და ფიბონაჩის რიცხვების დადებითი თვისებების რეალიზაცია პრაქტიკაში“

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა/ No1-No2 (47-48) 2020წ. ISSN 1512-3537

რეზიუმე: სტატიაში განხილულია გეომეტრიული გარდაქმნების საფუძველზე დაგეგმარებული მექანიზმები, რომლებიც გამოყენებულნი იქნებიან სამრეწველო ინჟინერიის ყველა სფეროში მომუშავე მანქანა-დანადგარების შემადგენლობაში. აღწერილია ტრადიციული მეთოდი ოქროს კვეთა, რომელიც არის - ჰარმონიული გაყოფა მთელისა ორ არატოლ ნაწილად. ნაშრომში აღწერილია ინვერსიულ გარდაქმნებსა და ოქროს კვეთის პრინციპებზე აგებული მექანიზმი, რომელიც არეგულირებს დაწნევისა და გასატარებელი სითხის კუმამეტრობის საჭირო რაოდენობას, დიდ და მცირე დიამეტრიან კვანძებში. საკვანძო სიტყვები: მანქანა, გარდაქმნა, ტექნიკა, სფერო, კვანძები.

35. ნია ნათბილაძე - „სხვადასხვა რადიუსიანი დოლების მქონე სახსრული მექანიზმი“

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა/ - №3 (49) 2020 წ. ISSN 1512-3537

რეზიუმე: სტატიიდან ნათლად ჩანს, თანამედროვე მანქანათმშენებლობაში სახსრულ-ბერკეტული მექანიზმების ფართო გამოყენება, მათი უპირატესი თვისებების გათვალისწინებით. განხილულია სამრეწველო ინჟინერიაში გამოყენებული სხვადასხვა ტექნოლოგიური მანქანების წამყვანი მექანიზმების ნაკლოვანებები. ნაშრომში წარმოდგენილია კონსტრუირებული სახსროვანი მექანიზმი, რომლის უნივერსალობა საშუალებას იძლევა ავლნიშნოთ, რომ წარმოდგენილი სახსროვანი მექანიზმით, რომლის კონსტრუქციაც გაუმჯობესებულია არსებულთან შედარებით, გამარტივებულია მექანიზმის მუშა რეჟიმი, კონსტრუქცია და დარეგულირებულია სიჩქარე. საკვანძო სიტყვები: მანქანათმშენებლობა, ტექნოლოგია, მექანიზმი, კონსტრუქცია.

36. ნია ნათბილაძე - „ინვერსიული გარდაქმნების თვისებების საფუძველზე კონსტრუირებული სახსრულ-ბერკეტული მექანიზმი

ქართული მეცნიერები Vol. 4 Issue 1, 2022

რეზიუმე: ნაშრომში წარმოდგენილია გეომეტრიულ გარდაქმნაზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ კონსტრუირებული მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს წამყვანი და ამჟამინდელი რგოლების სინქრონულ ბრუნვით მოძრაობას და ასრულებს ფურცლოვანი მასალის კეცვის ოპერაციას მაღალი ხარისხის სიზუსტის დაცვით, რაც გამორიცხავს ჩაჭედვის და დაზიანების შემთხვევებს, რომელიც თანამედროვე მანქანებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. გეომეტრიული გარდაქმნა-ინვერსიის თვისებების მეშვეობით გამარტივებულია ავტომატიზირებული მანქანების მუშა მექანიზმების სირთულე. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მექანიზმის კონსტრუქციის გამარტივებასთან ერთად მცირდება ენერგო დანახარჯები და იზრდება ხანგამხლეობა.

37. ნია ნათბილაძე - „მრავალრგოლიანი სამრეწველო რობოტის დანერგვით მისაღები მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი საქართველოს მრეწველობაში.“

ქართული მეცნიერები Vol. 4 Issue 3, 2022;

აბსტრაქტი: ნაშრომში აღწერილია თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნები, მისი ანალიზი და ის სფერო, რომელიც მთავარ ადგილს იკავებს ქვეყნის ეკონომიკის კეთილდღეობაში. ნაშრომში ჩატარებულია გეომეტრიულ გარდაქმნებზე კონსტრუირებული და დაპატენტებული მრავალრგოლიანი სამრეწველო რობოტის დანერგვით მისაღები მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი საქართველოს მრეწველობაში. მიღებული შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტი და ინვესტიციების გამოსყიდვის ვადა ადასტურებს, ჩვენს მიერ შეთავაზებული ტექნიკური გადაწყვეტის უდაო ეფექტურობას. ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, მრავალ-რგოლიანი სამრეწველო რობოტის საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშებისათვის. საკვანძო სიტყვები: რობოტი, მრეწველობა, ეკონომიკა, პროექტი, ინვესტიცია.

38. ნია ნათბილაძე - „ჰიდრავლიკურ სისტემებში სითხის რეგულირებით მისარები ეკონომიკური ეფექტი“/ ქართული მეცნიერები Vol. 4 Issue 3, 2022

რეზიუმე: ნაშრომში აღწერილია ჰიდრავლიკური სისტემების გამოყენების სფეროები და მნიშვნელობა. ხაზგასმულია, რომ ჰიდრავლიკა ეფუძნება სხვადასხვა დიამეტრის მილების შეერთებისას მათში არსებული სითხის წნევის თანაბრობას, ამასთან სითხის გადაქაჩვის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია წნევა შეიქმნას მხოლოდ იმ ზომამდე, რაც აუცილებელია მოცემული სამუშაო ამოცანების გადასაწყვეტად, რამდენადაც ნაკლები წნევა შეუძლებელს გახდის დასმული ამოცანის შესრულებას, ხოლო საჭიროზე მაღალი წნევით სითხის მიწოდება იწვევს მექანიზმის ცალკეული კვანძების და დეტალების დროზე ადრე გამოსვლას მწყობრიდან. ნაშრომში გაანგარიშებულია ჰიდრავლიკურ სისტემებში სითხის რეგულირებით მისაღები ეკონომიკური ეფექტი. მიღებული ციფრობრივი მონაცემები, ადასტურებენ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შედეგების დანერგვის ეფექტურობას.

39. თ. ბარამაშვილი - „სატრანსპორტო ლოგისტიკური ინფორმაციული სისტემის სტრუქტურული ანალიზი“

IV ქართულ-პოლონური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის კრებული „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“; 2018წ.; ISBN 978-9941-8-0567-7;

ანოტაცია: ლოგისტიკური პრინციპების და მეთოდების გამოყენების აუცილებლობა ეკონომიკის მართვის პროცესში დღითიდღე აქტუალური ხდება. ინფორმაციული ლოგისტიკა ღონისძიებათა კომპლექსური სისტემაა, რომელიც მიმართულია ინფორმაციის წარმოების მართვაზე, მისი მინიმალური შეფერხებებით მოძრაობაზე. ამავდროულად, ორგანიზებას უკეთებს მონაცემთა ნაკადს, მატერიალურ ნაკადთან ერთად და გვევლინება სამეწარმეო რგოლის განმხორციელებლად, რომელიც აკავშირებს მომარაგებას, წარმოებას და გასაღებას. ლოგისტიკური პროცესების ინფორმაციულ უზრუნველყოფი სისტემის ობიექტებს გააჩნიათ

მჭიდრო ტექნოლოგიური ურთიერთკავშირი, როგორც გეოგრაფიული რუკები, ასევე ტექნოლოგიური სქემები. ლოგისტიკური პროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა აერთიანებს რეალურ თემატურ ინფორმაციებს, რომელიც გაერთიანებულია გეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე. ეს მარტივი, მაგრამ ძალიან მოქნილი მედოთი, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის მიდგომას სხვადასხვა რეალური ამოცანის გადაჭრაში, მატერიალური, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების დროს - რეალური ვითარების დეტალური გამოხატვით.

40. თ. ბარამაშვილი, ნ. ჯავახიშვილი - „გეომეტრიული ამოცანები“

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №2(42)2018 წ.; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: მოცემულ ნაშრომში განხილულია გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა. კერძოდ, განხილულია ეილერის წრფე და ეილერის წრე. ამოცანების გადაწყვეტა ხდება გეომეტრიული გარდაქმნის ჰომოტეტიის საშუალებით, რაც ხშირ შემთხვევაში ამარტივებს და თვალსაჩინოს ხდის მათ ამოხსნას. მათემატიკური ამოცანების ამოხსნა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს როგორც სტუდენტებში, ასევე მათში ვისაც უყვარს მათემატიკა.

41. თ. ბარამაშვილი, ნ. ჯავახიშვილი

„წესიერი მრავალკუთხედების გამოხაზვის გრაფიკული მეთოდები“

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №1(44)2019 წ.; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია მრავალკუთხედების (8 კუთხედი, 12 კუთხედი, 16 კუთხედის) აგების ხერხები. ამოცანის ამოხსნა მოწოდებულია, როგორც გრაფიკული მეთოდით, ასევე კომპიუტერული პროგრამა Auto CAD-ის გამოყენებით. გრაფიკული ხერხი - როდესაც მრავალკუთხედი მიიღება გრაფიკული აგებების და გეომეტრიული გაანგარიშების საფუძველზე. კომპიუტერული ხერხი - როდესაც წინასწარ განსაზღვრული გვერდის სიდიდის მიხედვით, ბრძანება Polygon-ის საშუალებით ვლდებულობთ წრეში ჩახაზულ წესიერ n კუთხედს.

42. თ. ბარამაშვილი

„Corel DRAW - გრაფიკული დიზაინის პროგრამული უზრუნველყოფა (რასტრული სურათები, ვექტორული სურათები, ფერადი გამოსახულებები)“;

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“/№2(45)2019 წ.; - ISSN 1512-3537;

რეზიუმე: მოცემულ ნაშრომში განხილულია გრაფიკული პაკეტი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ინსტუმენტებს ვექტორულ და რასტრულ გრაფიკაში მუშაობისათვის. ეს მრავალწახნაგოვანი გრაფიკული ამოხსნა გვთავაზობს ძლიერი ინსტრუმენტების სრულ სპექტრს ვექტორულ ილუსტრაციებთან და გვერდების მაკეტებთან სამუშაოდ. რასტრული და ვექტორული გამოსახულებებისათვის განკუთვნილი ეფექტები უზრუნველყოფენ მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს ორიგინალური ილუსტრაციების, აბრების და ბეჭდვითი ლოგოტიპების ინტერნეტში პუბლიკაციებისათვის.

43. თ. ბარამაშვილი/T.Baramashvili

„გრაფიკული ფაილების ფორმატების სახეობანი და მათში გამოსახულებების შენახვა“

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №2(45)2019 წ.; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია Corel DRAW პაკეტის მუშაობის ძირითადი პრინციპები: ობიექტის შექმნა, რედაქტირება და სათანადო ადგილზე განთავსება. სურათების და ილუსტრაციების შექმნა და მათი Web-გვერდად გენერირება შემდგომ ინტერნეტში

განთავსებით. ნაშრომში აღწერილია, თუ როგორ ხდება ციფრული ინფორმაციის შენახვა გრაფიკული ფაილების ფორმატებში. გრაფიკული ფორმატების მრავალსახეობიდან განხილულია ფართოდ გავრცელებული სახეობები.

44. თ. ბარამაშვილი, ჯ. უფლისაშვილი, ნ. ნათბილაძე, ა. ყაველაშვილი;

„ოქროს კვეთისა და ფიბონაჩის რიცხვების დადებითი თვისებების რეალიზაცია პრაქტიკაში“;
გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, №1-2(47-48)2020 წ.; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია გეომეტრიული გარდაქმნების საფუძველზე დაგეგმარებული მექანიზმები, რომლებიც გამოყენებულნი იქნებიან სამრეწველო ინჟინერიის ყველა სფეროში მომუშავე მანქანა-დანადგარების შემადგენლობაში. აღწერილია ტრადიციული მეთოდი ოქროს კვეთა, რომელიც არის - ჰარმონიული გაყოფა მთელისა ორ არატოლ ნაწილად. ნაშრომში აღწერილია ინვერსიულ გარდაქმნებსა და ოქროს კვეთის პრინციპებზე აგებული მექანიზმი, რომელიც არეგულირებს დაწნევისა და გასატარებელი სითხის კუბამეტრობის საჭირო რაოდენობას, დიდ და მცირე დიამეტრიან კვანძებში.

45. თ. ბარამაშვილი

„CorelDRAW-ს ფერები და ფერთა მოდელების ურთიერთდამოკიდებულება“;
გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №3(49)2020 წ.; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია კომპიუტერზე ფერის მიღების საშუალებები. მოცემულია ფერების დახასიათება, ფერთა მოდელები, რომლებიც ყველა ფერს ციფრული კოორდინატებით წარმოადგენენ. ეს მოდელები გამოიყენება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოსახულების პიქსელების ფერის ციფრული მნიშვნელობის ჩასაწერად. ნაშრომში აღწერილია ფერის ციფრული მაჩვენებლის ჩაწერის ფერთა რეჟიმები, ფერის ჩაწერის მარტივი ვარიანტები დიდი ზომის ფაილების შემცირების მიზნით. მოცემულია გამოსახულების მოდელის შეცვლის შესაძლებლობები და საბოლოო რედაქტირება.

46. თ. ბარამაშვილი - „ინვერსიის საფუძველზე შექმნილი მექანიზმის კინემატიკური კვლევა და მათემატიკური ანალიზი“

გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №2(51)2021 წ.; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში მოცემულია ინვერსორი, რომელიც აგებულია გეომეტრიული გარდაქმნა - ინვერსიის თვისებების საფუძველზე. განხილულია მექანიზმის კინემატიკური კვლევა, რომელიც კონსტრუირებულია გეომეტრიული მეთოდების საფუძველზე გრაფიკული პროგრამა AutoCAD-ს მეშვეობით. ნაშრომში გამოყვანილია მათემატიკური გამოსახულებები ინვერსორის რგოლების მდებარეობათა და კოორდინატთა დასადგენად, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ გადამცემი მექანიზმის მოქმედების ზუსტი მდებარეობები.

47. თ. ბარამაშვილი

„ნაბეჭდი პროდუქციის ღირებულების გაანგარიშების მეთოდიკა და შეკვეთის ფასის დადგენა ავტომატიზირებულ მართვის სისტემაში „Print-Expert“;

გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“/"Transport & Mechanical Engineering"; №2(51)2021 წ.;
ISSN 1512-3537;

რეზიუმე: ნაბეჭდი პროდუქციის ღირებულება კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ხარჯების გაანგარიშების მეთოდის არჩევანი შეიძლება იყოს ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი მენეჯმენტის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად. სტატიაში

განხილულია ავტომატიზირებული მართვის პროგრამული სისტემა, რომელსაც შეუძლია ნაბეჭდი პროდუქციის ღირებულების გაანგარიშება და შეკვეთის ფასის დადგენა, ითვლის ერთეულის ღირებულებას და აჩვენებს შეკვეთის სრულ ღირებულებას. ამ ინფორმაციის შეგროვება საშუალებას იძლევა გავანალიზოთ ციფრული ბეჭდვის რეალური ხარჯები უმოკლეს დროში.

48. თ. ბარამაშვილი

„ბეჭდვით პროდუქციაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიით შექმნილი საღებავები“; გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №2(51)2021 წ.; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: საბეჭდი საღებავები ბეჭდვითი ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ნაბეჭდი პროდუქციის ხარისხზე. საბეჭდი საღებავების გამოყენება ჯერ კიდევ უძველესმა ცივილიზაციებმა დაიწყეს. მრავალმა მათგანმა გაუძლო ათასწლეულებს და ჩვენამდეც კი მოაღწია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მათ ჰქონდათ საღებავების დამზადების საკმაოდ დახვეწილი ტექნოლოგია. ტექნოლოგიების განვითარებამ, დახვეწა და მრავალფეროვანი გახადა საბეჭდი საღებავების დამზადებისა და გამოყენების სფერო. სტატიაში მოკლედ განვიხილავთ ბეჭდვის თანამედროვე მეთოდებსა და მის შესაბამის საღებავებს, ტექნოლოგიური თვალსაზრისით.

49. თ. ბარამაშვილი, ნ. ჯავახიშვილი

„ობიექტების შეუღლების მაგალითები AutoCAD კომპიუტერული სისტემის გამოყენებით“; გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“/ №3(52)2021 წ.; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: AutoCAD-ი იძლევა საშუალებას დეტალების ნახაზების შედგენისათვის, ნახაზების გამოყენების წაკითხვის უნარებს, გვეხმარება შემოქმედებითი და შემეცნებითი ამოცანების ამოხსნაში. ავითარებს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს. AutoCAD საჭიროა 2D და 3D გამოსახულებიანი ნახაზების შესრულებისათვის, როგორც ბრტყელი, ასევე სივრცითი ობიექტების მისაღებად. სტატიაში განხილულია საკმაოდ საინტერესო თემა: შეუღლების მაგალითები AutoCAD პროგრამის გამოყენებით. ობიექტების შეუღლების ალგორითმია: 1. ვიპოვოთ შეუღლების ცენტრი; 2. ვიპოვოთ შეუღლების წერტილები, რომლებიც შეუღლების რკალი გადადის შესაუღლებელ წრფეებში. 3. ავაგოთ შეუღლების რკალები, ე.ი. შევაერთოთ შეუღლების წერტილები მოცემული შეუღლების რადიუსით. განხილულია შეუღლების ძირითადი სახეები: კუთხეების სწორი ხაზების, წრეწირების და რკალების და წრეწირების წრფესთან შეუღლების მაგალითები.

50. თ. ბარამაშვილი

„მოცემული ფუნქციის აღმსრულებელი ოთხრგოლა სფერული მექანიზმის კვლევა“; გამომცემლობა

„ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“/ №2(54)2022 წ.; ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია წინასწარ განსაზღვრული ფუნქციის აღმსრულებელი ოთხრგოლა სფერული მექანიზმის კვლევის საკითხები, რომლის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სფერული მექანიზმის ბრტყელი მოდელის შექმნა და მისი ეფექტური გამოყენება შემდეგი შესწავლისათვის. ინვერსიული გარდაქმნის მეთოდების გამოყენება აღნიშნული ამოცანების შესრულების პროცესში, კერძოდ, კი სფერული მექანიზმების ბრტყელი მოდელების შექმნაში, სფერული მექანიზმების კინემატიკური ანალიზის და სინთეზის შრომატევადი სამუშაოს გამარტივების საშუალებას იძლევა.

51. თ. ბარამაშვილი

„ინვერსიის თვისებების საფუძველზე კონსტრუირებული მექანიზმის კინემატიკური კვლევა და მათემატიკური ანალიზი“

მე-6 ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“, 26-28 სექტემბერი, 2022წ.; - ISBN 978-9941-8-4775-2;

რეზიუმე: სტატიაში მოცემულია ინვერსორი, რომელიც აგებულია გეომეტრიული გარდაქმნა - ინვერსიის თვისებების საფუძველზე. განხილულია მექანიზმის კინემატიკური კვლევა, რომელიც კონსტრუირებულია გეომეტრიული მეთოდების საფუძველზე გრაფიკული პროგრამა AutoCAD-ს მეშვეობით. ნაშრომში გამოყვანილია მათემატიკური გამოსახულებები ინვერსორის რგოლების მდებარეობათა და კოორდინატთა დასადგენად, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ გადამცემი მექანიზმის მოქმედების ზუსტი მდებარეობები.

52. თ. ბარამაშვილი, ვ. ჯაჯანიძე, ნ. ბუთხუზი/T.Baramashvili; V.Jajanidze; N.Butkhuzi;

„საქალაქო საავტობუსო სამგზავრო გადაყვანების მართვის ინტერაქციული მოდელი“/Interactive model of management of city bus passenger transfers

მე-6 ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“, 26-28 სექტემბერი, 2022წ.; - ISBN 978-9941-8-4775-2;

რეზიუმე: საქალაქო სამგზავრო საავტომობილო გადაყვანების ოპტიმიზაცია უშუალოდ დაკავშირებულია მოძრავი შემადგენლობის საექსპლუატაციო-ტექნიკური პარამეტრების სწორად შერჩევასთან, მარშრუტზე მათი რაოდენობრივი მაჩვენებლების სიზუსტესა და სამუშაო პერიოდში გამოყენების ეფექტიანობასთან. თავის მხრივ მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანი გამოყენება ერთის მხრივ განპირობებულია მგზავრთნაკადის მაჩვენებლების სწორი განსაზღვრით, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნული მაჩვენებელი დიდწილადაა დამოკიდებული ტრანსპორტის მიწოდების სიხშირეზე, რაც თავის მხრივ მგზავრისათვის მიწოდებული სერვისის ხარისხზე აისახება. ნაშრომში განხილულია საქალაქო სამგზავრო გადაყვანების ინოვაციური - ინფორმაციული მართვის მოდელი, რომელიც თავის თავში ითვალისწინებს მარშრუტზე საჭირო მოძრავი შემადგენლობის, გასვლებს შორისი ინტერვალის და სხვა პარამეტრების ფორმირებას რეალურ დროში, მგზავრთნაკადის რაოდენობრივი მაჩვენებლის განსაზღვრის საფუძველზე. აღნიშნული მოდელის პრაქტიკული რეალიზება ხელს შეუწყობს საქალაქო სამგზავრო გადაყვანების ეკონომიურობის ოპტიმიზაციას და საქალაქო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების მოხერხებულობას.

53. უგრეხელიძე ირინე, ნ. ზ სუხიშვილი, თ. ზ. მოდებაძე, თ. ნ. დუმბაძე.

ხორბლის თესლის ლაზერული დამუშავება/Laser treatment of wheat seeds

საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია ინოვაციური პროცესები და ტექნოლოგიები. გვ 96-99 ISBN 978-9941-8-3352-6 ქუთაისი 2021. კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული. სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი CARYS 19-573]“

რეზიუმე: კვლევისათვის მოეწყო მარცვლეულის ლაზერული დასხივების უბანი, რისთვისაც დაგეგმარდა და დამზადდა შესაბამისი სპეც. სამარჯვები და დასხივების რეჟიმების მართვის მოწყობილობები. განხორციელდა ექსპერიმენტული სამუშაოები სხვადასხვა რეჟიმებით დასხივებული ხორბლის თესლის გაღივებისა და ხორბლის ნაზრდის შეფასებით. აღმოცენების ხარისხი და ენერგია ყველა ვარიანტში იყო ერთნაირი (100%-იანი). ოცდლიანი ნაზრდის ფენოლოგიური ფაზების შესწავლის მონაცემების მიხედვით გამოიკვეთა მკვეთრი სხვაობა კონტროლსა და დასხივებულ ნიმუშებს შორის. დასხივების ხუთი სხვადასხვა დოზიდან შეირჩა საუკეთესო ვარიანტი, სადაც დასხივებული აღმონაცენის სიმალლე მე-17 დღეს, აღემატება საკონტროლო ნიმუშს 35%-ით.

54. .მ. ახვლედიანი, ზ. ჩიტბე, ზ. ბალამწარაშვილი, თ. გოგიშვილი, რ. ტყემალაძე/ „განივგადასატანი საბაგრო მორსათრევი დანადგარის წევის ჯამური ძალის განსაზღვრა კაკვიანი საწევი ბაგირის ფერდობზე მოჭრილ ხესთან ზევიდან ქვევით ჩატანის დროს.“

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (44) 2019 უაკ: 634.36; ISSN 1512-3537

რეზიუმე: შექმნილია ორმხრივი ორსაწევბაგირიანი საბაგრო მორსათრევი დანადგარი განივგადასატანი ჩაკეტილკონტურიანი მზიდი ბაგირით. მორსათრევის ტექნოლოგიური პროცესის ოპერაციების მიხედვით ჩატარებულია გამოკვლევები საწევ ბაგირზე წევის ძალის ჯამური მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით, დამუშავებული მეთოდიკის საფუძველზე თითოეული ოპერაციისთვის შედგენილია საწევი ბაგირის მოძრაობის სქემა, დადგენილია წინააღმდეგობის ძალების სახეები და ტრასაზე მათი მოდების წერტილები. საწევ ბაგირზე მოდებული წინააღმდეგობის ძალების თანმიმდევრობითი შეკრებით მიღებულია წინააღმდეგობის ძალის ჯამური სიდიდე საწყისი წერტილიდან დოლზე ბაგირის მიწყდომის ბოლო წერტილამდე. საწევ ბაგირზე მოდებული მაქსიმალური წევის ძალის მიხედვით შერჩეულია საწევი ბაგირის კვეთის დიამეტრი და ჯალამზარის ძრავის სიმძლავრე.

55. .მ. ახვლედიანი, დ. მოსულიშვილი, ვ. აბაიშვილი, ზ. ბალამწარაშვილი, რ. ტყემალაძესაბაგრო “მორსათრევი დანადგარის სატვირთო ბაგირზე ჯამური წევის ძალის განსაზღვრა მოჭრილი ხის ფერდობზე ქვევიდან ზევით მორთრევის დროს”

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №2 (45) 2019 უაკ: 634.36; ISSN 1512-3537

რეზიუმე: დამუშავებული მეთოდიკის საფუძველზე მორთრევის ტექნოლოგიური პროცესის მეორე და მესამე ოპერაციებისათვის საწევ ბაგირზე წევის ძალის ჯამური მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით: შედგენილია საწევი ბაგირის ტრასებზე მოძრაობის სქემები და დადგენილია წინააღმდეგობის ძალების მოდების წერტილები; წინააღმდეგობის ძალების თანმიმდევრობითი შეკრებით თითოეულ ოპერაციისათვის მიღებულია წინააღმდეგობის ძალის ჯამური მაქსიმალური სიდიდე, რომლის მიხედვითაც შერჩეულია საწევი ბაგირის კვეთის დიამეტრი და ჯალამზარის ელ. ძრავის სიმძლავრე

56. 3.ხ. ამყოლაძე, ნ. ნიკვაშვილი, ზ. ბალამწარაშვილი, რ. ტყემალაძე

“ორნამენტის მოსაჭრელი ავტომატური ჩარხის ბიჯური კონვეიერის ბიჯის ცდომილების სალიკვიდაციო მექანიზმი”

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №2 (45) 2019 - უაკ: 634.36; ISSN 1512-3537

რეზიუმე: დამუშავებულია და შექმნილია ორნამენტის მოსაჭრელი ავტომატური ჩარხის ბიჯური კონვეიერის ბიჯის ცდომილების სალიკვიდაციო მექანიზმი, სადაც ბიჯური კონვეიერის ხრახნული მექანიზმის ქანჩი შესრულებულია ცილინდრული ფორმის, რომლის ზედა ტორსულ ნაწილზე, ხრახნის ღერძის პერპენდიკულარულად დატანილია ისარი დაკავშირებული მხრეულაზე უძრავად დამაგრებულ, ხრახნის ღერძის პარალელურად განლაგებულ ბიჯის სიდიდის მაჩვენებელ ბრტყელ ლიმბთან, ხოლო ცილინდრული ქანჩის მსახველზე, ხრახნის ღერძის პარალელურად დატანილი ისარი დაკავშირებულია ხრახნზე განმხოლოებულად დასმული ქანჩის ზედა ტორსზე დამაგრებულ ბიჯის ცდომილების სალიკვიდაციო მნიშვნელობის მაჩვენებელ წრიულ ლიმბთან, ამასთან ბიჯის ცდომილების დამაფიქსირებელი და ბიჯის ცდომილების სალიკვიდაციო წრიული ლიმბის მაჩვენებელი დანაყოფების მნიშვნელობები ურთიერთმესაბამისობაშია, რაც მიღწეულია აღნიშნული ლიმბების მოქმედებაში მომყვანი მექანიზმების გადამცემი პარამეტრების ურთიერთდამაკავშირებელი თეორიული გათვლებისა და ექსპერიმენტული ცდების შედეგად.

57. 4.მ. ახვლედიანი, ზ. ჩიტბე, ზ. ბალამწარაშვილი, თ. გოგიშვილი, რ. ტყემალაძე

“საბაგრო მორსათრევი დანადგარის სატვირთო ბაგირზე ჯამური წევის ძალის განსაზღვრა განივგადასატანი მზიდ ბაგირზე დაკიდებულ მდგომარეობაში მორთრევის დროს.”

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №3 (46) 2019 - უაკ: 634.36; ISSN 1512-3537

რეზიუმე: დამუშავებული და შექმნილია ორმხრივი ორსაწევბაგირიანი განივგადასატანი საბაგრო მორსათრევი დანადგარის გამარტივებული სქემა. ჩატარებულია საბაგრო დანადგარის სატვირთო ბაგირზე წვეის ძალის საანგარიშო გამოკვლევა განივგადასატან მზიდ ბაგირზე დაკიდებულ მდგომარეობაში მორთრევის ტექნოლოგიური პროცესის მეოთხე ოპერაციის შესრულების დროს. ტრასაზე წინააღმდეგობის ძალების მოდების წერტილებია I-XX; XX ბოლო წერტილში ანუ საწევი ბაგირის დოლზე მიწყდომის წერტილში წინააღმდეგობის ჯამური ძალის მნიშვნელობა ტოლია 639 კვძ; შერჩეულია საწევი ბაგირის კვეთის დიამეტრი 8 მმ და ჯალამბრის ელ. ძრავა 4 კვტ სიმძლავრით.

58. 5.ნ. ბჟალავა, თ. გოგიშვილი, რ. ტყემალაძე, ზ. ბალამწარაშვილი

„ტყესაკაფი სამუშაო პროცესის კომპლექსური ექანიზაციის № 11ა ტექნოლოგიური სქემის დამუშავება“ ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №3 (55) 2022 - უაკ: 634.36; ISSN 1512-3537

რეზიუმე: ნაშრომში დასმულია საქართველოს მთაგორიანი ტყესაკაფების ათვისების სირთულის საკითხები, რაც განპირობებულია რთული რელიეფური და ეკოლოგიური პირობებით. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის ძიებასა და დანერგვას. ამ მიზნით, დამუშავებულია ტყესაკაფი სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის ეკოლოგიურად უვნებელი № 11ა ტექნოლოგიური სქემა, რომელიც წარმოადგენს № 1 და № 7 ტექნოლოგიური სქემების შერწყმას და ითვალისწინებს რთული ტყესაკაფების ათვისებას მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატებისა და განივგადასატანი საბაგრო მორსათრევი დანადგარების საშუალებით.

59. ლ. გუგულაშვილი, ი. ხოსიტაშვილი, გ.გუგულაშვილი. ჰიდრო-გენერატორების გაცივების სისტემების ეფექტურობის ამაღლების პერსპექტივები. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ~მეცნიერება და ტექნოლოგიები~ #1 (727), თბილისი, 2018 წ. გვ. 50-55.

განხილულია დღეისათვის ჰიდროგენერატორების გაცივებისათვის გამოყენებული სხვადასხვა სისტემა და ნაჩვენებია მათი დადებითი და უარყოფითი თავისებურებები. დასახულია ჰიდროგენერატორების გაცივების სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა. ელექტროგენერატორების ნორმალური მუშაობის აუცილებელი პირობაა მათი მუშაობის პროცესში წარმოქმნილი სითბოსა და ტენის მოცილება. ჰიდროგენერატორების გაცივების სისტემის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შემოთავაზებულია გენერატორში ცირკულირებული ჰაერის გაცივება და შრობა კონდიციონერის საორთქლებელთან კონტაქტის პირობებში, რაც უზრუნველყოფს ამ ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის სტაბილურობას გენერატორის გარეთ არსებული პირობებისაგან დამოუკიდებლად.

60. ე.სადალაშვილი, ი.ხოსიტაშვილი, გ.გუგულაშვილი. ჩაის ფერმენტაციის ინტენსიფიკაცია ოზონის გამოყენებით. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ”მეცნიერება და ტექნოლოგიები” #1 (727), თბილისი, 2018 წ. გვ. 110-114.

აღწერილია ჩაის ფერმენტაციის პროცესი და ნაჩვენებია, რომ ფერმენტაციის ინტენსიფიკაციისათვის გარემომცველ ჰაერში შემავალი ჟანგბადის ნაცვლად შესაძლებელია ოზონის გამოყენება. ეს უზრუნველყოფს მცირემწარმოებლური ფერმერული ჩაის ფაბრიკების პირობებში ნაკლები ეკონომიკური დანახარჯებისა და ტექნოლოგიური პროცესის მცირე ხანგრძლიობის პირობებში მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას. წარმოდგენილია ახალი საფერმენტაციო მანქანა, რომელშიც ოზონის გამოყენების შედეგად გრეხილი ჩაის ფერმენტაციის პროცესი მიმდინარეობს ჩვეულებრივთან შედარებით გაცილებით უფრო სწრაფად და ხარისხიანად, რასაც მცირემწარმოებლური საწარმოსათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

61. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. კასკადური ტიპის თერმოელექტრული საავტომობილო მაცივარი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 წ. #1 (507), გვ. 64-71.

რეზიუმე: თერმოელექტრულ მაცივრებს არ გააჩნიათ მოძრავი და მოხახუნე ნაწილები, უხმაურონი და საიმედონი არიან მუშაობაში და იძლევიან ტემპერატურის ზუსტი რეგულირების საშუალებას.

კასკადური ტიპის თერმოელექტრული მაცივარი მანქანა საშუალებას იძლევა: მისი კონსტრუქციის ცივსა და ცხელ ზედაპირებზე მაქსიმალური ტემპერატურათა სხვაობის მიღებისა, სიცივის მწარმოებლობის მაქსიმალური სიდიდის მიღწევისა და სამაცივრე კოეფიციენტის გაზრდისა. ასეთი მაცივრების დასამზადებლად არ არის საჭირო არავითარი კომპრესორები, ტუმბოები, მაცივარაგენტები, სამაცივრე ზეთები, ძვირად ღირებული ავტომატიკის მთელი რიგი მოწყობილობები, მილგაყვანლობის არმატურა და სხვა დამხმარე ელემენტები. ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაცივრის წარმოდგენილი კონსტრუქცია იძლევა ფულადი სახსრების დიდ ეკონომიას.

62. თ. მეგრელიძე, გ.გუგულაშვილი, თ.ისაკაძე. საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამუშავების ახალი ტექნოლოგია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 წ. #1 (507) გვ. 56-63.

რეზიუმე: განხილულია საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამუშავების არსებული ტექნოლოგია. ნაჩვენებია, რომ უჯრედული წვენი ფერმენტაციის თავიდან აცილებისათვის შესაძლებელია ნედლეულის სწრაფი გაყინვა თხევადი აზოტის გამოყენებით. გარემომცველი ჰაერის ჟანგბადი გავლენას ვერ ახდენს გაყინულ უჯრედულ წვენზე, რის გამოც შესაძლებელი ხდება გაყინული მცენარეული ნედლეულის სასურველი დროით შენახვა. წარმოდგენილია მცენარეული ნედლეულის გადამუშავების ახალი ტექნოლოგია. ახალი ტექნოლოგია ითვალისწინებს ფოთლის გაყინვას თხევადი აზოტის გამოყენებით, გაყინული ფოთლის დაქუცმაცებას სასურველ ზომებამდე მექანიკური სამსხვრევი მანქანის გამოყენებით, დაქუცმაცებული მასის გაღობას და შრობას ფსევდო-გათხევადებულ ფენის პირობებში.

63. თ. მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. პროპანზე მომუშავე აბსორბციული მაცივარი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 წ. # 2 (508), გვ. 47-

რეზიუმე: თავისი სახელწოდება აბსორბციულმა მანქანებმა მიიღეს მათში მიმდინარე აბსორბციის პროცესისაგან, ანუ თხევადი ან მყარი მშთანთქმელის მიერ მაცივარ-აგენტის იმ ორთქლის შთანთქმისაგან, რომელიც წარმოიქმნება საორთქლებელში. მაცივარაგენტს წარმოადგენს ამიაკი. ამიაკის ორთქლი შთანთქმება წყლით, რის შედეგადაც წარმოიქმნება წყალ-ამიაკის ხსნარი.

ინოვაციურ აბსორბციულ მაცივარ მანქანაში კვების წყაროდ გამოყენებულია საწვავი აირი პროპანი, რაც საშუალებას იძლევა მისი მუშაობის უზრუნველყოფისა ელექტროენერჯის გარეშე. ეს კი ძალზედ ზრდის მის ეკონომიურ ეფექტურობას.

64. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ინოვაციური კონსტრუქციის მაცივარ-აგენტების ევაკუატორი მანქანა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 წ. #2 (508), გვ. 54-59.

რეზიუმე: ინოვაციური კონსტრუქციის მაცივარაგენტების ევაკუატორი მანქანა დამზადებულია BK-1500 კონდიციონერის ბაზაზე. იგი გამოირჩევა თავისი კონსტრუქციის სიმარტივით. ქარხნული წარმოების ევაკუატორებისგან განსხვავებით მას აქვს დიდი წარმადობა, მუშაობს ნებისმიერი მაცივარაგენტების ევაკუაციისათვის და მისი კონსტრუქცია იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი დაიშალოს ორ ძირითად კვანძად: 1) როგორც ვაკუუმ-ტუმბო და 2) როგორც

ჰაერის გაგრილების გარსაცმშილებიანი კონდენსატორი. ეს ორივე კვანძი ერთმანეთთან ერთდება ფიტინგიანი და ონკანიანი შლანგით და სწორედ მათი ასეთი შეთანწყობა წარმოადგენს ინოვაციური კონსტრუქციის მაცივარაგენტების ევაკუატორს. ევაკუატორის კომპრესორის გამოყენება შეიძლება არა მარტო სამაცივრო სისტემის ვაკუუმაციისათვის, არამედ სამაცივრო სისტემაში ჭარბი წნევის შესაქმნელად, რითაც შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს მაცივარტექნიკოსებს გაჟონვების ადგილების აღმოჩენის საქმეში. ასეთი ტიპის მაცივარაგენტების ევაკუატორების დამზადება ქარხნული წარმოების ევაკუატორებისაგან განსხვავდებით გამოირჩევა ფულადი სახსრების დიდი ეკონომიით.

65. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ინოვაციური კონსტრუქციის ვაკუუმ-ტუმბო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 წ. # 3 (509), გვ. 136-141.

რეზიუმე: როტაციული კომპრესორის ბაზაზე დამზადებული ინოვაციური კონსტრუქციის ვაკუუმტუმბო გამოირჩევა მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის და წინსვლა-უკუსვლით მოძრავი დგუმების არ ქონით, ამიტომ ამ ტიპის ვაკუუმ-ტუმბოს დგუმიან ვაკუუმ-ტუმბოებთან შედარებით აქვს შედარებით მცირე მასა და მოძრავი ნაწილების მცირე რაოდენობა. როტაციული კომპრესორის ბაზაზე დამზადებული ინოვაციური კონსტრუქციის ვაკუუმტუმბოს არ აქვს შემწოვი სარქველი, გამოირჩევა მომსახურების სიმარტივით და ძალზედ საიმედოა მუშაობაში. ვაკუუმ-ტუმბოში ჩატვირთულია 300 გრამი მინერალური ზეთი. ვაკუუმ-ტუმბო უზრუნველყოფს სამაცივრო აგრეგატების ვაკუუმაციისათვის აუცილებელ წნევას და გამოირჩევა ძლიერი წარმადობით. როგორც ცნობილია ქარხნული წარმოების ვაკუუმ-ტუმბოები არიან ძვირად ღირებულნი, ხოლო რაც შეეხება აღნიშნული კონსტრუქციის ვაკუუმ-ტუმბოს დამზადება ჯდება გაცილებით იაფი, ვიდრე ქარხნული წარმოებისა, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ასეთი ტიპის ვაკუუმ-ტუმბოები დიდად წაადგებათ სამაცივრო ტექნიკის სპეციალისტებს სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას და მნიშვნელოვნად შეამცირებს ექსპლოატაციის ხარჯებს.

66. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ავტომობილის საბურავების უტილიზაცია და რეციკლირება კრიოგენული ტექნიკის გამოყენებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 წ. # 3 (509), გვ. 142-147.

რეზიუმე: განხილულია დაზიანებული და შემდგომი გამოყენებისათვის გამოუსადეგარი საბურავების უტილიზაციის საკითხები. სხვადასხვა მეთოდებს შორის ყველაზე მისაღებ საშუალებად მიღებულია გამოუსადეგარი საბურავების გაყინვა თხევადი აზოტის დუდილის ტემპერატურამდე (-1960°C) და შემდგომი დაქუცმაცება დამსხვრევის გზით. შემოთავაზებულია გამოუსადეგარი საბურავების გადამუშავების ახალი ტექნოლოგია, რომელიც გულისხმობს მათ გაყინვას თხევადი აზოტის ტემპერატურამდე, წინასწარ დაქუცმაცებას მსხვილ ნატეხებად, ლითონის რგოლების მოცილებას და საბოლოოდ რეზინის მსხვილი ნატეხების წვრილ ნაწილაკებად დაქუცმაცებას. ამასთან, წვრილ ნაწილაკებად დაქუცმაცებისას მანქანაში ჩატვირთვის დროს ადგილი აქვს თხევადი აზოტის განმეორებით მიწოდებას გადამუშავების პროცესში ამ ნატეხების მიერ გარემოდან მიღებული სითბოს კომპენსაციის მიზნით. წარმოდგენილი ტექნოლოგიის განსახორციელებლად შემოთავაზებულია შესაბამისი მოწყობილობა. არსებულ მოწყობილობებთან შედარებით წარმოდგენილი დანადგარის უპირატესობას წარმოადგენს რეზინის დაქუცმაცება გაყინულ მდგომარეობაში, რაც იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს.

67. ლ.პაპავა, ლ.გუგულაშვილი, მ.რაზმაძე, ე.სადალაშვილი, გ.გუგულაშვილი. გამახურებელი ზედაპირიდან სითხეზე სითბოს გადაცემის ინტენსიფიკაცია. სამეცნიერო-ტექნიკური რეფერირებადი ჟურნალი „ენერჯია“. თბილისი: 2018 წ. # 4 (88). გვ. 16_20.

რეზიუმე: განხილულია სითხეების გამაცხელებელი მოწყობილობები და ნაჩვენებია, რომ მათი სიმძლავრისა და მწარმოებლობის გადიდების დამაბრკოლებელ ძირითად მიზეზს წარმოადგენს გამახურებელ ზედაპირსა და გასაცხელებელ სითხეს შორის სითბოს გადაცემის ეფექტურობის გადიდების სირთულე. ამის მიზეზია ელექტროგამახურებლის სიმძლავრის ზრდასთან უშუალოდ დაკავშირებული სითხის ორთქლის აკვის წარმოქმნა, რომელიც ხელს უშლის გამახურებლიდან სითხეზე სითბოს გადაცემას და, ამასთანავე, სითბოს არინების შემცირების პარალელურად, იწვევს გამახურებელი ელემენტის ტემპერატურის დასაშვებზე მეტად გადიდებას, მის გადაწვას და მწყობრიდან გამოყვანას. წარმოდგენილია სითხეების გამაცხელებელი მოწყობილობის ახალი კონსტრუქცია, რომელშიც სითხის გამახურებელი ელემენტი აღჭურვილია ორთქლის აკვის დამრღვევი მოწყობილობით, რომელიც სითხის გაცხელებისას წარმოქმნილი კონვექციური ნაკადების გამოყენებით ახორციელებს გამახურებლის ზედაპირიდან ორთქლის აკვის მექანიკურ მოცილებას და მის ნაცვლად ცივი სითხის მიწოდებას.

68. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შრობა თხევადი აზოტის გამოყენებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 წ. # 4 (510), გვ. 68-73.

რეზიუმე: წარმოდგენილია ხილის საშრობი დანადგარი, რომელიც მუშაობს კრიოგენული ტექნოლოგიის მეშვეობით. კრიოაგენტად გამოიყენება თხევადი აზოტი. როგორც ცნობილია თხევადი აზოტის დუღილის ტემპერატურა ერთ ატმოსფერულ წნევაზე აღწევს -196°C -ს, ამიტომ ასეთ დაბალ დუღილის ტემპერატურაზე შემუშავებულ საშრობ დანადგარს შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს პროდუქტის შრობის ეფექტურობა. ასეთი ტიპის დანადგარი კლასიკური ტიპის საშრობებისგან გამოირჩევა საკმაო სიიფით. იგი არ საჭიროებს ძვირად ღირებული: კომპრესორულ-კონდენსატორული აგრეგატების, ტუმბოების, საორთქლებლების, ავტომატიზაციის მაკონტროლებელი ხელსაწყოების, მაცივარაგენტების და სამაცივრო ზეთების გამოყენებას.

69. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. სუბლიმაციური შრობის გამოყენება კვების პროდუქტების ხარისხის შესანარჩუნებლად. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2018 წ. # 4 (510), გვ. 88-96.

რეზიუმე: განხილულია შრობის მაღალტემპერატურული და სუბლიმაციური მეთოდები. ნაჩვენებია, რომ შრობის პროცესში მაღალი ტემპერატურის ზემოქმედება იწვევს გასაშრობ ნედლეულში შემავალი ცილების, ცხიმების, ნახშირწყლებისა და სხვა სასარგებლო ელემენტების დაშლას და ორგანიზმის მიერ მათი შეთვისების უნარის შემცირებას. გარდა ამისა, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით ადგილი აქვს აღნიშნული სასარგებლო ელემენტების სითხეში ხსნადობის გადიდებასა და უჯრედულ წვენში მათი წილის მომატებას. შრობის პროცესში კი უჯრედიდან აორთქლებულ წყალთან ერთად იკარგება მასში გახსნილი სასარგებლო ელემენტების მნიშვნელოვანი ნაწილი. საწყის ნედლეულში შემავალი სასარგებლო ელემენტების დაშლა და მათი ნაწილის წყლის ორთქლთან ერთად დაკარგვა კი განაპირობებს საბოლოო პროდუქტის ხარისხის გაუარესებას. სუბლიმაციური შრობის შემთხვევაში კი ნედლეული წინასწარ იყინება, რაც გამორიცხავს მასში არსებული სასარგებლო ელემენტების დაშლას. ამასთან, გაყინვის პროცესში ადგილი აქვს უჯრედული წვენიდან წყლის გამოყინვას კრისტალების სახით, რა დროსაც უჯრედში წარმოიქმნება წყლის კრისტალები, ხოლო გაუყინავად დარჩენილ უჯრედულ წვენში სასარგებლო ელემენტების კონცენტრაცია იზრდება. სუბლიმაციური შრობის პროცესში სწორედ წყლის კრისტალები გადადის ორთქლის მდგომარეობაში, ხოლო უჯრედულ წვენში არსებული სასარგებლო ელემენტები კვლავ პროდუქტის შედგენილობაში რჩება. ეს განაპირობებს სუბლიმაციური შრობის უპირატესობას მაღალი ტემპერატურის გამოყენებით შრობასთან შედარებით. სუბლიმაციური შრობისათვის

პროდუქტის წინასწარი გაყინვის მეთოდებად შემოთავაზებულია სწრაფი და ზესწრაფი გაყინვის მეთოდები (გაყინვა თხევადი აზოტის გარემოში, ფლუიდიზაცია, სემიფლუიდიზაცია), რომლებიც განაპირობებს უჯრედებში ისეთი მცირე ზომის კრისტალების წარმოქმნას, რომლებიც არ აზიანებს უჯრედების კედლებს და, ამასთან, ადვილად ორთქლდება. სუბლიმაციური შრობის ოპტიმალურ პარამეტრებად შემოთავაზებულია 268-273°C ტემპერატურა და წნევა 133000-580 პა-ის ფარგლებში.

70. ლ.პაპავა, ვ.ღვაჩლიანი, მ.რაზმაძე, გ.გუგულაშვილი. კონდიციონერულ შენობაში ჰაერის ტენიანობის ასამაღლებელი მოწყობილობა. სამეცნიერო-ტექნიკური რეფერირებადი ჟურნალი „ენერჯია“. თბილისი: 2018 წ. 1 2-3 (94-95). გვ. 26-31.

რეზიუმე: განხილულია კონდიციონერულ შენობებში ჰაერის ტენიანობის ამაღლების საკითხი. წარმოდგენილია შენობებში ჰაერის დამტენიანებელი ახალი მოწყობილობა, რომელშიც ჰაერის დატენიანება ხორციელდება ფოროვანი ფითილის ზედაპირიდან ამ ჰაერის მიერ ტენის შთანთქმის გზით. ფოროვანი ფითილის მეორე ბოლო განლაგებულია წყლის აბაზანაში და მუდმივად წყლითაა გაჟღენთილი. ახალი მოწყობილობა იძლევა ლითონტევადობის და მოხმარებული ენერჯიის შემცირების საშუალებას

71. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. გაყინული თევზის გასაღობი და საშრობი გვირაბული ტიპის ინოვაციური დანადგარი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2019 წ. # 2 (512), გვ. 89-95.

ანოტაცია. გაყინული თევზის გასაღობი გვირაბული ტიპის ინოვაციური დანადგარი უნივერსალური სისტემაა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია როგორც გაყინული თევზის გაღობა, ისე გამოშრობა დამარილების დროს. დანადგარი გამოირჩევა მუშაობის მაღალეფექტურობით, კონსტრუქციის სიმარტივით, მცირე ენერგოდანახარჯით, კომპაქტურობით, მცირე გაბარიტით და მცირე ლითონტევადობით. ასეთი ტიპის ინოვაციური ტექნოლოგიური კონდიციონერი მზადდება ფანჯრის ტიპის კონდიციონერ BK-1500-ის ბაზაზე. მისი სიცივის მწარმოებლობა $\dot{Q} = 1740$ ვატის ტოლია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მისი გამოყენება მიზანშეწონილი იქნება მცირე საწარმოებისთვის. ეს კი ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის ამ კუთხით განვითარებას. ასეთი ტიპის ტექნოლოგიური კონდიციონერის მომსახურება გამოირჩევა ფულადი დანახარჯის დიდი ეკონომიით.

72. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ინოვაციური კონსტრუქციის ორსაფეხურიანი როტაციული კომპრესორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2019 წ. # 2 (512), გვ. 96-102.

ანოტაცია. ინოვაციური კონსტრუქციის ორსაფეხურიანი როტაციული კომპრესორი გამოირჩევა აგებულების სიმარტივით, მცირე გაბარიტებით და ლითონტევადობით. ასეთი ტიპის კომპრესორი მუშაობს ერთი ელექტროძრავით, რომლის ამძრავი ინვერტორული ტიპისაა. ამ კომპრესორს არ გააჩნია შემწოვი სარქვლები, რაც დიდ როლს ასრულებს მისი კონსტრუქციის გამარტივებაში. ინოვაციური კონსტრუქციის ორსაფეხურიანი კომპრესორი გამოირჩევა მომსახურების სიიოლით და საიმედოობის მაღალი ხარისხით. კომპრესორი დამზადებულია BK-1500 მარკის კონდიციონერის როტაციული კომპრესორის მოდერნიზაციის ბაზაზე. კომპრესორში ჩატვირთულია 300 გრამი მინერალური ზეთი. ორსაფეხურიანი როტაციული კომპრესორი აღჭურვილია შუალედური გაცივების სისტემით, სადაც მაცივარაგენტის შუალედური გაცივება ხდება ღერძულა ვენტილატორით, რომელიც დამონტაჟებულია კომპრესორის ძრავას ლილვზე. მამსადაძე, ერთი ელექტროძრავა ემსახურება როტაციული კომპრესორის ორივე საფეხურს და შუალედური გაცივების სისტემას, ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს ელექტროენერჯიის დანახარჯს.

73. ლ.გუგულაშვილი, თ.ისაკაძე, ე.სადალაშვილი, გ.გუგულაშვილი. დგუშიანი კომპრესორის ცილინდრში მაცივარ-აგენტის ორსაფეხურიანი კუმშვის განხორციელების შესაძლებლობა. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ~მეცნიერება და ტექნოლოგიები~ # 2 (731), თბილისი, 2019 წ. გვ. 45-51.

მაცივარი მანქანის მუშა აგენტის დუღილის ტემპერატურის შემცირების ან კონდენსაციის ტემპერატურის მომატების შემთხვევაში მკვეთრად იზრდება შეუქცევადი თბური დანაკარგები და საგრძნობლად მცირდება ციკლის შექცევადობის კოეფიციენტი. ამის თავიდან აცილების მიზნით _30 0K-დან _50 0K-მდე დუღილის ტემპერატურების შემთხვევაში იყენებენ ორსაფეხურიან მაცივარ მანქანებს, ხოლო უფრო დაბალი ტემპერატურების შემთხვევაში _ სამსაფეხურიანს ან კასკადურს. ეს მაცივარი მანქანები საკმაოდ ფართოდ გამოიყენება სამაცივრო ტექნიკაში. მაგრამ, მიუხედავად ძირითადი ამოცანის (მაცივარ-აგენტის კუმშვის ხარისხის გადიდება) გადაწყვეტისა, აღნიშნული მაცივარი მანქანები ხასიათდება რთული კონსტრუქციით, ლითონტევადობითა და დიდი ენერგოდანახარჯებით. ამიტომ საჭირო გახდა ახალი გადაწყვეტილებების ძიება.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებულია დგუშიანი კომპრესორის ახალი კონსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს ერთ ცილინდრში ერთი დგუშის გამოყენებით მუშა აგენტის ორსაფეხურიანი კუმშვის განხორციელების შესაძლებლობას. ახალ კონსტრუქციაში ხორციელდება მუშა აირის კუმშვა ორ საფეხურად: მუშა ცილინდრში დგუშის ერთ მხარეზეა აირის კუმშვის პირველი საფეხური, ხოლო მეორე მხარეზე _ უკვე შეკუმშული აირის მეორეული კუმშვა; მათ შორის კი ხორციელდება აირის შუალედური გაცივება, რაც უზრუნველყოფს მაცივარი მანქანის კონსტრუქციის გამარტივებას, ლითონტევადობისა და ენერგოდანახარჯების შემცირებას.

74. თ.ისაკაძე, ლ.პაპავა, ე.სადალაშვილი, მ.რაზმაძე, გ.გუგულაშვილი. საკვები პროდუქტების შრობის ახალი მეთოდი. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ~მეცნიერება და ტექნოლოგიები~ # 2 (731), თბილისი, 2019 წ. გვ. 73-78.

რეზიუმე: განხილულია პროდუქტების შრობის პროცესი. ამ პროცესში არსებული ცნობილი მეთოდები ვერ უზრუნველყოფს ვერც პროდუქტიდან ტენის აორთქლების ინტენსიურად წარმართვას და ვერც პროდუქტში არსებული ყველა სასარგებლო ელემენტის შენარჩუნებას. შემოთავაზებულია შრობის ახალი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ჩვეულებრივი ტემპერატურის მქონე ატმოსფერული ჰაერის გამოყენებას. საშრობ კამერაში ჰაერის მიწოდების წინ ხდება მასში არსებული ტენის სრული მოცილება. გასაშრობი პროდუქტისა და მუშა აგენტის ტემპერატურების ტოლობა გამორიცხავს პროდუქტში ტემპერატურული ცვლილებებით გამოწვეულ სასარგებლო ელემენტების დაშლას და მათი ფუნქციების შეცვლას. შრობისათვის სრულიად ტენგამოცლილი ჰაერის გამოყენება კი განაპირობებს შრობის პროცესის წარმართვას მხოლოდ ტენიანობათა სხვაობის, ანუ ტენგამტარობის ხარჯზე, რაც განაპირობებს პროცესის მაქსიმალურ ინტენსიურობას. ამასთან, შეიქმნება პროდუქტის ტენიანობის მაქსიმალურად შემცირების შესაძლებლობა, რადგან პროდუქტის ტენიანობა მიისწრაფვის მუშა აგენტის ტენიანობისაკენ, რომელიც ჩვენს შემთხვევაში ახლოსაა ნულოვან მნიშვნელობასთან.

75. ვ.ღვარჯიანი, გ.გუგულაშვილი. წყლის როლი ადამიანის კვების სისტემაში. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი "მეცნიერება და ტექნოლოგიები" # 3 (732), თბილისი, 2019 წ. გვ. 9-14.

რეზიუმე: განხილულია ადამიანის მიერ ყოველდღიურად დასალევი წყლის რაოდენობის საკითხი. ნაჩვენებია, რომ ადამიანისათვის ყოველდღიურად დასალევი წყლის საჭირო რაოდენობა დამოკიდებულია მის როგორც შინაგან, ისე გარეგან მრავალ ფაქტორზე. ამ ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანესია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და კვების სტილი. ადამიანისათვის არასასურველია როგორც საჭირო რაოდენობაზე ნაკლები, ისე ზედმეტი წყლის დალევა. დასაბუთებულია, რომ ჯანმრთელი ადამიანისათვის წყლის საჭირო რაოდენობის

განსაზღვრა უნდა მოხდეს ორგანიზმის მოთხოვნილების შესაბამისად: ადამიანმა უნდა დალიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც სწყურია და უნდა დალიოს იმდენი, რომ დაიკმაყოფილოს წყურვილის შეგრძნება.

76. გ.გოლეთიანი, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ხილისა და მწვანის სიცივით დამუშავების ჰიდროაეროზოლური ტექნოლოგია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2019 წ. 1 3 (513), გვ. 54-60.

ანოტაცია. ხილისა და მწვანის ხარისხის შენარჩუნების უნივერსალური მეთოდი მათი სიცივით დამუშავების ჰიდროაეროზოლური ტექნოლოგიაა. ეს მეთოდი გულისხმობს საკანში საჭირო ტემპერატურის შექმნასთან ერთად პროდუქტისთვის აუცილებელი ფარდობითი ტენიანობის შექმნას და შენარჩუნებას ანუ ინოვაციური ტექნოლოგია ხილის და მწვანის კლასიკური შენახვის მეთოდებისგან განსხვავებით, პროდუქტის გაცივებასთან ერთად ითვალისწინებს მის დატენიანებას სპეციალური დამტენიანებელი მოწყობილობით, რომელსაც შეუძლია წყალი გააფრქვიოს მცირედისპერსიულ ნაწილაკებად. დამტენიანებლებად გამოიყენება ტანგენციური ტიპის ფრქვევანა, რომელსაც ხილის ან მწვანის სათავსში შეუძლია შექმნას წყლის ნისლის არე. ვინაიდან ხილი და მწვანილი ითვლება ცოცხალ პროდუქტებად, ამიტომ ინოვაციური სამაცივრო დანადგარის სქემაში გათვალისწინებულია მომდენ-გამწოვი ვენტილაცია, რომლის მეშვეობითაც საკნიდან გამოიდევენება ნამუშევარი ჰაერი და მის ადგილს შეავსებს გარემოდან მიწოდებული სუფთა ჰაერი. ასეთი ტიპის დანადგარი გამოირჩევა ფულადი სახსრების ეკონომიით და კონსტრუქციის სიმარტივით.

77. გ.გოლეთიანი, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. საყოფაცხოვრებო მაცივრის დგუშიანი კომპრესორის სადიაგნოსტიკო ინოვაციური მოდულატორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2019 წ. # 3 (513), გვ. 61-67.

ანოტაცია. საყოფაცხოვრებო მაცივრის დგუშიანი კომპრესორის სადიაგნოსტიკო ინოვაციური მოდულატორი არის უნივერსალური ხელსაწყო, რომელსაც შეუძლია საყოფაცხოვრებო მაცივრის კომპრესორის სრული დიაგნოსტიკა. იგი გამოირჩევა კომპაქტურობით, ელექტრომოწყობილობის სიმარტივით, მუშაობის ხანგამძლეობით, მცირე გაბარიტებით და წონით. ასეთი ტიპის ხელსაწყო ძალზე აიოლებს სამაცივრო ტექნიკის მექანიკოსის მუშაობას. მისი არქონის შემთხვევაში სამაცივრო ტექნიკის მექანიკოსს უწევს მრავალი მაკონტროლებელი ხელსაწყო გამოყენება, რათა შეძლოს კომპრესორის მუშაობის ხარვეზის დადგენა მაშინ, როდესაც ერთ ასეთ მოდულატორს შეუძლია გაცილებით მეტი სამუშაოს შესრულება. ინოვაციურ მოდულატორს შეუძლია ზედმიწევნით ზუსტად დაუსვას დიაგნოზი ყველა ტიპის საყოფაცხოვრებო მაცივრის კომპრესორს და გადაარჩინოს მოქალაქე ზედმეტი სარემონტო ხარჯისაგან. ეს ფაქტორი კი ჩვენი მოსახლეობის დღევანდელი მძიმე ეკონომიკური პირობებისათვის შეიძლება უმნიშვნელოვანესად ჩაითვალოს.

78. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ტენით გაჯერებული სამაცივრო კონტურის გამოშრობის ინოვაციური მეთოდი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2019 წ. 1 4 (514) გვ. 118-123

ანოტაცია. სამაცივრო კონტური არის ჩაკეტილი სისტემა, სადაც დაუშვებელია არა თუ ტენის, არამედ ჰაერის მოხვედრა კი. ამიტომ სამაცივრო მანქანა-დანადგარების მონტაჟის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სისტემაში აუცილებელი სიდიდის ვაკუუმის შექმნას, მაგრამ როდესაც სამაცივრო კონტურში სხვადასხვა გზით მოხვდება წყალი (ჩილერის საორთქლებლის დაზიანებით, კონდიციონერის გარე ბლოკის დატოვებით გარეთ შიგა ბლოკთან მაგისტრალის შეერთების გარეშე, საყოფაცხოვრებო მაცივრის საყინულის მექანიკური დაზიანებით და სხვა) იქიდან მისი გამოძევება საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამდაგვარ გაუმართავობის აღმოფხვრაზე ბევრი მაცივარტექნიკოსი იკავებს თავს და ასეთ შემთხვევებში

ისინი მთლიანად ცვლიან სამაცივრო აგრეგატს ანდა დაბალი წნევის ხაზს. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის შეკეთების ხარჯებს. ამრიგად დიდი ხნის განმავლობაში გადაუწყვეტელი რჩებოდა ტენით გაჯერებული სამაცივრო სისტემების მუშა მდგომარეობაში მოყვანა. ასეთი გაუმართაობის აღმოფხვრის უნივერსალური მეთოდია სამაცივრო კონტურის გამოშრობა. ასეთ ოპერაციებს აუცილებლად უნდა ატარებდეს კვალიფიციური პერსონალი

79. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ახალი მოწყობილობა ჰაერიდან ტენის სრული მოცილებისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2019 წ. 1 4 (514) გვ. 124-131. . 2019 1 4 (514) p. 124-131.

ანოტაცია. მეურნეობის მრავალი დარგი საჭიროებს არა ჩვეულებრივ ტენიან, არამედ გამშრალ, ტენგამოცლილ ჰაერს. ასეთ დარგებს მიეკუთვნება, მაგალითად, ელექტროსადგურების გენერატორები, მიწისქვეშა სარდაფები და სხვენები, საწყობები (განსაკუთრებით, ფარმაცევტული), არქივები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, სასოფლო-სამეურნეო, ხის დამუშავებისა და კვების საწარმოები, სადაც მაღალი ტენიანობა განაპირობებს პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. ასეთ შემთხვევებში აუცილებელი ხდება ატმოსფერული ჰაერისაგან ტენის მოცილება, ანუ მისი გაშრობა. განხილულია ჰაერის გაშრობის მეთოდები ნაჩვენებია, რომ დღეისათვის ჰაერის შრობის სამი ძირითადი მეთოდი არსებობს: ჰაერის გაცხელება, ადსორბცია და ჰაერში არსებული ტენის კონდენსაცია. დასაბუთებულია, რომ შრობის არსებულ მეთოდებს შორის ყველაზე ეფექტური და მოხერხებულია ჰაერის გაშრობა მასში არსებული ტენის კონდენსაციის მეთოდით. წარმოდგენილია კონდენსაციის გზით ჰაერიდან ტენის სრული მოცილების ახალი მოწყობილობა, რომელიც გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით, დიდი მწარმოებლობით და კონსტრუქციის სიმარტივით.

80. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ერთდგუშიან კომპრესორში ერთდროულად ორი მუშა აგენტის კუმშვის შესაძლებლობა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2020 წ. # 2 (516) გვ. 117-124.

რეზიუმე: ნაჩვენებია, რომ წარმოების მრავალ დარგში და, მათ შორის სამაცივრო ტექნიკაში, ხშირად საჭიროა მუშა აგენტის მაღალი წნევისა და გაცივების ძალზე დაბალი ტემპერატურის მიღწევა, რისთვისაც აუცილებელი ხდება ამ მუშა აგენტის კუმშვის მრავალსაფეხურიანი ან მრავალკასკადიანი სქემების გამოყენება. ასეთი სქემების განხორციელება ხდება ყოველი ცალკეული საფეხურის ან კასკადისათვის ინდივიდუალური კომპრესორის გამოყენებით, რაც ადიდებს კაპიტალურ დანახარჯებს, ართულებს მთლიანად დანადგარის კონსტრუქციასა და მის მომსახურებას. წარმოდგენილია კომპრესორის ახალი კონსტრუქცია, რომელშიც დგუში ასრულებს წინსვლით-უკუქცევით გადატანით მოძრაობას ერთდროულად უძრავი კორპუსისა და მიმმართველის მიმართ და ორივე მათგანთან ახორციელებს მუშა აგენტის კუმშვას. ამასთან, დგუმის მიერ კორპუსისა და მიმმართველის მიმართ მუშა აგენტის კუმშვის ტრაქტები ერთმანეთისაგან იზოლირებულია, რაც იძლევა წარმოდგენილი კომპრესორის გამოყენებით სხვადასხვა ტრაქტში როგორც ერთი და იგივე, ისე სხვადასხვა მაცივარ-აგენტის ერთდროულად კუმშვის შესაძლებლობას.

81. გ.გოლეთიანი, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი, მ.ცაგარეიშვილი. მცენარეული პროდუქტის აირადი აზოტით სწრაფი გაცივების ინოვაციური ტექნოლოგია. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნ. სტუ. თბილისი. # 3(49). 2020 წ. გვ.100-105.

ანოტაცია. სტატიაში წარმოდგენილია მცენარეული პროდუქტის აირადი აზოტით სწრაფი გაცივების ინოვაციური ტექნოლოგიის ექსპერიმენტული სტენდი, რომელიც აღჭურვილია: კრიოცილინდრით თხევადი აზოტისათვის, მზომი და მაკონტროლებელი ხელსაწყოებით აირადი აზოტის თბური ნაკადის ტემპერატურების გაზომვისათვის. ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მიღებულ იქნა მონაცემები პროდუქტის ზედაპირზე და ცენტრში

აირადი აზოტით გაცივების და გაყინვის ტემპერატურათა გავრცელებაზე. სტატიაში გაშუქებულია ინოვაციური ტექნოლოგია და შედეგები სტაფილოსათვის წინასწარი გაცივების (ზონა-1) და გაყინვის (ზონა-2) შემდეგ. სტატიაში დასაბუთებულია დაბალტემპერატურაანი აირადი აზოტის გამოყენების მაღალეფექტურობა ბლანშირებული ბოსტნეულის წინასწარი გაცივებისა და შემდგომი გაყინვისათვის. ეს ტექნოლოგია უზრუნველყოფს პროდუქტის მიკრობიოლოგიურ უსაფრთხოებას და პროდუქტს დიდი ხნის განმავლობაში უნარჩუნებს მაღალხარისხოვან სასაქონლო სახეს.

82. გ.გოლეტიანი, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი, მ.ცაგარეიშვილი. მაცივარი მანქანა მაცივარაგენტად წყლის გამოყენებით. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნ. სტუ. თბილისი. # 3 (49). 2020 წ. გვ. 106-110.
ანოტაცია სტატიაში წარმოდგენილია ვაკუუმური მაცივარი მანქანა, რომელშიც მუშა სხეულად გამოყენებულია წყლის ორთქლი. ასეთი ტიპის მაცივარი მანქანით შესაძლებელია, არა მარტო წყლის გაცივება, არამედ სხვადასხვა მოდიფიკაციის ყინულის წარმოებაც. რადგანაც ასეთ სისტემაში მაცივარაგენტად წარმოდგენილია წყალი, მაცივარი დანადგარი გამოირჩევა გამარტივებული მოწყობილობით და ტექნოლოგიური სქემით. წყალი ამ შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებული იქნას, როგორც მუშა სხეული, ასევე შუალედური სიცივის მატარებელი. ეს ფაქტორი კი მნიშვნელოვნად ამცირებს ამ დანადგარის თვითღირებულებას. ბევრი დადებითი ფაქტორების გარდა მაცივარ მანქანის უარყოფით მხარედ შეგვიძლია მივიჩნიოთ წყლის, როგორც მუშა სხეულის მუშა წნევების ძალზედ დაბალი დონე. ამიტომაც სისტემა ატარებს წყლის ორთქლის დიდ ნაკადს. ასეთი ტიპის მაცივარი მანქანა-დანადგარების წარმოება, რომელიც მუშაობს ბუნებრივ მაცივარაგენტზე გარემოს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა. ამ ნაბიჯით საქართველომაც შეიძლება შეიტანოს თავისი წვლილი მთელი მსოფლიოს წინაშე დასმული ურთულესი საკითხების გადაჭრაში, კერძოდ კი შეუწყოს ხელი სამაცივრო პარკის აღჭურვას ბუნებრივი მაცივარაგენტებით

83. თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. გადაცივების მუშაობის რეჟიმის ზემოქმედება მაცივარი მანქანის ენერგოეფექტურობაზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2021 წ. # 3 (521) გვ. 102-108.
ანოტაცია. დღესდღეობით თანამედროვე სუპერმარკეტებში ფართო გავრცელება პოვა ორი ტემპერატურული რეჟიმის მქონე მაცივარმანქანებმა. საშუალოტემპერატურული რეჟიმის მქონე მაცივარი მანქანები, მაცივარაგენტის დუდილის ტემპერატურით -10°C , სამაცივრო კამერებში იჭერს ტემპერატურას 0 6°C ზღვრებში. დაბალტემპერატურული რეჟიმის მქონე მაცივარი მანქანები, მაცივარაგენტის დუდილის ტემპერატურით -35°C , სამაცივრო კამერებში იჭერს ტემპერატურას $-18 \div 20^{\circ}\text{C}$ ზღვრებში. ამ პროცესების განხორციელებისათვის გამოიყენებოდა ერთსაფეხურიანი მაცივარი მანქანები, რომელთა პრინციპული სქემები გამოსახულია 1-ელ სურ-ზე. სტატიაში წარმოდგენილია ინოვაცია, რომელიც ეფუძვნება თხევადი მაცივარაგენტის გადაცივებას (სურ.2). არსი ამ ტექნოლოგიისა მდგომარეობს იმაში, რომ დაბალტემპერატურული რეჟიმის მქონე მაცივარ მანქანაში, კონდენსატორის შემდეგ თხევადი მაცივარაგენტი გადაცივდება $0 \div -5^{\circ}\text{C}$ -მდე საშუალოტემპერატურული რეჟიმის მქონე მაცივარი მანქანის მაცივარაგენტის დუდილის მეშვეობით, რის შედეგადაც დაბალტემპერატურაანი მაცივარი მანქანის სიცივისმწარმოებლობა იზრდება, მაგრამ ამასთან ერთად საშუალოტემპერატურული რეჟიმის მქონე სამაცივრო კონტურის თბური დატვირთვაც იზრდება. ამას მივყავართ საშუალოტემპერატურული რეჟიმის მქონე მაცივარი მანქანის ენერგოდანახარჯების ზრდასთან. მაგრამ ვიღებთ ეფექტს, რომელიც მდგომარეობს ორივე სამაცივრო სისტემის ენერგომოთხოვნის შემცირებაში..

84. თ. მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. დღუშიანი კომპრესორის ცილინდრში მაცივარი აგენტის ორსაფეხურიანი კუმშვის შესაძლებლობა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2020 წ. # 2 (516) გვ. 125-132.

წარმოდგენილია დღუშიანი კომპრესორის ახალი კონსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს ერთ ცილინდრში მუშა აგენტის ორსაფეხურიანი კუმშვის განხორციელების შესაძლებლობას. მაცივარი მანქანის მუშა აგენტის დუღილის ტემპერატურის შემცირების ან კონდენსაციის ტემპერატურის გადიდების შემთხვევაში მკვეთრად იზრდება შეუქცევადი თბური დანაკარგები და მნიშვნელოვნად მცირდება ციკლის შექცევადობის კოეფიციენტი. ამის თავიდან აცილების მიზნით -30°C -დან -50°C -მდე დუღილის ტემპერატურების შემთხვევაში იყენებენ მაცივარ მანქანებს მუშა აგენტის ორსაფეხურიანი კუმშვით, ხოლო უფრო დაბალი ტემპერატურების შემთხვევაში გამოიყენება სამსაფეხურიანი ან კასკადური მაცივარი მანქანები. აღნიშნული ტიპის მაცივარი დანადგარები დღეისათვის საკმაოდ ფართოდ გამოიყენება. მაგრამ მიუხედავად ძირითადი ამოცანის (მაცივარ-აგენტის კუმშვის ხარისხის გადიდება) გადაწყვეტისა, ადგილი აქვს მაცივარი დანადგარის კონსტრუქციის მნიშვნელოვნად გართულებას, ლითონტევადობისა და ენერგოდანახარჯების მკვეთრად გადიდებას, რამაც განაპირობა ახალი გადაწყვეტილებების ძიება. ასეთ გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს გარდნერ ვორხისის იდეის გამოყენება, რაც იძლევა ერთ კომპრესორში ორსაფეხურიანი სამაცივრო ციკლის განხორციელების საშუალებას, თუმცა მისი მუშაობის ტემპერატურული რეჟიმი პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული კომპრესორის გეომეტრიულ მახასიათებლებზე (ცილინდრის დიამეტრი, დღუშის სვლა, ლილვის ბრუნვის სიხშირე). ამის გამო ასეთი კომპრესორების გამოყენების სფერო საკმაოდ შეზღუდულია. ერთ კომპრესორში ორსაფეხურიანი კუმშვის განხორციელების მიზნით ჯიმბალვიოს მიერ შემოთავაზებული იყო კომპრესორის ცილინდრში თხევადი მაცივარ-აგენტის შეშხეფება, თუმცა ამ შემთხვევაშიც დადებითი ეფექტი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თხევადი მაცივარ-აგენტის შეშხეფების ადგილისა და დროის ზუსტ შერჩევაზე, რაც საკმაოდ რთულია. წარმოდგენილი დღუშიანი კომპრესორის ახალ კონსტრუქციაში ხორციელდება მუშა აირის კუმშვა ორ საფეხურად: მუშა ცილინდრში დღუშის ერთ მხარეზე გვაქვს აირის კუმშვის პირველი საფეხური, ხოლო მეორე მხარეზე - უკვე შეკუმშული აირის მეორადი კუმშვა, მათ შორის კი ხორციელდება აირის შუალედური გაცივება. ეს განაპირობებს მაცივარი დანადგარის კონსტრუქციის სიმარტივეს, ლითონტევადობისა და ენერგოდანახარჯების შემცირებას.

85. თ.მეგრელიძე, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ახალი კონდიციონერი ჰაერის დატენიანების ფუნქციით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2020 წ. # 3 (517) გვ. 88-94.

რეზიუმე: ნაჩვენებია, რომ დღევანდელ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტროენერჯის, ლითონტევადობის, მაცივარ-აგენტების და სამაცივრო ზეთების, ავტომატიკის ელემენტებისა და აპარატურის დანახარჯების ეკონომიას. ამ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს კარადული ტიპის მაცივარ-კონდიციონერის გამოყენება. სტატიაში წარმოდგენილია სპეციალური კარადა, რომელსაც აკისრია როგორც მაცივრის, ასევე კონდიციონერის ფუნქცია. მაცივარსაც და კონდიციონერსაც აქვთ საერთო კომპრესორი და კონდენსატორი, ხოლო ყველა სხვა კვანძები: საორთქლებლები, კაპილარული მილები და ავტომატიკის ხელსაწყოები აქვთ დამოუკიდებელი. მოწყობილობა შედგება როტაციული კომპრესორისაგან, ჰაერით გაგრილების კონდენსატორისაგან, კაპილარული მილებისაგან, საორთქლებლებისაგან და ორსვლიანი სოლენოიდური ვენტილებისაგან. უნივერსალური დანადგარი მუშაობს სამ რეჟიმში: 1) როგორც მშრალი ყინვის მაცივარი, 2) როგორც ფანჯრის ტიპის კონდიციონერი, 3) ერთდროულად როგორც მაცივარი, ასევე კონდიციონერი. ეს დანადგარი არის ეკოლოგიურად უსაფრთხო. მასში ჩატვირთულია ბუნებრივი მაცივარ-აგენტი პროპანი მ290, რომელსაც, როგორც ოზონდამშლელი, ასევე გლობალური დათბობის პოტენციალი ნულის ტოლი აქვს.

86. ს.ბუჩუკური-სოლოღაშვილი, ვ.ღვაჩლიანი, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ზოგიერთი მცენარეული ნედლეულის წვრილი ნამცეცებისა და მტვრის გამოყენების შესაძლებლობა ახალი კაფსულების დახმარებით. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "მშენებლობა" 1 3 (56) 2020. 42-46 გვ. თბილისი, 2020 წ.

რეზიუმე: ნაჩვენებია, რომ შრობის შედეგად ზოგიერთი მცენარეული ნედლეული (როგორცაა, მაგალითად, ჩაი, როდოდენდრონი, მატე სხვ.) ხდება ძალზე მყიფე და შემდგომი გადამუშავების პროცესში ადვილად იფხვნება, რის შედეგად მისი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გადადის ფხვილისა და მტვრის მდგომარეობაში. პროდუქტის აღნიშნული ნაწილი, დანარჩენი ნაწილის მსგავსად, შეიცავს ყველა სასარგებლო ელემენტს. მიუხედავად ამისა, ფხვილისა და მტვრის მდგომარეობაში მყოფი პროდუქტის გამოყენება შეუძლებელია, რის გამოც იგი, როგორც წესი, უტილიზაციას ექვემდებარება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ პროდუქტის აღნიშნული ნაწილის რაოდენობა საკმაოდ დიდია: მატეს შემთხვევაში იგი აღწევს 40 %-მდე, ჩაის შემთხვევაში - 5-10 %-ის ტოლია, ხოლო როდოდენდრონის შემთხვევაში შეადგენს დაახლოებით 20 %. მცენარეული ნედლეულის ფხვილისა და მტვრის მდგომარეობაში გადასული ნაწილი შეიძლება გამოყენებული იყოს მისი კაპსულებში მოთავსების გზით, რისთვისაც შემოთავაზებულია კაპსულების ახალი კონსტრუქცია. ნედლეულიდან ფხვილისა და მტვრის მდგომარეობაში გადასული ნაწილის გამოყენება განაპირობებს საერთოდ პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდებას.

87. თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. ნახშირბადის დიოქსიდის რეკუპერაცია რანკ-ხილშის ვიხრის მილის გამოყენებით კვების პროდუქტების სიცივით დამუშავებისას. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2021 წ. 13 (521) გვ. 109-114.

ანოტაცია. ნახშირბადის დიოქსიდით კვების პროდუქტების გაყინვის არასაკმარისი მაჩვენებელია მისი გამოყოფილი აირების არარაციონალური გამოყენება. სტატიაში წარმოდგენილია ნახშირბადის დიოქსიდის გამოყენების ინოვაციური მეთოდი, რომელიც მდგომარეობს: ამ ნივთიერების გამოყენებაში არა მარტო კვების პროდუქტების გაყინვის და გაცივების ხაზზე, არამედ გაყინვაზე და გაცივებაზე ნამუშევარი ნახშირბადის დიოქსიდის აირების კვების პროდუქტების სიცივით დამუშავებისათვის ხელმეორედ საექსპლოატაციოდ. სტატიაში წარმოდგენილია ინოვაციური სამაცივრო მოწყობილობის პრინციპული სქემა, რომელსაც საფუძვლად უდევს რანკ-ხილშის ვიხრის მილის გამოყენება ნახშირბადის დიოქსიდის შემდგომი რეკუპერაციისათვის. ამ მეთოდით რანკ-ხილშის ვიხრის მილი გადაიქცევა თბურ ტუმბოდ, სადაც ხდება როგორც სიცივის ასევე სითბოს გამოყენება.

88. ს.ბუჩუკური-სოლოღაშვილი, ვ.ღვაჩლიანი, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. კავკასიური როდოდენდრონის შრობა აირადი აზოტის გამოყენებით. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა" N#1 (50) 2021. 160-167 გვ. გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა" თბილისი, 2021 წ.

რეზიუმე: განხილულია კავკასიური როდოდენდრონის ფოთლების შრობის საკითხი. ნაჩვენებია, რომ ამ მიზნით დღეისათვის გამოყენებული მეთოდები და მოწყობილობა ძალზე მარტივი და იაფია, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს ნედლეულში არსებული ყველა სასარგებლო ელემენტის სრულ შენარჩუნებას და მწარმოებლობის გადიდებას, რის გამოც შეუძლებელი ხდება კავკასიური როდოდენდრონის პროდუქციაზე თანამედროვე პირობებში გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. წარმოდგენილია როდოდენდრონის ფოთლების შრობის ახალი მეთოდი და შესაბამისი მოწყობილობა, რომელიც ითვალისწინებს შრობისათვის თხევადი აზოტის აორთქლებით მიღებული აირადი აზოტის გამოყენებას. აზოტის გარემოში შრობა სრულიად გამორიცხავს ნედლეულში ფერმენტაციული გარდაქმნების მიმდინარეობის შედეგად

სასარგებლო ელემენტების რაოდენობის ან ხარისხის შემცირებას. თხევადი აზოტის აორთქლების შედეგად მიღებული აირი კი საერთოდ არ შეიცავს წყლის ორთქლს, რის გამოც ტენიან ნედლეულსა (როდოდენდრონის ფოთლები) და გასაშრობად გამოყენებულ მუშა აგენტს (აირადი აზოტი წყლის ორთქლის ნულოვანი შემცველობით) შორის წარმოიქმნება ტენიანობის გრადიენტი, რომელიც განაპირობებს შრობის პროცესის ძალზე მაღალ ინტენსივობას.

89. თ.ისაკაძე, ვ.ღვაჩლიანი, გ.გუგულაშვილი. კავკასიური როდოდენდრონის დამქუცმაცებელ-საფიქსაციო მანქანა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2021 წ. - # 4 (522) გვ. 13-20.

რეზიუმე: დასმულია კავკასიური როდოდენდრონიდან პარაგვასის „მატეს“ ტიპის ჩაის წარმოების საკითხი. განხილულია ამ დანიშნულებით როდოდენდრონის გადამუშავების დღეისათვის შემოთავაზებული ტექნოლოგიები და ნაჩვენებია, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ უზრუნველყოფს „მატე“ ჩაისათვის დამახასიათებელი გემოსა და არომატის მინიჭებას, რადგან მათი უმეტესობა ჩვეულებრივი ჩაის ტექნოლოგიას ემსგავსება. დასაბუთებულია, რომ „მატეს“ ტიპის ჩაის მისაღებად აუცილებელია გადამუშავების საწყის ეტაპზე როდოდენდრონიდან მიღებული ნედლეულის ფიქსაცია, მისი დაჭრა-დაქუცმაცება შეფუთვისათვის მისაღები ზომების მისანიჭებლად, ფოთოლში არსებული ზემდეტი ტენის მოცილება და ნედლეულისათვის „მატეს“ მსგავსი ოდნავ მომწარო გემოსა და ბოლის არომატის მინიჭება. აღნიშნული ამოცანების გადაჭრის მიზნით შემოთავაზებულია კავკასიური როდოდენდრონის გადამამუშავებელი მოწყობილობის პრინციპული სქემა.

90. ვ.ღვაჩლიანი, გ.კიკალიშვილი, გ.გუგულაშვილი. მცენარეული ნედლე-ულისათვის გამოყენებული კაფსულიდან ექსტრაქციული მიზნობრივი პროდუქტის რაოდენობის გაანგარიშების მეთოდიკა. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ~მეცნიერება და ტექნოლოგიები~ # 3 (737), თბილისი, 2021 წ. გვ. 63-68.

რეზიუმე: ნაჩვენებია, რომ დაბალ ტენიანობამდე შრობის პროცესში მცენარეული ნედლეული მყიფე ხდება და შემდგომი ტექნოლოგიური გადამუშავების შემთხვევაში მისი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ნამცეცებისა და მტვრის მდგომარეობაში გადადის, რომლებიც თავისი შედგენილობით სუბსტრატის ანალოგიურია, თუმცა სარეალიზაციო პროდუქტში მათი შერევა დაუშვებელია, რადგანაც ნაყენის ამღვრევას და მისი გემური მახასიათებლების გაუარესებას იწვევს. აქედან გამომდინარე პროდუქციის გამოსავლიანობა მცირდება. პროდუქციის გამოსავლიანობის გაზრდის მიზნით შემოთავაზებულია მცენარეული ნედლეულის ნამცეცებისა და მტვრისაგან ექსტრაქტის მიღება ახალი კონსტრუქციის კაფსულების გამოყენებით. დამუშავებულია კაფსულებში მიმდინარე ექსტრაქციის პროცესის გაანგარიშების მეთოდიკა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროცესის მიმდინარეობაზე წნევის, ტემპერატურისა და დროის ფაქტორების გავლენას

91. ვ.ღვაჩლიანი, გ.კიკალიშვილი, გ.გუგულაშვილი. კავკასიური როდოდენ-დრონის გადამუშავების ახალი ტექნოლოგია. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ”მეცნიერება და ტექნოლოგიები” 13 (737), თბილისი, 2021 წ. გვ. 73-79.

რეზიუმე: კავკასიური როდოდენდრონი გამოირჩევა ძალზე მდიდარი ბიოქიმიური შედგენილობით, რაც განაპირობებს მრავალმხრივ დადებით გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე. აღნიშნული ნედლეულისაგან შესაძლებელია ადამიანისათვის ძალზე სასარგებლო საკვები და სამკურნალო-პროფილაქტიკური პროდუქტების წარმოება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ რეალიზაციისათვის. ამისათვის აუცილებელია მცენარის გადამუშავების ისეთი ტექნოლოგიისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ნედლეულში არსებული ყველა სასარგებლო ელემენტის მაქსიმალურ შენარჩუნებას. წარმოდგენილია როდოდენდრონის ფოთლების გადამუშავების

ახალი ტექნოლოგია, რომლის გამოყენებით შესაძლებელია მაღალი ხარისხის საბოლოო პროდუქციის წარმოება.

92. მ.თიკანაშვილი, გ.გოლეთიანი, ზ.ლაზარაშვილი, თ.ისაკაძე, ვ.ღვაჩლიანი, გ.გუგულაშვილი. მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღება შავი და მწვანე ჩაის პარალელური გადამუშავებით. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა" N2(54) 2022. 52-60 გვ. გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა" თბილისი, 2022 წ. **რეზიუმე:** განხილულია ჩაის ფოთლიდან მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღების საკითხი და ნაჩვენებია, რომ ტექნოლოგიური გადამუშავების პროცესში ადგილი აქვს ნედლეულში არსებული სასარგებლო ნივთიერებების თანდათან შემცირებას. შავი და მწვანე ჩაის მიღების ტექნოლოგიებით ფოთლის გადამუშავებისას სასარგებლო ელემენტების შემცირების თეორიული ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია ამ ორი სახის ჩაის წარმოების ერთმანეთით ჩანაცვლება იმგვარად, რომ მოცემულ საწარმოო რაიონში სასარგებლო ელემენტების მაღალი შემცველობის პერიოდში ხდებოდეს შავი ჩაის წარმოება, ხოლო მათი შემცირების პერიოდებში - მწვანე ჩაის წარმოება.

93. გ.გოლეთიანი, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი, ზ.ლაზარაშვილი, მ.თიკანაშვილი. ჰაერგამაცივებლები მიღების შიგა ზედაპირების მიკროგაწიბოვნებით. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა" N 2 (54) 2022. 45-51 გვ. გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა" თბილისი, 2022 წ.

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ექსპერიმენტული ანალიზი, რომელიც ჩატარებულ იქნა საორთქლებლებში, რომელთაც თბომცვლელი მიღების შიგა ზედაპირები დამზადებული ჰქონდათ მიკროგაწიბოვნებით და მაცივარაგენტ R410A-სათვის, რომელიც ცირკულირებდა ამ თბომცვლელელებში გაანგარიშებული იქნა წნევათა ვარდნა. ექსპერიმენტის დროს, რომელიც ტარდებოდა მაცივარ მანქანაზე გაზომილი იქნა მაცივარაგენტ R410A-ის წნევის ვარდნა სამი თბომცვლელის ოთხ მონაკვეთზე. ექსპერიმენტალური გაზომვები ტარდებოდა სხვადასხვა რეჟიმებში რიგრიგობით თვითეული თბომცვლელისათვის.

თითოეული რეჟიმისათვის განისაზღვრა მაცივარი მანქანის ძირითადი პარამეტრები. გაზომვისას მიღებული წნევათა ვარდნის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ანათვლებს გლუვზედაპირებიანი მილებიდან აღებულს. ეს კი მიუთითებს შიგაგაწიბოვნებით შესრულების მიღებში მაცივარაგენტის მოძრაობის ჰიდროდინამიკის სიღრმისეულ შესწავლის აუცილებლობაზე.

94. თ.ისაკაძე, ვ.ღვაჩლიანი, გ.გუგულაშვილი. როდოდენდრონის ფესვების ბიოქიმიური კვლევის შედეგები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2022 წ. 1 3 (525) გვ. 55-61.

რეზიუმე: წარმოდგენილია კავკასიური როდოდენდრონის ბიოქიმიური შედგენილობის კვლევის შედეგები. კერძოდ, შესწავლილია როდოდენდრონის გამშრალი ფესვების ექსტრაქტულობა, პოლიფენოლების შემცველობა, ანტიოქსიდანტური და ანტილიპაზური აქტივობა. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ გამშრალი ფესვების ექსტრაქტულობა, პოლიფენოლების შემცველობა და ანტიოქსიდანტური აქტივობა ჩამორჩება იმავე მცენარის ფოთლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო ანტილიპაზური აქტივობა მნიშვნელოვნად (დაახლოებით 2,3-ჯერ) აღემატება ფოთლების ანტილიპაზურ აქტივობას და ასევე მაღალია დღეისათვის ამ მიზნით გამოყენებული სამედიცინო პრეპარატ ორლისტატის ანტიოქსიდანტურ აქტივობაზე.

95. თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. კრიომედიცინაში დრეკადი კაპილარული მილების გამოყენების ექსპერიმენტული კვლევა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2022 წ. 1 4 (526) გვ. 72-77.

ანოტაცია. დღეს ძალზე აქტუალურ საკითხად ითვლება სპოტსმენებისათვის სწრაფი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეეძლოთ სპორტული შეჯიბრების გაგრძელება ასპარეზობის დასრულებამდე. როგორც ცნობილია, ამ საკითხის გადასაწყვეტად იყენებენ ე. წ. მოყინვის მეთოდს. სტატიაში წარმოდგენილია მოყინვის ინოვაციური მეთოდი დრეკადი კაპილარული მილების გამოყენებით. ბიოლოგიური ქსოვილის დაზიანებული უბნების სწრაფი გაცივებისათვის ფართოდ იყენებენ მდულარე აირადი ნარევის თხელი ფენის კანზე წასმის პროცედურას $T_{\square} = 273-238 K$ ტემპერატურის დიაპაზონში. ეს ტემპერატურა ადვილად მიიღწევა მაცივებელი აეროზოლის გამოყენებით. ექსპერიმენტული მონაცემები ალბულის გაცივებულ ზედაპირზე ტემპერატურის განაწილების შემდეგ 0.1 მმ დიამეტრის მქონე საქმენებიდან პროპანბუტანის ნარევის დროსელირებისას ($T_{\square} = 240-263 K$).

96. ვ.ღვაჩლიანი, თ.ისაკაძე, გ.გუგულაშვილი. კავკასიური როდოდენდრონის ლიოფილურად გამშრალი ნიმუშის ბიოქიმიური კვლევის შედეგები. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი "მეცნიერება და ტექნოლოგიები" 12 (739), თბილისი, 2022 წ. გვ. 55-59.

რეზიუმე: საქართველოს ენდემურ მცენარეებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როდოდენდრონს (კავკასიურ დეკას), რომელსაც მრავალ სხვა სასარგებლო თვისებასთან ერთად ახასიათებს ანტიოქსიდანტური და ანტილიპაზური თვისებებიც. როდოდენდრონის ფოთლების ანტილიპაზური თვისებების გამო დაისვა საკითხი ნედლეულის ლიოფილურად გამშრალი ნიმუშების შესწავლის შესახებ, რადგან ლიოფილური შრობა უზრუნველყოფს ნედლეულის საწყისი ბიოქიმიური შედგენილობის მაქსიმალურ შენარჩუნებას. ნაშრომში წარმოდგენილია კავკასიური როდოდენდრონის ლიოფილურად გამშრალი ნიმუშების ანტიოქსიდანტური და ანტილიპაზური აქტიურობის შესწავლის შედეგები.

97. ლ.პაპავა, თ.ისაკაძე, მ.რაზმაძე, გ.გუგულაშვილი. ინტრაკავიტარული ჰიპოთერმიის ინოვაციური თერმოელექტრული მოწყობილობის გამოცდის შედეგები. სამეცნიერო-ტექნიკური რეფერირებადი ჟურნალი ~ენერჯია~. თბილისი: 2022 წ. # 3-4 (103-104). გვ. 65_71.

რეზიუმე: დაავადებების მკურნალობის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი გინეკოლოგიაში, ოტორინოლარინგოლოგიაში, პროქტოლოგიაში, უროლოგიასა და სტომატოლოგიაში არის ინტრაკავიტარული ჰიპოთერმია. ამ მეთოდის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს თერმოელექტრული მოწყობილობების, როგორც სიცივის წყაროს, გამოყენებით. თერმოელექტრულ მოწყობილობებს ახასიათებთ მაღალი ეფექტურობა, საიმედოობა, უხმაურობა, შეუზღუდავი მომსახურების ვადა და, ასევე, წარმოადგენენ ეკოლოგიურად უსაფრთხო მოწყობილობებს.

სტატიაში წარმოდგენილია ინოვაციური კონსტრუქციის თერმოელექტრული მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ინტრაკავიტარულ ჰიპოთერმიაში. მოწყობილობა შედგება ორი თერმოელექტრული ბატარეისგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ლითონის თბოგამტარით და აპლიკატორით და აღჭურვილია სითხის თბომცვლელით. ექსპერიმენტალური კვლევების საფუძველზე დადგინდა რომ დატვირთვის გარეშე აპლიკატორის ტემპერატურა სტაბილიზაციას განიცდის $4 \div 4,5$ წუთის შემდეგ. ამასთან ერთად, დენის ძალის გაზრდა 5-იდან 12 ამპერამდე დამატებით თერმოელექტრულ ბატარეაზე, როდესაც ძირითად თერმოელექტრულ ბატარეაზე მოდის 23 ამპერი, ამცირებს ტემპერატურას 237 K – იდან 224 K –მდე. პროცედურების ჩატარებისას ობიექტის ტემპერატურის დაწვევის აუცილებელი დონის მიღწევა შესაძლებელია ძირითად და დამატებით თერმოელექტრულ მოწყობილობებზე, რომლებზეც მოდის შესაბამისად 23 და 12 ამპერი დენის ძალა 2,5 წუთის შემდეგ.

98. თ.ისაკაძე, ზ.ლაზარაშვილი, გ.გუგულაშვილი. ყურძნის საჭყლეთ-სატრანსპორტო მოწყობილობა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2022 წ. # 4 (526) გვ. 91-97.

რეზიუმე: ღვინის წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყურძნის დაჭყლეთის ოპერაციას, რადგან მასზე დიდადაა დამოკიდებული მიღებული პროდუქციის ხარისხი. დაჭყლეთის პროცესში ნედლეულის ხარისხის მაქსიმალური შენარჩუნების მიზნით წარმოდგენილია ყურძნის საჭყლეთი ახალი მოწყობილობის პრინციპული სქემა, რომელიც უზრუნველყოფს გადამუშავებას გარემომცველ ჰაერთან კონტაქტის გარეშე ყურძნის კლერტის მინიმალური მექანიკური დაზიანების პირობებში. წარმოდგენილი მოწყობილობა შეიძლება განლაგდეს ავტომობილის ძარაზე, რათა ყურძნის დაჭყლეთის ოპერაცია განხორციელდეს ვენახიდან ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოში ტრანსპორტირების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პროცესის ხანგრძლიობის შემცირებას და ნედლეულის გადამამუშავების უმოკლეს დროში დაწყებას.

99. რ.თედორაძე, ა.ლაზარაშვილი, გ.გოლეთიანი, ზ.ლაზარაშვილი “სასოფლო სამეურნეო პროდუქციის დისტრიბუციის ლოგისტიკური კვანძის(ჰაბის) ორგანიზების პრინციპები”

რეზიუმე: განხილულია საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობათანამედროვე ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა, ამიტომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში პრიორიტეტებად განისაზღვრა ლოგისტიკური ცენტრების განვითარება, დაგეგმვების პირობების და ძირითადი პარამეტრებია დადგენა.; ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებისა და შესანახი სამაცივრო კომპლექსური საწარმოს - ჰაბის შექმნის აუცილებლობა. მოვახდინეთ ჰაბის ფუნქციონირების მოდელირება. ჰაბის ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკური პროცესის სიმულაცია და ვიზუალიზაცია.

100. მ. მილაშვილი, ვ. მჭედლიშვილი. ქალი და პროფესია-არქიტექტორი (კვლევის შედეგების ანალიზი აშშ -სა და ევროპის მაგალითზე) ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი. შრომების კრებული „ამერიკის შესწავლის საკითხები“ # VIII. ISBN1512-1585. თბილისი.2018 წ.; გვ. 100-104;

ანოტაცია: სტატიაში აშშ-სა და ევროპის კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე განხილულია ქალი არქიტექტორების პროფესიის პრობლემატიკა.

101. მ. მილაშვილი, ვ. მჭედლიშვილი. სამრეწველო არქიტექტურა - წარსული, აწმყო და მომავალი. სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი. ISSN 1512-4215, UDC(uak) 7(051.2) s-364 საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. თბ. 2/ 2019 წ. გვ. 52-53;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია სამრეწველო არქიტექტურის განვითარების პერიოდები და მათი ძირითადი მახასიათებელი თავისებურებები.

102. მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი. ქალთა უფლებების ბრძოლის სათავეებთან -“მსოფლიო და გენდრი“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. სტუ. ISBN 978-9941-0-5597-3თბილისი, 2019 წ. გვ 50-53;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ქალთა სოციალურ - პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის წარმოებული მოძრაობის საწყის პერიოდში ლიდერი ქალების მოღვაწეობა.

103. მ. მილაშვილი, ვ. მჭედლიშვილი. აბიგეილ სმიტ ადამსი- პირველი ლედის ადგილი და როლი აშშ-ს პოლიტიკურ ცხოვრებაში - ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი. შრომების კრებული „ამერიკის შესწავლის საკითხები“ # XI. ISBN1512-1585. თბილისი. 2019 წ.გვ. 65-68;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ამერიკელი საზოგადო მოღვაწე ქალისა და პირველი ლედის აბიგეილ სმიტ ადამსის მოღვაწეობა ქალთა უფლებების სფეროში და მისი ადგილი და როლი აშშ-ს პოლიტიკაში.

104. მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი. თანამედროვე გამოჩენილი არქიტექტორების ტოპ-ათეული - სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი. თბ. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. ISSN 1512-4215, UDC (უაკ), 7(051.2). ს-364. 2019 წ. გვ.44-48;

ანოტაცია: სტატიაში მიმოხილულია თანამედროვე მსოფლიოს გამოჩენილი ათი არქიტექტორის შემოქმედება.

105. მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი. საქალაქო გარემოს გამწვანების საკითხები. კონფერენციის შრომათა კრებული.უდკ 330.22 ს-307. საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ინტერნეტ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სატყეო კვლევის პოტენციალი და პერსპექტივები.“ ISBN978-9941-8-3423-3. თბ. 2020 წ. გვ.51-54;

ანოტაცია: სტატიაში თბილისის რამდენიმე მაგალითზე განხილულია საქალაქო გარემოს გამწვანების საკითხები.

106. მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი. ამერიკელ ქალთა ბრძოლა სოციალურ-უფლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად. ი.ჯავახიშვილის სახ. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი. ამერიკის შესწავლის საქ.ასოციაცია. ამერიკისმცოდნეობის 21-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული.თსუ. ISBN1512-1585. თბ.2020 წ. გვ.43-52;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ამერიკელ ქალთა მოძრაობისა და ბრძოლის ეტაპები ქალთა სოციალურ-უფლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად.

107. მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი. ტყის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის გამოყენების თავისებურებები. სამეცნიერო ინტერნეტ კონფერენცია „ტყის ეკოსისტემების გარემოსდაცვითი ფუნქციის ოპტიმიზაციის გზები საქართველოში“ შრომათა კრებული. თბილისი, ISBN978-9941-8-3423-3. uak (UDC) 631.544+581.526.42+632.9. p-988. თბ. 2021წ. 70-73გვ.

ანოტაცია : სტატიაში განხილულია ტყის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის გამოყენების თანმდევი პრობლემები და დასმულია მათი გადაწყვეტის აუცილებლობის საკითხი.

108. გოდერძი ტყეშელაშვილი საქართველოს სატრანსპორტო სისტემა, შენადგენლობა და დახასიათება. ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ #3(43) გვ.81-89 უაკ.: 625; 330.

ანოტაცია: სტატიაში დახასიათებულია საქართველოს სატრანსპორტო სისტემის შენადგენელი სექტორების ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები.

109. გოდერძი ტყეშელაშვილი საქართველოს ტრანსპორტის მდგომარეობა და პერსპექტივა. ჟურნალი „მოამბე“ xxxIII გვ. 58-62. უაკ.: 625; 330.

ანოტაცია: სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს ტრანსპორტის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივა.

110. გოდერძი ტყეშელაშვილი ძირითადი საშუალებების აღრიცხვის სრულყოფის საკითხები. ჟურნალი - ბიზნეს-ინჟინერინგი. #1-2, 2020. 73-76 უაკ.: 625; 330.

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პრობლემები და შეთავაზებულია მისი გაუმჯობესების მიმართული ღონისძიებები.

111. საქართველოში მრეწველობის განვითარების პერსპექტივები.

ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ #1(50). 2021. გვ. 214-223 უაკ. 330; 625.

ანოტაცია: განიხილება საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და შესაძლო განვითარების პერსპექტივა.

112. ციფრული მარკეტინგის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში.

ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ #2(51). 2021. გვ. 225-233 უაკ.: 625;330.

ანოტაცია: გაანალიზებულია ციფრული მარკეტინგის მდგომარეობა და პერსპექტივა საქართველოსთვის.

113. საქართველოს სატრანსპორტო ფუნქციის გააქტიურების მიმართულებები.

ჟურნალი: „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ N 3. (43) 2018წ. ISSN 1512-3537 უაკ.: 625;330.

ანოტაცია: საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ქმნის ხელსაყრელ პირობებს ტრანსპორტის უპირატესი განვითარებისათვის, რაც ჯერ-ჯერობით ვერ ხორციელდება ტრანსპორტის უმეტეს სექტორებში, განსაკუთრების რკინიგზის, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტში. ტრანსპორტის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭიროა ისეთი მაკროეკონომიკური ღონისძიებების გატარება. როგორცაა საბაზრო ინფრასტრუქტურის სრულყოფა, საგადასახადო სისტემის სრულყოფა მისი ლიბერალიზაციის და დიფერენციაციის მიმართულებით და ფულად-საკრედიტო სისტემის გაუმჯობესება.

114. მარკეტინგის თავისებურებები განვითარებად ბაზრებზე.

ჟურნალი: „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ N 1-2; (47-48)) 2020 წ. ISSN 1512-3537.

უაკ.: 625.330.

ანოტაცია: სტატიაში გადმოცემულია მეცნიერების შეხედულებები განვითარებადი ქვეყნების ბაზრების შესახებ. აღნიშნულია, რომ თანამედროვე ეკონომიკის პირობებში ტრადიციულ და განვითარებად ბაზრებზე მარკეტინგის ინსტრუმენტებს გააჩნია თავისებურებები. აქცენტი ძირითადად გაკეთებულია იმაზე, რომ ნებისმიერი ტიპის ბაზრებისათვის მნიშვნელოვანია ბიზნესის ფოკუსირება კლიენტზე.

115. მსოფლიოში შრომითი რესურსების განვითარების ძირითადი პროგნოზი.

ჟურნალი: „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №3 (49) 2020წ. ISSN 1512-3537. - უაკ. 625;330.

ანოტაცია: სტატიაში ჩატარებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების ანალიზი და მოცემულია ის სავარაუდო მიმართულებები რომლითაც ხასიათდება მომავლი შრომის ბაზრები. ამ მიმართულებებს შორის გამოიყო შრომითი მობილობის აქტივიზაცია, მათ შორის გეოგრაფიის გაფართოვება არა მარტო ჩრდილოეთ ამერიკის და ევროპის ქვეყნებში, არამედ მთელ რიგ აზიის ქვეყნებშიც; ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაღალი დონე; კომპანიების ბრძოლა უნიკალური შესაძლებლობებისა და მაღალი კომპეტენციის ადამიანების მიზიდვისათვის; კომპანიებმა, რომლებიც ფუნქციონირებენ მომავალი შრომის ბაზარზე სავარაუდოდ, საჭიროა გადახედოს ადამიანური რესურსების მართვის სისტემებს: შრომის ჰუმანიზაციისა და ინდივიდუალიზაციის სასარგებლოდ.

116. ციფრული ეკონომიკა და ბიზნესი.

ჟურნალი :ეკონომიკა“ სპეციალური გამოშვება სტუ-ის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, 2022 წ. ISSN 2587-4713. -უაკ.: 625;330.

ანოტაცია - ციფრულმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვანი ტრანზფორმაციები გამოიწვია ეკონომიკურ საქმიანობაში. ერთ-ერთი ასეთი სფეროა მარკეტინგი, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილს. ციფრული ეკონომიკის ძირითად ტენდენციას წარმოადგენს ინფორმაციის სიმრავლე. მარკეტინგში ინტერნეტ ტექნოლოგიური მიღწევების

აქტივობების გამოყენება იძლევა მომხმარებელისაგან უკუკავშირის მიღების საშუალებას, ასევე ხელს უწყობს კომპანიის პროდუქტების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მათი პროდუქციის პოპულარიზაციისას.

117. ფირმის მენეჯმენტის ორგანიზაციული სტრუქტურის მიმოხილვა თ. ქამხაძე, თ. რუხაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, მ. კოსტავას #71, თბილისი, საქართველო) №2 (42) 2018 - ISSN 1512-3537

რეზიუმე სატრანსპორტო ფირმებისათვის ისევე როგორც, სხვა საქმიანობით დაკავებული საწარმოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხია მენეჯმენტის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობა თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებთან. ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მათი აგების პრინციპები. სწორად აგებული ორგანიზაციული სტრუქტურა დასახული სტრატეგიის და მიზნების წარმატებით განხორციელების და მიღწევის გარანტია

118. ვ. ზეიკიძე, გ. მაისურაძე, თ. რუხაძე, თ. ქამხაძე „კორპორაციული მენეჯმენტის განვითარების სრულყოფა საქართველოს მანქანათმშენებლობაში“

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 177, 0175, თბილისი, საქართველო) №3 (46) 2019 - ISSN 1512-3537

ანოტაცია: საქართველოში დღეისათვის სამეწარმეო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე არ არსებობს კორპორაციული მართვის სახემდღვანელო პრინციპები, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის საერთაშორისო კომპანიებთან ურთიერთობაში და ქვეყანაში ეკონომიკის და მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში, როგორცაა მანქანათმშენებლობა. საწყის ეტაპზე აუცილებელია ე.წ. „რბილი სამართლის“ სარეკომენდაციო დოკუმენტების შემუშავება და მისი პრაქტიკაში გამოყენების შედეგად შესაძლებელი გახდება ამ დოკუმენტის დახვეწა და სრულყოფა. მსოფლიო კორპორაციული მართვის გამოცდილების პრაქტიკული გამოყენება საშუალებას იძლევა, რომ საქართველომ წარმატებით უნდა გადაჭრას მანქანათმშენებლობის წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანები

119. თამარ ქამხაძე, თამარი რუხაძე” სატრანსპორტო ფირმების მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევები (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას, ქ. №77, 0175 თბილისი, საქართველო) №2 (45) 2019 ISSN 1512-3537

ანოტაცია: დამოუკიდებელი საქართველოს სატრანსპორტო სისტემების განვითარების პრიორიტეტია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის მაქსიმალურად გამოყენება. ტრანსპორტის ტვირთის გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანის მოცულობა ასახავს წარმოების ეფექტურობას, ეკონომიკის მდგომარეობას და მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის დონეს. ჩვენს მიერ განხილულ სატრანსპორტო კომპანიებს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში აქვთ გარკვეული პრობლემები, თუმცა ეფექტური მენეჯმენტის პირობებში ამ პრობლემების დაძლევა შესაძლებელია.

120. თამარ რუხაძე, თამარ ქამხაძე „ტრანსპორტის გამოწვევები COVID-19 პირობებში“

სტუ. ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი N3-4. 2020 წელი. უაკ (UDC) 338.22+62

ანოტაცია: სხვადასხვა მკვლევარები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ კოვიდ 19-ის პანდემიის დასრულების შემდგომ გვექნება ახალი რეალობა და ტრანსპორტი იგივე დატვირთვას ვერ დაიბრუნებს, თუმცა ჩვენი სუბიექტური მოსაზრებით, პანდემიის დასრულების შემდგომ ნათლად გამოჩნდება დღევანდელი კრიზისის შედეგები სტრანსპორტო სექტორში და ამ სექტორის განვითარების და მასში ინვესტირების საჭიროება. ფაქტია ინფრასტრუქტურის ინვესტიციებს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საზოგადოებრივი და აქტიური ტრანსპორტისადმი ნდობის გასამყარებლად.

121. „საქართველოს რეგიონული ტურისტული კლასტერის განვითარების და ფორმირების მეთოდოლოგიური საფუძვლები“

ზეიკიძე ვაჟა, მაისურაძე გიორგი, რუხაძე თამარ, ქამხაძე თამარ

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021 - ISBN 978-9941-28-127-3

ანოტაცია - ტურისტული კლასტერების სახელმწიფო დონეზე რეგულირების უმნიშვნელოვანესი მიდგომაა მისი ვერტიკალური მართვა, რომელიც მოიცავს შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას. საქართველოს რეგიონებში ტურისტული კლასტერის ფორმირების მიზნით მეტად მნიშვნელოვანია ისტორიულ ღირსშესანიშნაობათა, ეკოტურიზმის ობიექტების, რეგიონის სასტუმროების მომსახურების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, ტურისტების უსაფრთხოების, სამედიცინო და სადაზღვევო, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარებით. კახეთის რეგიონში ტურისტული კლასტერის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები, რომელთა ანალიზის ძირითად ინსტრუმენტად ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ეკონომიკაში ფართოდ ცნობილი PEST-ს ანალიზი. იგი საშუალებას იძლევა გაფართოვდეს მიწოდებული სერვისების სპექტრი, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს მომხმარებელთა კმაყოფილება და ტურისტული ბაზრის მონაწილე ერთეულთა რაოდენობა, რომელთა ჩართულობა არიან კლასტერის მშენებლობაში.

122. რ.შენგელია, ჟ.წიკლაური, „უწყვეტი განათლება -ადამიანი კაპიტალის კვლავწარმოების უმთავრესი ფაქტორი“. ჟ. „ეკონომიკა“, N6-8, 2018 წ.

ანოტაცია თანამედროვე პირობებში, 21-ე საუკუნის მნიშვნელოვანმა თავისებურებებმა განათლების განვითარების პრობლემა პრიორიტეტულად აქციეს, ვინაიდან სწორედ განათლება აუმჯობესებს ადამიანი კაპიტალის ხარისხს, რომელიც სახელმწიფოს ინტელექტუალურ და სულიერ რესურსს წარმოადგენს. სწრაფცვალებად კონკურენციის პირობებში ქვეყანა რომ ვაქციოთ ინვესტირებისათვის მიმზიდველად, აუცილებელია შეიქმნას ინოვაციური, კრეატიული ატმოსფერო უწყვეტი განათლების სისტემის დასანერგად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის კვალდაკვალ გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება. ხარისხიანი უწყვეტი განათლება ქვეყანაში მდგრადობის და მიკრო და მაკრო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების რეალური ძალაა, რამაც ათასობით ადამიანის დასაქმება უნდა შეძლოს.

123. ჟ.წიკლაური-შენგელია, რ.შენგელია-.....“ საქართველოს ეკონომისტიდან”

“ეკონომიკამდე”. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3, 2018 წ.

ანოტაცია ნაშრომი ეძღვნება პირველი ქართული ეკონომიკური ჟურნალის – “საქართველოს ეკონომისტის” გამოცემის 100 წლისთავს. აღწერილია “საქართველოს ეკონომისტიდან” ჟურნალ `ეკონომიკამდე განვლილი გზა და “საქართველოს ეკონომისტის” ისტორიული მნიშვნელობა

124. ჟ.წიკლაური-შენგელია, რ.შენგელია, ნ. შენგელია, -მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განვითარების დონე-ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი, ჟ. „ეკონომიკა“ , N5-6, 2019წ.

ანოტაცია: 21-ე საუკუნეში, რომელიც არის ცოდნის საუკუნე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კონკურენტუნარიან ცოდნასა და ტექნოლოგიებს ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის, (მ.შ.საინვესტიციო მიმზიდველობისათვის). ასეთი მნიშვნელობა ნაშრომში ნაჩვენებია ნიდერლანდების, იაპონური კომპანიების მაგალითზე და ეკონომიკურ განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე. გამომდინარე აქედან, თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით კრეატიული ეკონომიკის დროს მიზანშეწონილად მიჩნეულია მეცნიერულ ტექნიკური ცოდნის

კვლავწარმოების ფორმების გამოყოფა, რომელთა პრაქტიკულ რეალიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად.

125. რ.შენგელია, ჟ.წიკლაური-შენგელია, ნ. შენგელია...ჟურნალ «ეკონომიკის» პირველი ნომრები ეკონომიკის ზოგიერთი დარგის პრიორიტეტულობის შესახებ და თანამედროვეობა. ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი—, #3, 2019, წ.

ანოტაცია: ჟურნალი „ეკონომიკა“, რომლის პირველი ნომერი „საქართველოს ეკონომისტის“ სახელწოდებით 1918 წელს გამოიცა, უკვე 101 წლისაა. იგი იმთავითვე გამო ირჩეოდა აქტუალური პრობლემების ოპერატიული გაშუქებით. სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს ეროვნული მეურნეობის ისეთ დარგებზე, როგორცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ა.შ. აწყობდა დისკუსიებს ქვეყნის მომავალი განვითარების გზების შესახებ და სხვ. თავისი ძირითადი შინაარსით ამ ჟურნალში დასმული საკითხები რეტროსპექტულია და საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში ახლანდელ პრობლემებზეც, მათ შორის ეკონომიკური პროფილის პრესის სატკივარზეც არანაკლებ სამართლიანად მიგვანიშნებს.

126. რ.შენგელია, ჟ.წიკლაური-შენგელია, ნ. შენგელია, კრეატიულობა-ადამიანი -კაპიტალის, ინოვაციური ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი,

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟ. „ეკონომიკა“, N10-12, 2019წ.

ანოტაცია: კრეატიულობა-ადამიანის, კომპანიების, საერთოდ, საზოგადოების (ეკონომიკის) განვითარებისა და წარმატებულობისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კრეატიულობა და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური ზრდის ახალ შესაძლებლობებს იძლევა, რადგან კაპიტალის სტრუქტურაში ინტელექტუალური კაპიტალი (მათ შორის ხელოვნური ინტელექტ-კაპიტალი, რომელიც უაღრესად დიდ მნიშვნელობას სძენს ადამიანი-კაპიტალისადმი დამოკიდებულებას და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს დამსაქმებლის მხრიდან) სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს, თანაც ტენდენციაც განვითარების მიმართულებით აშკარა, მზარდი ხსიათისაა. რების ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

127. რ.შენგელია, ჟ.წიკლაური, ეროვნული ეკონომიკის განვითარების ახალი შესაძლებლობები კორონომიკური კრიზისის კონტექსტში, ჟურ „ბიზნეს-ინჟინერინგი, #3, 2020 წ.

ანოტაცია: ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობისას კორონომიკური კრიზისის ფონზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:- ინვესტიციურმა პოლიტიკამ გარკვეული თავდაცვითი ხასიათი უნდა მიიღოს. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს შიდა ინვესტიციებზე იმ დარგებში, რომლებსაც საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ემიგრანტებისათვის სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნას;-სახელმწიფომ უნდა წაახალისოს იმ დარგებში განსახორციელებელი ინვესტიციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან იმპორტმცვლელი პროდუქციის წარმოებაზე ან ექსპორტზე;

128. ჟ. წიკლაური-შენგელია, რ.შენგელია, ნ. შენგელია, „კორონომიკური კრიზისი: ეროვნული წარმოების განვითარების შემაფერხებელი თუ სტიმულატორი? ჟ.„ეკონომიკა“, N3-5, 2020წ.

ანოტაცია: თანამედროვე სწრაფცვალებად კონკურენციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის წარმოდგენა შეუძლებელია მუდმივი განახლებისა და ცვლილებების გარეშე. ცნობილი გამოთქმის არ იყოს, მუდმივი ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ ცვლილებებია. ეკონომიკის განსავითარებლად, წარმატებული ცვლილებების განსახორციელებლად კი საჭიროა სწორი სტრატეგიის შერჩევა, ყოველგვარი რესურსების მობილიზება და ,რაც მთავარია, პროცესის მართვა. სწორედ კრიზისი, განსაკუთრებით კორონომიკური კრიზისი, როგორც მას

ლიტერატურაში ასე მოიხსენიებენ, არის ის მოვლენა, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც ცვლილებები, სტიმულატორი, ახალი შესაძლებლობები სხვადასხვა მიმართულებით.

129. ჟ.წიკლაური-შენგელია, რ.შენგელია, ნ. შენგელია, გლობალური სასურსათო პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალების შესახებ(შპს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ევრიკას“ მაგალითზე), ჟ. „ეკონომიკა“ , N6-9, 2020წ.

ანოტაცია: შპს „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება ევრიკას“ მაგალითზე განხილულია გლობალური სასურსათო პრობლემის გადაჭრის გზები, რომელთა შორის აღსანიშნავია ქართველი მეცნიერის, პროფესორ ალექსანდრე სხირტლადის მიერ შექმნილი ახალი ინოვაციური პრეპარატი „ალზურინი“. ამ პრეპარატის მოქმედებით -60%-მდე იზრდება ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობა, უმჯობესდება მისი ხარისხი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მიიღება. ბევრ ახალ საყურადღებო დადებით თვისებებთან ერთად მოწეული პროდუქტის შენახვის ვადებიც ხანგრძლივდება და, როგორც მისი გამოყენების ინსტრუქციიდან ირკვევა, ყველა მაჩვენებლებით წინ უსწრებს იმპორტულ სტიმულატორებს.

130. ჟ.წიკლაური-შენგელია, რ.შენგელია, ნ. შენგელია, ..., მეცნიერულ - ტექნიკური ცოდნის გაფართოებული კვლავწარმოება - სიმდიდრის ზრდის უმთავრესი წყარო , ჟ. „ეკონომიკა“ , N1-2, 2021წ. (DOI.org/10.36962/eecs104/1-2-47)

ანოტაცია: თანამედროვე ციფრული ეკონომიკის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის როლი სიმდიდრის წარმოების, დაგროვებისა და ზრდაში აშკარად ჩანს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების საკითხის გარკვევისას, რომლის რიგი ასპექტი, შეუსწავლელია ან ახლებურ გაშუქებას საჭიროებს.

კრეატიული ეკონომიკის, არასტანდარტული აზროვნების მოთხოვნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიჩნეულია მეცნიერულ ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების სამი ფორმის გამოყოფა, რომელთა პრაქტიკულ რეალიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების მესამე-გაფართოებული ფორმა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული თვისობრივ ცვლილებებთან, განვითარებასთან, რომელთა გარეშე სიმდიდრის წარმოება, დაგროვება, ზრდა წარმოუდგენელია. ამ მიმართულებით მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაცია, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

131. რ.შენგელია, ჟ.წიკლაური, განათლება ადამიანი კაპიტალის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, ჟურნალი „ეკონომიკა“, #3-5, 2021 წ.

ანოტაცია: განათლება ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლების მამოძრავებელი ძალაა. როგორც წარმოების აქტიური ფაქტორი-განათლებული ადამიანი განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მართალია, სწრაფი განვითარების შემაფერხებელი უამრავი ფაქტორები არსებობენ, რომელთა გადაჭრა მოკლევადიან პერსპექტივაში შეუძლებელია (მაგ. ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნება და ა.შ.), მაგრამ არსებობს ისეთი პრობლემებიც (მაგალითად: ინფრასტრუქტურის შედარებით მოკლე დროში განვითარება; სახელმწიფო ბიუროკრატის შენახვაზე ნაკლები ფულის ხარჯვა და ეკონომიკისათვის მეტი ფულის დატოვება; მიმოქცევაში სანდო ფულის არსებობა; ეკონომიკის დეკრიმინალიზაცია; სოციალური დახმარების ეფექტიანი სისტემა და ა.შ.), რომელთა აღმოფხვრაც მოკლე დროშიც შესაძლებელია. სწორედ ასეთ მნიშვნელოვან პრობლემათა შორის უმნიშვნელოვანესია ადამიანის განათლების დონის ამაღლება.

132. ჟ.წიკლაური-შენგელია, რ.შენგელია, აგნეჟა რზეჰვა, კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალის როლი საინვესტიციო მიმზიდველობისა და ბიზნეს -გარემოს

გაუმჯობესებაში - ინგლისურად). ჟურნალი „ეკონომიკა“, DOI - 10.36962/ecs105/3/2022-55 (ISSN 2587-4713). ტომი 105, 3 თბილისი 2022.

ანოტაცია: კაპიტალის ყველა კომპონენტში თანაბრად უნდა მოხდეს ინვესტირება, თუ გვინდა მივიღოთ ხანგრძლივი ეფექტი.წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეიქმნება ინვესტორები-სათვის საინტერესო , შესაბამისი ბიზნეს-გარემო ;ადამიანისეული კაპიტალის, როგორც თვითმზარდი ღირებულების (კაპიტალის) გასადიდებლად მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსები. აქ ნამდვილად არის რეზერვები, რადგან ამ პოტენციალს ალბათ ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ 10-15 პროცენტს თუ იყენებს;ყოველი ორგანიზაცია-იქნება ეს ფირმა, დარგი, სამეცნიერო დაწესწებულება და ა.შ. გამძაფრებულ კონკურენციის პირობებში, მუდმივად უნდა ეძებდეს საკუთარი საქმიანობის სრულყოფის გზებს, განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდეს უმთავრეს რესურსს და სიმდიდრეს-ადამიანს, თავისი ცოდნით,გამოცდილებითა და ინოვაციური- კრეატიული იდეებით;

133. ჟ.წიკლაური-შენგელია, რ.შენგელია, აგნეჟკა რზეჰკა, ფინანსური ტექნოლოგიების ზეგავლენა აღრიცხვის, აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების ციფრულ ტრანსფორმაციაზე).(ინგლისურად), ჟურნალი „ეკონომიკა“, DOI - 10.36962/ecs105/3/2022-55 (ISSN 2587-4713). ტომი 105, 3 თბილისი 2022.

რეზიუმე: ფინტეკი (FinTech) არის ფინანსებისა და ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს თანამედროვე ჭკვიანი ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორცაა დიდი მოცულობის მონაცემთა ანალიზი, ღრუბლოვანი (cloud) სისტემები, ხელოვნური ინტელექტი, რობოტიკა, აღრიცხვის, აუდიტისა და ფინანსური რეპორტირების მიმართულებით. გლობალური ციფრულიზაციის პირობებში, კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად ან შესანარჩუნებლად, აუცილებელია ფულის, დროის ინვესტირება ინოვაციების დანერგვაში. ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენამოახდინა ფინანსური სერვისების მიწოდების თითქმის ყველა სფეროზე, დაწყებული დაზღვევით, ბუღალტრული აღრიცხვით, კონსალტინგით, და საინვესტიციო ბანკინგით დამთავრებული. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრული ტრანსფორმაციის ზეგავლენის შეფასებას, მათ შორის XBRL-საერთაშორისო ციფრულ სტანდარტზე დაფუძნებული სტრუქტურირებული ციფრული ფინანსური ანგარიშების მომზადების ეფექტურობას, ბლოკჩეინის ზეგავლენას, ახალი „ვირტუალური, ელექტრონული“ აქტივებისა და კრიპტოვალუტის ციფრულ აღრიცხვას, რომლებიც უფრო მეტად სტრატეგიულ ფუნქციას ანიჭებს აღრიცხვას, ამავდროულად ეხმარება აუდიტორს ახალი „ჭკვიანი“(smart) პროგრამული ტექნოლოგიების საშუალებით აუდიტის რისკი მინიმალურ დონეზე შეამციროს.

134. ჟ.წიკლაური-შენგელია, რ.შენგელია,...., მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის(მტკ) განახლება -კვლავწარმოება დასაქმების უზრუნველყოფის უმთავრესი ფაქტორი, ჟურნალი „ეკონომიკა“, DOI - 10.36962/ecs105/9-105/2022-40 (ISSN 2587-4713). ტომი 105, 9-10 თბილისი 2022;

რეზიუმე: განათლების დონის მაჩვენებელი ქვეყნის წარმატებისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.. რამდენადაც განათლებულია ერი, იმდენად წარმატებულია თითოეული ქვეყანა და პირიქით. განათლებული ხალხები ქმნიან ძლიერ ინსტიტუტებს, რომლებზეც, თავის მხრივ, ფუძნდება ძლიერი სახელმწიფო. ყოველივე აქიდან გამომდინარე სწრაფგვალეზად კონკურენტულ სამყაროში იმარჯვებს ის ეროვნული ეკონომიკა და უფრო მეტად უზრუნველ ყოფილია დასაქმება იმ ქვეყნებში,რომლებშიც ადამიანისეული კაპიტალი ყველაზე ეფექტურად ყალიბდება და პრიორიტეტულადაა მიჩნეული, თანაც ამ დროს სასურველია ადამიანების განვითარება მიმდინარეობდეს შეუფერხებლად. გამოდის, რომ მოცემული დროის შესაბამისი დონის განათლება, მორალურად მოძველებული მეცნიერულ-

ტექნიკური ცოდნის (მტც) მუდმივი განახლება და საბოლოო ჯამში უწყვეტი განათლება დასაქმების უზრუნველყოფის საუკეთესო

პირობაა. როცა ლაპარაკია უწყვეტ განათლებაზე, სასურველია ვგულისხმობდეთ უწყვეტი განათლების უზრუნველყოფას ყველა ასაკში, მთელი ცხოვრების მანძილზე.

RESUME

135. ლელა ბოჭოიძე, მათა ჩინჩალაძე ნინო დარსაველიძე, საწარმოთა ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდის მიმართულებები 2023 წ. მარტი. ჟურნალი ეკონომიკა ტომი 105, 1-2 2022 ISSN 2587-4713 DOI:10.36962/ECS105/1-2 -2023 -87•

რეზიუმე: სტატიაში გაანალიზებულია რომ ბიზნეს სექტორის მიერ, საწარმოთა საქმიანობის შედეგების მიხედვით, ბრუნვის მოცულობის 17,4 % იანი ზრდა, 2022 წლის მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, გამოწვეულია წარმოების ეფექტიანობისადმი პრიორიტეტული დამოკიდებულებით: დამატებითი სიმძლავრეების შესაძლებლობების გამოვლენითა და მათი ოპტიმალური გამოყენებით. ცხადია რომ ეს პროცესები მკვეთრ ცვლილებებთან ასოცირდება და მოითხოვს დამატებითი რესურსების მობილიზაციას. მაგრამ ამავდროულად, დადებითად აისახება წარმოების ერთეულზე დაწეულ დანახარჯებსა და წარმოებული ერთეულების რაოდენობაზე. ამკარაა რომ ბიზნეს სექტორში, საწარმოთა საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე, ტრანსპორტსა და დასაწყობების სექტორში ფიქსირდება წარმოების ეფექტურობის ზრდა. სამუშაოს ხარისხისა და ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, ზრდის ტემპების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად, აქცენტირება უნდა მოხდეს წარმოების პროცესის ყველა ასპექტზე. პრიორიტეტად უნდა იქცეს რისკებისა და დანაკარგების შემცირება.

136. მ ჩინჩალაძე ლ. ბოჭოიძე ნ. დარსაველიძე . ფორსაიტის მეთოდოლოგია- რეგიონული მრეწველობის დარგების განვითარების სტრატეგიული ინსტრუმენტი 2022 წ. თებერვალი. ჟურნალი ეკონომიკა ტომი 105, 1-2 2022

ISSN 2587-4713 DOI:10.36962/ECS105/1-2/2022 ECONOMICS VOLUME 105, ISSUE 1-2 2022

ანოტაცია: ფორსაიტს - როგორც სისტემური პროგნოზირების ინსტრუმენტს, აქტიურად განიხილავენ. დღემდე, მეცნიერულ - ტექნიკური პროგნოზირების სფეროში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიერ, ათასობით პროექტი იქნა ინიცირებული და განხორციელებული. მიმდინარე პროცესებზე გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედება, ხშირად მოითხოვს, კორექტირების აუცილებლობას, foresight - ის შემთხვევაში, ეს პროცესები ექვემდებარება, სწრაფ კორექტირებას. (Strategic planning და forecast შემთხვევაში კი - გარკვეულ დროს მოითხოვს). ყველა რესურსის განაწილება მიმდინარეობს საჭირო მიმართულებებით, ხდება გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია, ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა. ძირითადი ტენდენცია, რომელსაც ადგილი აქვს, ბოლო ათწლეულში, არის ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პროექტებიდან - იმ სახის პროექტებზე გადასვლა, რომელთათვისაც დამახასიათებელია, ტექნოლოგიური მიმართულება, ბაზარი, სოციალური შედეგები.

137. მ ჩინჩალაძე ლ. ბოჭოიძე ნ. დარსაველიძე. ოპტიმალური ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკა პანდემიის ვითარებაში 2022 წ მარტი საქართველო, თბილისი 2022 E-ISSN 2733-3361 ჟურნალი ეკონომიკა ტომი 105, 3 2022 ECONOMICS სპეციალური გამოშვება ISSN 2587-4713 DOI:10.36962/ECS105/3/2022 VOLUME 105, ISSUE 3 2022

ანოტაცია: რისკ ფაქტორებს, რომლებიც დასახელებულია, საქართველოს ბიუჯეტის კანონის ცვლილებების პროექტის სცენარების 2021 წლის დოკუმენტში, მიეკუთვნება: პანდემიის გამწვავების რისკი; ტურიზმის სექტორის შემოსავლების მკვეთრი შემცირება; სავაჭრო ბრუნვის ზრდის მიუხედავად, მიწოდების ხარჯების ზრდა, რომელიც აიხსნება, მსოფლიოში მიმდინარე ინფლაციური პროცესებით; ასევე დასახელებულია, გაზრდილი გლობალური ვალი და

გლობალური მომხმარებლის ქცევის ცვლილება. დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში, განსაკუთრებით დიდი სირთულეს წარმოადგენს ეკონომიკის სტიმულირება - პანდემიის პირობებში. სტატია ეხება გლობალურ პრობლემებს და მათ გადაჭრის გზებს. შესაძლებლობისდაგვარად, სწრაფად უნდა მოხდეს ეკონომიკის აღდგენა. კერძო სექტორის წახალისების მიზნით, მთავრობის ქმედებებით იქმნება, ეკონომიკური სტიმული.

აუცილებელია სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა, სწორი ანალიზი, თუ რა პოტენციური გავლენა ექნება ინვესტიციების გაზრდას პრიორიტეტულ დარგებში, რამდენად აისახება ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკა დასაქმების მაჩვენებელზე, რამდენად აუცილებელია ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკის აქტიური გატარება, ეკონომიკის აღსადგენად, პოსტკოვიდურ პერიოდში.

138. მ ჩინჩალაძე ლ. ბოჭოიძე ნ. დარსაველიძე. მსოფლიო პანდემიის ზეგავლენის თავისებურებანი, სატრანსპორტო სისტემაზე და ინფრასტრუქტურაზე. 2020 წ. სტუ ჟურნალი ეკონომიკა № 10-12 ISSN 2587-4713

ანოტაცია: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე გავლენას ახდენს ეპიდემდგომარეობა და ეს შეეხო განსაკუთრებით, საჰაერო ტრანსპორტს. საკარანტინო ზომებმა, მთელ მსოფლიოში, დიდი ფინანსური ზარალი მოუტანა ავიაკომპანიებს: Euler Hermes Industry Risk Ranking - სადაც დასაქმებულია 5,800 თანამშრომელი 50-ზე მეტ ქვეყანაში და დაზღვეულია გლობალური ბიზნეს ოპერაციები 962 მილიარდ ევროდ. 2018 წლის ბოლოს, კვლევის მიხედვით-კომერციული, სამგზავრო, საჰაერო გადაადგილება - სამგზავრო კილომეტრზე - გასული წლის დეკემბრიდან, 40%-ით შემცირდა. ამავე კვლევის თანახმად, ავტომობილების მწარმოებლები დაზარალდნენ, COVID-19 ის გამო. S&P Global Ratings ვარაუდობს, რომ მსოფლიოში, ავტომობილების გაყიდვები 3,6 პროცენტით შემცირდება, რაც ძირითადად, განპირობებულია ჩინეთში ავტომობილებზე მოთხოვნის 5 % ით შემცირების პროგნოზით. პანდემიის პირობებში, ლოგისტიკური ჯაჭვის მოშლა, ყველაზე მთავარი რისკია და ყველა მწარმოებელი, ყურადღებით აკვირდება, შექმნილ, ძალზედ ცვალებად და არაპროგნოზირებად სიტუაციას. მოთხოვნა - კვლავ რჩება, ყველაზე მნიშვნელოვან რისკად, რადგან როდესაც კრიზისი გადაივლის დაიწყება აქტიური მიწოდების ეტაპი, თავიდან უნდა იქნას აცილებული ბაზრის გაჯერება და ჭარბი მარაგების პრობლემა.

139. მ ჩინჩალაძე ლ. ბოჭოიძე ნ. დარსაველიძე. მსოფლიო პანდემიის ზეგავლენის თავისებურებანი სატრანსპორტო სისტემაზე და ინფრასტრუქტურაზე 2020 წ სტუ. ჟურნალი ეკონომიკა № 10-12 ISSN: 0206-2828. განახლებული ISSN 2587-4713 UDC: 338(922)(05)

ანოტაცია: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, უდავოდ, წარმოადგენს, მრეწველობისა და იმ საწარმოების ერთობლიობას, რომლებიც, უშუალოდ, ახორციელებენ, ტრანსპორტირებას. იდენტურად განიხილება, ტერმინები - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო სისტემა. იგი გვევლინება, როგორც მრეწველობა და საწარმოები და რომლებიც ტრანსპორტირებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიან. 2020 წლის თებერვლიდან, მრავალი რამ შეიცვალა და სისტემატიურად იცვლება, კორონავირუსისა და მისი ზეგავლენის გამო, სატრანსპორტო ინდუსტრია. მეტიც, ევროპის საზღვრებს გარეთ, სიტუაცია კრიტიკული რჩება შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, რაც პრობლემას უქმნის, ინტერკონტინენტალურ ტრანსპორტს.

140. მ ჩინჩალაძე ლ. ბოჭოიძე: სოციალური ეკონომიკის ახალი ამოცანები, COVID 19 – ით გამოწვეული კრიზისის პირობები 202 წ ოქტომბერი თბილისი, საქართველო სტუ. ჟურნალი - „ბიზნეს- ინჟინერინგი“ ყოველკვარტალური რევირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი № 3 , 4 ოქტომბერი, 2020 ISS 1512-0538.

ანოტაცია: სოციალურ ეკონომიკაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ახალი, სოციალურ ინოვაციური მოდელების შექმნა. სოციალური ეკონომიკა, მოიცავს, ასოციაციებს,

კოოპერატივებს, ფონდებს, ორგანიზაციებს, საწარმოებს და ფოკუსირდება, მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ პრაქტიკაზე. სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციები, კრიზისისას, წინა პლანზე მუშაობენ, მათი მიზანიც შესაბამისად, სოციალური პრობლემების მოგვარება, ალტერნატიული გზების ძიება და ინოვაციების დანერგვაა.

სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციებმა - რომელთა საქმიანობა, ხელს უწყობს პოსტკრიზისული ეკონომიკის აღდგენასა და წინსვლას, წინ წამოსწი-ეს, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების, განახლებული მოდელები და მოგების მაქსიმიზაციის ამოცანასთან შედარებით, უპირატესობა, სოციალური ეკონომიკის, ინოვაციურ ბიზნეს მოდელების შემუშავებას და დანერგვას მიანიჭეს. სოციალური ეკონომიკის, ბიზნეს მოდელები, უნიკალურია, მრავალი თვალსაზრისით: პირველ რიგში, სოციალურ ეკონომიკურ ორგანიზაციებს, შეუძლიათ, ფინანსური და არაფინანსური რესურსების მობილიზება (ეს რესურსებია:

შემოსავლები რეალიზაციიდან, საზოგადოებრივი სუბსიდიები, მოხალისეთა შემოწირულობები) სხვა-დასხვა წყაროებიდან: საჯარო სექტორიდან, საწარმოებიდან, ფონდებიდან, ინდივიდუალური პირებიდან. რაშიც გამოიხატება, სოციალური ეკონომიკის, ორმაგი დატვირთვა.

141. მ. ჩინჩალაძე, ნ. დარსაველიძე, ლ. ბოჭოიძე

ეკონომიკური კრიზისი, როგორც განვითარების ინსტრუმენტი 2020 წ. სტუ

ჟურნალი ეკონომიკა № 6-9 ISSN: 0206-2828. განახლებული ISSN 2587-4713 UDC: 338(922)(05)

რეზიუმე: 2020 წლის კრიზისმა, ისევ დააყენა, რეცესიის საფრთხის წინაშე - მილიონობით ადამიანი მსოფლიოში, უმუშევართა რიგებს შეუერთდა. ნათლად ჩანს, საფუძვლიანი განსხვავება, ასი წლის წინანდელ დეპრესიასთან შედარებისას. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამსაქმებელი დღეს, სწრაფად მართავს საკუთარ შესაძლებლობებს. ეპიდსიტუაციის გაუარესებისა და ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში, დამსაქმებელს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს, მთავრობის დახმარება, საკუთარი ბიზნესის დასაცავად. ცხადია, ეს - დროებითი ინსტრუმენტია, რომელიც ეფექტურად გამოიყენება, მოკლევადიან კონიუნქტურული რყევებისას მაგრამ, არაეფექტურია - გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ ეკონომიკური კრიზისის დარეგულირება და მართვა, გრძელვადიან პერსპექტივაში, შედეგს ვერ გამოიღებს, და ლოგიკურია, კომპანიები დაიწყებენ, დასაქმებულთა დათხოვნას, შესაბამისად - უმუშევრობაც გაიზრდება. კომპანიები, იძულებულნი გახდნენ, უმოკლეს დროში, მოეხდინათ ადაპტირება, პანდემიით შექმნილ პირობებთან და გაეგრძელებინათ ფუნქციონირება, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა. საქართველოში, საქმიანობის დიდი ნაწილი - სხვადასხვა სახის მომსახურების მიწოდებას უკავშირდება და მთავარი პრობლემა სწორედ აქ არის - ამ სფეროში, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, ხშირად შეუძლებელია. მომსახურების ბევრი სახე, გულისხმობს, პირდაპირი კონტაქტის განხორციელებას.

142. მ. ჩინჩალაძე, ნ. დარსაველიძე, ლ. ბოჭოიძე

კორონავირუსის პანდემია DIGITAL (ციფრული) მარკეტინგის წამყვანი 2020 წ. სტუ

ჟურნალი ეკონომიკა № 6-9 ISSN: 0206-2828. განახლებული ISSN 2587-4713 UDC: 338(922)(05)

რეზიუმე: კრიზისში მყოფი კომპანია, პირველ რიგში, კრიზისის მიზეზს და ხასიათის ანალიზებს, რადგან მასზეა დამოკიდებული, ბრენდის ოპტიმიზაცია, ბიუჯეტის უფრო მკაცრი მონიტორინგი და კონტროლი კი აადვილებს, სწორი გადაწყვეტილების მიღებას. მოკლევადიანი გეგმა, კრიზისში, ყველაზე მაღალი პრიორიტეტია. პანდემიის დროს, ეს ამოცანები და მიზნები არ შეცვლილა, მაგრამ, მათ მისაღწევი ინსტრუმენტები - აშკარად და ცალსახად - შეიცვლილია. ციფრული მარკეტინგის, მთავარი სარგებელი, არის, სოციალური დისტანცირების შესაძლებლობების გათვალისწინებით - საწარმოს, ფინანსური მდგომარეობის, ზოგადი შეფასების და ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტური ანალიზით - ლიკვიდურობისა და

გადახდისუნარიანობის შეფასების მაჩვენებლების, ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებლების, ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტების -ROCE, ROE, ROA და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ამ ვითარებაში, ინვესტიციების რენტაბელობის - ROI-ს, ამაღლება, რაც უზრუნველყოფს, COVID-19 პანდემიით მიყენებული რისკების მინიმუმამდე დაყვანას.

143. მ. ჩინჩალაძე , ი. ფრანგიშვილი ლოგისტიკური ინოვაციების კლასიფიკაცია და მათი მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, სატრანსპორტო ლოგისტიკურ სისტემაში 2019 წ სტუ
ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“N 2 (45) 2019 ISSN 1512-3537

რეზიუმე: სტატიაში მოყვანილია ლოგისტიკური ინოვაციის კლასიფიკაცია, განხილულია ინოვაციის შემუშავებისა და დანერგვის მიზნები, მეთოდები, პრინციპები და მაჩვენებლები. აგრეთვე, ნაჩვენებია ინოვაციის საბაზისო მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო სისტემაში, ლოგისტიკის სხვადასხვა სფეროში. განხილულია ინოვაციური ლოგისტიკის მახასიათებლები და მისი გამოყენება ტრანსპორტის სფეროში.

144. ალ. კანკაძე, ჯ.კანკაძე. ა.წულაია. ჯ.შანიძე „რეგიონული კლასტერები და მისი მნიშვნელობა ეკონომიკაში“ (კერამიკა და მოწინავე ტექნოლოგიები - სამეცნიერო-ტექნიკური რეფერირებადი ჟურნალი. ISSN 1512-0325. vol.23.1(45).2021 გვ. 39-44

ანოტაცია: ნაშრომში გადმოცემულია ლოგისტიკის როლის კვლევა რეგიონალური ბაზრის პოლიტიკაში. ლოგისტიკის გამოყენების შესაძლებლობა, რაც საშუალებას გვაძლევს წარმატებით გადავწყვიტოთ ნებისმიერი დონის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ და საინფორმაციო ნაკადებთან.

145. ზორის გითოლენდია; დ. ჯაფარიძე - საქართველოს სატრანსპორტო სისტემის მართვის სქემის გაუმჯობესების საკითხები

მე-6 ქართულ-პოლონური საერთაშორისო კონფერენციის “სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია” შრომების კრებული - თბილისი 2022 - ISBN 978-9941-8-4775-2 41-46 გვ

რეზიუმე: საქართველოს სატრანსპორტო-სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელობა, მსოფლიოში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენებისა და საქართველოს ევროინტეგრაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით, კიდევ უფრო გაიზარდა. ამიტომაც ქვეყანაში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და მისი მართვის სისტემური გაუმჯობესების საკითხებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კვლევის ძირითად ამოცანას, სატრანსპორტო სისტემის მართვის სქემის გასაუმჯობესებლად სწორი პრიორიტეტების შედგენა წარმოადგენდა. შესაბამისად, მისი დამუშავებისათვის ცხრილის სახით შევადგინეთ ამოსავალი მონაცემები, ჩამოვყალიბეთ საქართველოს სატრანსპორტო სისტემის მართვის სქემატური მოდელი და რეკომენდაციები შედეგების გასაუმჯობესებლად.

146. ზორის გითოლენდია, ლუკა ქემოკლიძე - „ინოვაციების ცენტრის“ სტრატეგიული, მდგრადი განვითარების გეგმის შემუშავების საფუძვლები, საქართველოს უსდ-ების მაგალითზე - (ნაბეჭდი) ეკონომიკური კვლევის და განვითარების ინსტიტუტი (საქართველო) - ჟურნალი Economics and Finance, #, #1, 2021 403-411 გვ

რეზიუმე: სტატიაში, საქართველოს უსდ-ების მაგალითზე, სიტუაციური ანალიზის შედეგად დამუშავებულია ე.წ. „ინოვაციების ცენტრის“, როგორც ინოვაციურ ეკოსისტემის მხარდაჭერასა და განვითარებაზე ორიენტირებული პოტენციური დამხმარე ფუნქციური ერთეულის გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების მიზნებისათვის, საქმიანობის მიმართულებები; შემოთავაზებულია ცენტრის მართვის მოდელირებული სტრუქტურა; იდენტიფიცირებულია სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და ჩამოყალიბებულია მონიტორინგის მექანიზმები. სტატიაში, პროექტის სახით წარმოდგენილია ე.წ „ინოვაციების

ცენტრის“ განვითარების ხედვა, რომელმაც ავტორთა აზრით, ხელი უნდა შეუწყოს და კიდევ უფრო გააუმჯობესოს ქართულ უსდ-ებში ინოვაციების ხარისხი და მისი მასშტაბები. სტატია მომზადებულია ბრიტანეთის საბჭოს საერთაშორისო ინიციატივის - „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ მესამე წლის პროექტის ფარგლებში.

147. ა. წულაია. ლ.მიქავა. ალ.კანკაძე „ადამიანური რესურსების მართვის სისტემის თანამედროვე უპირატესობები“ (ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა-სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების კრებული. N3 (49). 2020. ISSN 1512-3537. გვ. 120-134.

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის - HR-ის ჩართულობის აუცილებლობა თანამედროვე ბიზნეს საქმიანობაში. რადგან სწორედ ადამიანური რესურსი ქმნის კომპანიის სამომავლო სტრატეგიას და ახდენს მის რეალიზაციას. სტატიაში ასევე განხილულია HR-ბრენდის ნიშვნელოვნება კომპანიის იმიჯის ფორმირებაში. HR-ის დაკავშირებით ბიზნესთან, შესაძლებელი გახდება კომპანიამ შეიმუშაოს და განავითარონ კონკრეტული ბიზნესის საჭიროებაზე მორგებული სისტემები, პროცესები და სამოქმედო გეგმა.

148. ალ. კანკაძე, ჯ.კანკაძე. ა.წულაია „ინფორმაციული ლოგისტიკის გავლენის ანალიზი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე“ (კერამიკა და მოწინავე ტექნოლოგიები - სამეცნიერო-ტექნიკური რეფერირებადი ჟურნალი. ISSN 1512-0325. vol.22.2(44).2020 გვ. 11-17;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე საქართველოს სატრანსპორტო სექტორის გამართული და ეფექტიანი მუშაობის აუცილებლობა და ლოგისტიკის ეფექტიანობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც შესაძლებელია სასაზღვრო კონტროლის პროცედურების ეფექტიანობის ამაღლების ხარჯზე.

149. ალ. კანკაძე, ჯ.კანკაძე. ა.წულაია. მ. მოისწრაფიშვილი „ლოგისტიკის როლის კვლევა რეგიონალური ბაზრის პოლიტიკაში“ (კერამიკა და მოწინავე ტექნოლოგიები - სამეცნიერო-ტექნიკური რეფერირებადი ჟურნალი. ISSN 1512-0325. vol.22.2(44).2020 გვ. 17-21;

ანოტაცია: მოცემულ ნაშრომში გადმოცემულია ლოგისტიკის როლის კვლევა რეგიონალური ბაზრის პოლიტიკაში. ლოგისტიკის გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს, წარმატებით გადავწყვიტოთ ნებისმიერი დონის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ და საინფორმაციო ნაკადებთან.

150. ანა წულაია, ლევან მიქავა „საგადასახადო და სხვა შემოსავლების პოლიტიკის გავლენა მუნიციპალური ბიუჯეტების დეცენტრალიზაციის პროცესებზე“ (ჟურნალი ეკონომიკა) 12 გვერდზე 2018 წელი #1 გვ.6-13; ISSN 2587-4713

ანოტაცია: სტატიაში განხილულია საგადასახადო და სხვა შემოსავლების პოლიტიკის გავლენა მუნიციპალური ბიუჯეტების ფორმირების პროცესში და მათი დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებაზე. გაანალიზებულია 2004-2005 წლებიდან გადასახადების სხვადასხვა სახეობების შემცირებისა და გაუქმების ეტაპები და დღეს არსებული მდგომარეობა.

151. იულია თედევი - შრომის სტიმულირების სისტემა

ჟურნალი „ეკონომიკა“ 2018წ. №1 -ISSN 2587-4713

რეზიუმე: შრომის სტიმულირება წარმოადგენს მუშაკის დაჯილდოების საშუალებას წარმოებაში მონაწილეობის სანაცვლოდ, რომელიც ეფუძნება შრომის ეფექტურობის შედარებას ტექნოლოგიის მოთხოვნებთან. დაჯილდოების სისტემა შედგება ფინანსური დაჯილოებებისგან (ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურება) და შეღავათებისგან (იგი ეძლევათ მუშაკებს), რომლებიც ერთად შეადგენენ ჯამურ ანაზღაურებას. ეს სისტემა ასევე შეიცავს არაფინანსურ

წახალისებებს (ალიარება, შექება, პასუხისმგებლობის გაფართოება და პირადი ზრდა) და ძალიან ხშირად - მუშაობის მაჩვენებლების მართვის პროცესებს.

152. მარინე ლომიძე, იულია თედევი - მომსახურების მარკეტინგის თავისებურებები საქართველოში

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ 2020წ. №3 (49)
ISSN 1512-3537

რეზიუმე: მომსახურება არამარტო ბიზნესის, არამედ მთლიანი ქვეყნის წარმატების საწინდარია. სწორედ მომსახურების სფეროზეა დამოკიდებული, ის თუ რა მოგებას ნახავს ესა თუ ის მეწარმე. მომსახურების სფეროს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის დინამიკაზე და მთლიანად ეკონომიკურ ზრდაზე. მომსახურების სფეროს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის დინამიკაზე და მთლიანად ეკონომიკურ ზრდაზე. მომსახურების სფერო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს შორის ოპტიმალური პროპორციების ფორმირებაში.

153. ინგა გიგაური, იულია თედევი - მრეწველობის განვითარების პარადიგმები და საქართველო გლობალურ ეკონომიკურ ჭრილში

ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ 2021წ. №2 - ISSN 2587-5000

რეზიუმე: სამრეწველო კომპლექსის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარების მიერ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს, რადგან სწორედ მრეწველობა არის ეკონომიკური ძლიერებისა და ეროვნული უშიშროების საფუძველი. ამ ამოცანის გადაწყვეტის საქმეში დიდი როლი ენიჭება სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბებას გრძელვადიანი პერიოდისათვის და საქართველოს როგორც ევროპული ოჯახის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის ნიშა ადგილის დამკვიდრებას გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში. საჭიროა ეკონომიკური ზრდის ახალი მოდელი, ეს ნიშნავს პროდუქციის შექმნას იმ სექტორებში, რომელსაც საექსპორტო პოტენციალი აქვს, დამყარებული იქნება წარმოების მაღალ ტექნოლოგიურ განვითარებაზე და კონკურენციას გაუწევს იმპორტირებულ პროდუქციას ამისათვის აუცილებელია შევცვალოთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ვექტორი, რათა მომხმარებელი ქვეყნიდან გარდავიქმნათ მწარმოებელ ქვეყნად. დღეს როგორც არასდროს გვესაჭიროება ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია, ჩრდილოვანი ეკონომიკის დეკრიმინალიზაცია, მოსახლეობის ადამიანისეული კაპიტალის ათვისება-რეალიზაცია და ქვეყნის რესურსების (ბუნებრივი, ფინანსური, ტექნიკური, შრომითი, მატერიალური) მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენება საბაზრო ეკონომიკის სხვა ფუძემდებლურ პრინციპებთან ერთად.

154. იულია თედევი - შშმ პირთა დასაქმების პრობლემები საქართველოში

ჟურნალი „ეკონომიკა“ 2022წ. №11-12 - E-ISSN 2733-3361

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმებას საქართველოში; ბარიერებს, რომლებსაც ისინი აწყდებიან სამუშაოს ძიების პროცესში. მოყვანილია მაგალითები ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ. შშმ პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა დღემდე ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება. მათთვის ანტიდისკრიმინაციული გარემოს შექმნა, სოციალური ადაპტაცია, უმუშევრობის პრობლემის მოგვარება, ფუნდამენტური უფლებების დაცვა, რაც გამოიხატება მათი განათლების, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და თავისუფალი არჩევანის უფლებების დაცვაში, ყველა განვითარებული ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებას ქვეყნის.

155. პროცესორიენტირებული ცოდნის მენეჯმენტის მოდელები - ლილი პეტრიაშვილი, ქეთევან არევამე, ცირა ელგენდარაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები, თბილისი, #1(28) 2019 - ISSN1512-3978 - EISSN 1512-2174

რეზიუმე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი რეზიუმე განხილულია პროცესორიენტირებული ცოდნის მართვის სხვადასხვა სტრუქტურის და ტიპის მოდელები, რომელთა გამოყენებითაც მომხმარებელს ეძლევა საშუალება გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენოს განსხვავებულ სტრატეგიას მორგებული ვალიდურ და კვალიფიციურ ცოდნაზე ორიენტირებული რეკომენდაციები და გამოცდილება. მოცემული მოდელები ახდენს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცოდნის ინტეგრირებას, რომელიც ქმნის რეალურ დროში ბიზნეს-გადაწყვეტილებათა მართვის ერთიან სივრცეს, საიდანაც საქმიანი პროცესები იმართება შესაბამისი უნარების, ტექნოლოგიების და გამოცდილების გათვალისწინებით. წარმოდგენილი ცოდნის მართვის მოდელები ეხმარება ორგანიზაციებს, სწორად განსაზღვროს თავიანთი სამოქმედო სტრატეგია, ადაპტირებული იყოს გარემო ფაქტორების მიმართ და მაქსიმალურად გაითვალისწინოს მომხმარებელთა მოთხოვნა.

156. საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი ცოდნის მართვაში

ლილი პეტრიაშვილი¹, ქეთევან არევამე², ემელიანე გოგილიძე¹, ცირა ელგენდარაშვილი¹

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი² - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები, თბილისი, #2(26) 2018 - ISSN1512-3978 - EISSN 1512-2174

რეზიუმე: განხილულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები ორგანიზაციული და ინსტიტუციური მართვის მიზნით, როგორც ერთ-ერთი ეფექტური და მნიშვნელოვანი მეთოდი, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე შეუძლებელია. ორგანიზაციის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია ბიზნესპროცესებში ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენება, რათა კონკურენტულ გარემოში არ დაკარგოს აქტუალურობა.

157. „მრეწველობის განვითარება საქართველოში“ ია გოდერძიშვილი, თამარ ქამხაძე .
ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №3 (52) 2021წ. ISSN 1512-3537

რეზიუმე: საქართველოს სამრეწველო წარმოების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. ეკონომიკა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, თითოეული ჩვენგანი ვცხოვრობთ ეკონომიკურ გარემოში და შეგვაქვს ჩვენი წილი მის განვითარებაში. სამრეწველო წარმოებაში სარეკორდო ვარდნაა, რომელიც ეკონომიკურ სისტემაში ცვლილებებითაა განპირობებული, საწარმოების ტრანსფორმაცია და ტრადიციული კავშირების გაწყვეტა, საკრედიტო დეფიციტი, კაპიტალის უკმარისობა ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად, შემოსავლების დაბალი დონე და უმუშევრობის ზრდა, სწორედ ეს არის ჩამონათვალი რიგი პრობლემების, რომელსაც უფრო მეტად უნდა მიაქციოს ყურადღება სახელმწიფომ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დღეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ვიდრე წინა წლებში. აქედან გამომდინარე მრეწველობის მაჩვენებლებიც უკეთესია.

158. საქართველოს ტურისტული პოტენციალის ათვისების არსებული დონე და სამომავლო პერსპექტივები,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, 2018

რეზიუმე: სტატიაში აღწერილია საქართველოს ტურისტული პოტენციალის ათვისების არსებული დონე და განხილულია ის საკითხები და პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც ხელს

შეუწყობს აღნიშნული პოტენციალის რეალიზაციას, რაც თანმიმდევრულად გამოიწვევს ქვეყნის შესაბამისი ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდას უცხოეთიდან შემოსული ტურისტული ნაკადების ზრდის კვალობაზე, უცხოური ვალუტის შემოდინებითა და ახალი სამუსაო ადგილების შექმნით შესაბამისი ტურისტული სერვისების სრულყოფისათვის.

159. დროის მენეჯმენტი, როგორც წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი, ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეც. ჟურ. "განათლება", სტუ, 2018

რეზიუმე: დრო არის ის ერთადერთი რესურსი, რომელსაც ყველა ადამიანი თანაბრად ფლობს. პროფესიული მოღვაწეობის, საქმიანობის თუ დაკავებული პოზიციის მიუხედავად, დრო ყველასთვის ერთნაირია - ბანკირი იქნება თუ დიასახლისი, მენეჯერი თუ პროფესორი, მუსიკოსი თუ არქიტექტორი, განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ ვინ როგორ გამოიყენებს ამ დროს. ადამიანს არ აქვს დროის გაზრდის უნარი, იგი უცვლელი რესურსია. ადამიანს შეუძლია მხოლოდ დროის "შემჭიდროება", ანუ ერთსა და იმავე დროში უფრო მეტი საქმის გაკეთება, საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზება. დრო თანამედროვე ყოფის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული რესურსია, მისი სწორი გამოყენება უფრო მეტად მნიშვნელოვანია ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც ისწრაფვის პროფესიული კარიერული სრულყოფისაკენ.

160. ეფექტური მომსახურების მნიშვნელობა საქართველოს ბიზნეს გარემოსთვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, 2019

რეზიუმე: სწრაფად მზარდი კონკურენციის გარემოში, კომპანიების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მუდმივად მოიპოვონ მომსახურების სფეროში მათთვის საჭირო უახლესი ინფორმაცია და შესაბამისი საჭირო კომპეტენციები, რათა უპასუხონ მომხმარებლის მიერ წარმოდგენილ სწრაფად ცვლებად ბიზნეს მოთხოვნებს. პრაქტიკოსების უმეტესობა თანხმდება იმ ფაქტზე, რომ კომპანიები, რომლებსაც აქვთ მომხმარებლებისადმი ეფექტურად მომსახურების სტრატეგია, უკეთესად პოზიციონირებენ ბაზარზე, განსხვავებით მათგან, ვინც მნიშვნელობას არ ანიჭებს მომსახურების სტანდარტებს. კერძო სექტორის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მომხმარებელთა მოთხოვნის ეფექტურად დაკმაყოფილება, ძველი მომხმარებლების შენარჩუნება და ახლის მოზიდვა. ეფექტური მომსახურება და მისი სისტემური გაუმჯობესება ძალზედ მნიშვნელოვანია კერძო სექტორისთვის, რათა კომპანიამ შეინარჩუნოს მომხმარებლები და კონკურენციის პირობებშიც გაზარდოს მოგება.

161. N. Davitashvili, A. Sharvashidze, A. Talakvadze. Dynamical analysis of planar RRRRT type five-bar hinged mechanism with two degrees of freedom with taking into account clearances and impacts in kinematic pair. International Scientific Journal, PROBLEMS OF MECHANICS. № 1(71) / 2018. pp. 5-15. ISSN 1512-0740. Georgian IFToMM.

რეზიუმე: მოცემულია RRRRT ტიპის ორი თავისუფლების ხარისხის მქონე 5 რგოლა ბრტყელი სახსრული მექანიზმის დინამიკური კვლევა ორი ღრეჩოს და დარტყმების გათვალისწინებით კინემატიკურ წყვილებში ორი ბარბაცას შეერთებაში. განსაზღვრულია რგოლების ურთიერთდარტყმადი მასების სიჩქარეები დარტყმამდე და დარტყმის შემდეგ და აღდგენის კოეფიციენტები. დადგენილია, რომ აღდგენის კოეფიციენტის გაზრდით ინერციის ძალის მაქსიმალური მნიშვნელობა და კინემატიკური ჯაჭვის განცალკევების რიცხვი მცირდება. გადაწყვეტილია რიცხვითი მაგალითი.

162. N. Davitashvili, A. Sharvashidze. Analysis of kinematic and dynamic precision of planar RRRRT type five-bar hinged mechanism with two degrees of freedom with clearance in the connection of two couplers. International Scientific Journal, PROBLEMS OF MECHANICS. № 3(72) / 2018. pp. 5-15. ISSN 1512-0740. Georgian IFToMM.

მოცემულია RRRRT ტიპის ორი თავისუფლების ხარისხის მქონე 5 რგოლა ბრტყელი სახსრული მექანიზმის კინემატიკური და დინამიკური კვლევა ერთი ღრეჩოთი, ორი ბარბაცას შეერთებაში. რომელიც გამოყენებულია სპეციალურ ტექნიკაში ანტენის ეკრანის ზედპირის მოთხოვნილი გეომეტრიის სიზუსტის მისაღებად. მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას დამახინჯებანი და მექანიზმის მოძრაობის კანონის სიზუსტე გაიზრდოს.

163. С. Карипидис, А. Шарвашидзе, Дж. Саникидзе, Л. Чичуа, Ю. Схиртладзе. Реостатное торможение электропоездов ЭР2, ЭР22 при транзисторном регулировании скорости. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #2 (42) 2018. გვ. 5-12. ISSN 1512-3537. რეზიუმე: სტატიაში აღნიშნულია არსებული მექანიკური (კნემატური) დამუხრუჭების სისტემის უპირატესობა და უარყოფითი მხარეები, მითითებულია სარკინიგზო ხუნდების მაღალ ხარჯზე და ამ სისტემით შექმნილი მტვერით რკინიგზისა და ელექტროაღჭურვილობის დაბინძურებაზე. შემოთავაზებულია ელექტრული დამუხრუჭების ორიგინალური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მატარებლის დამუხრუჭებას გაჩერებამდე.

164. С. Карипидис, А. Шарвашидзе, Дж. Саникидзе, Л. Чичуа, Ю. Схиртладзе. Повышение энергетических показателей электропоездов постоянного типа ЭР2, ЭР22. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #1 (41) 2018. გვ. 85-100. ISSN 1512-3537. რეზიუმე: სტატიაში პირველად სწორედ არის განსაზღვრული გამშვები დანაკარგების კოეფიციენტი, როგორც გამშვების პროცესში, ასევე მაღალი სიჩქარით მოძრაობისას. მოყვანილია იმ მატარებლების პრაქტიკული ელექტრული სქემები, რომლებიც ორი ათეულია წელია მუშაობენ საქართველოს რკინიგზაზე. სქემებიდან ჩანს, რომ არ არსებობს ელექტროენერჯის დამატებითი დანაკარგები რომელიმე ელემენტზე. მოყვანილია მატარებელთა ელექტრული სქემები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტრანზისტორებით IGBT, 6500 V, 600 A.

165. ს. კარიპიდისი, ა. შარვაშიძე, ჯ. სანიკიძე, ლ. ჩიჩუა, ი. სხირტლაძე. ЭР-2 და ЭР-22 ელექტრომატარებლების ტირისტორული სქემით სიჩქარის რეგულირებისას ფილტრის და საკომუტაციო კონტურის პარამეტრების გაანგარიშების მეთოდი. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნ.-ტექნ. ჟურნალი #1 (41) 2018. გვ. 102-116. ISSN 1512-3537. რეზიუმე: ცნობილია, რომ ნებისმიერი იმპულსური გარდამქმნელის ერთდროული მუშაობა და უფრო მეტიც ქსელიდან მკვებავი ნაწილობრივ-იმპულსური გარდამქმნელის მუშაობა დიდად არის დამოკიდებული თვით გარდამქმნელის ფილტრის მოწყობილობის პარამეტრებისა და საკომუნიკაციო კონტურის სწორად შერჩევაზე. ნაშრომში მოცემულია აღნიშნული პარამეტრების განსაზღვრის გამარტივებული მეთოდი. ნაშრომში პირველად განსაზღვრულია ფილტრაციის მოწყობილობაში რეზონანსის ზონა, რაც არ იყო გაკეთებული განივ-იმპულსურ რეგულიატორში. საკომუნიკაციო კონტურის პარამეტრების გაანგარიშებისას წარმოდგენილია შედარებით მარტივი და უფრო ზუსტი მეთოდი.

166. ნ. მღებრიშვილი, გ. მღებრიშვილი, ა. შარვაშიძე, ნ. კუტუბიძე, ლ. კურახჩიშვილი, მ. ტატანაშვილი. გოგორწყვილებისა და რელსების დაზიანების დიაგნოზირების ახალი სისტემა. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნ.-ტექნ. ჟურნ. #1 (41) 2018 გვ. 5-14. ISSN 1512-3537. რეზიუმე: ნაშრომში განხილულია მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემა. ანალიტიკური კვლევის საფუძველზე განსაზღვრულია და გრაფიკულად დამუშავებულია წყვილთვლის ბრუნვის სიჩქარის იმპულსების რაოდენობასთან დამოკიდებულება. დადგენილია წყვილთვლის და რელსების ცვეთების გამოვლენათა რიცხვი და განსაზღვრულია მისი მაჩვენებელი. დამუშავებულია წყვილთვლის და რელსების ცვეთებისა და დაზიანებების სიდიდის განსაზღვრის პროგრამული უზრუნველყოფა.

167. ნ. მუხიგულაშვილი, ა. შარვაშიძე, მ. პაპასკირი, მ. ჩალაძე, მ. კოპლატაძე. სარკინიგზო საისრე ელექტრო ამძრავის გარნიტურის კონსტრუქციის ეფექტიანობის გაზრდა. IV ქართულ-პოლონური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის კრებული "სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია". 2018. გვ. 154-159. ISBN 978-9941-8-0567-7.

რეზიუმე: ნაშრომში წარმოდგენილია მეცნიერული მსჯელობა და დასაბუთება თბილისის მეტროპოლიტენის და საქართველოს რკინიგზის სატ მოწყობილობების დაზიანებათა იდენტიფიკაციის შესახებ. ნაშრომში წარმოდგენილი შედეგებითი ანალიზიდან გაიკვია, რომ სარკინიგზო და მეტროპოლიტენის სატ მოწყობილობების დაზიანებები იდენტიფიკაცია და გამოყოფილია დაზიანების ყველაზე დიდი ალბათობის მქონე მოწყობილობები: სარელეო და სიხშირული აპარატურა; საისრე გარნიტურის იზოლაცია; მაიზოლირებელი პირაპირი. ამიტომ, საისრე ამძრავის გარნიტურის კონსტრუქციის გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ნაშრომში შემოთავაზებული ცვლილებები იწვევს საისრე ელექტრო ამძრავის გარნიტურის კონსტრუქციის გამარტივებას, საიმედოობის ამაღლებას, ტექნიკური მომსახურების სამუშაოების და საექსპლუატაციო ხარჯების შემცირებას, მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოებას და ექსპლუატაციის ვადის გაზრდას.

168. მ. გელაშვილი, გ. თელია. რკინიგზის მახარისხებელ სადგურთა სალიანდაგო განვითარების სქემების სრულყოფა. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #2 (42) 2018 გვ. 43-51. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: ნაშრომში დამუშავებულია რკინიგზის მძლავრი მახარისხებელი სადგურის პროგრესული სქემა, რომელიც უზრუნველყოფს მატარებელთა ჯგუფური ფორმირების დაჩქარებას. ნაშრომში ასევე დამუშავებულია სადგურ „თბილისი-მახარისხებელი“-ს მოდერნიზირების სქემა და ასეთი კონსტრუქციის სადგურების მწარმოებლობის გაანგარიშების დაზუსტებული მეთოდიკა.

169. თ. გრიგორაშვილი, მ. გრიგორაშვილი. არაბლანტი ნავთობპროდუქტების გადასაზიდი ცისტერნების დაცავ-შემშვები სარქველების კვლევა. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #1 (41) 2018 გვ. 57-66. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია არაბლანტი ნავთობპროდუქტების გადასაზიდი ვაგონ-ცისტერნების ჩასასხმელი, ჩამოსასხმელი და დამცავი მექანიზმების კონსტრუქციები და ექსპლუატაციის პირობები მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის და ეკოლოგიის უზრუნველყოფის კუთხით. შესრულებულია შემშვებ-დამცავი სარქველების გამტარუნარიანობის ანგარიში.

170. თ. გრიგორაშვილი, ვ. აბულაძე. რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ინდივიდუალური რესურსის მართვა ექსპლუატაციაში. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #1 (41) 2018 გვ. 66-75. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის ინდივიდუალური რესურსის ოპერატიულ კომპლექსური და ეკონომიკური მახასიათებლები. შესრულებულია შესაბამისი კოეფიციენტების გაანგარიშება. მიღებულია ვაგონის დეტალების დადლილობის წინააღმდეგობის ფორმულა, ე.წ. მართვის კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობით განისაზღვრება ვაგონის მსახურების ვადა.

171. თ. გრიგორაშვილი, ვ. აბულაძე. სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს მუშაობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #1 (41) 2018 გვ. 75-85. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: ნაშრომში შემოთავაზებული და განხილულია სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს მუშაობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები. დამუშავებულია სატვირთო ვაგონების

სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს ოპტიმალური სქემა და მარაგი ნაწილების რაოდენობის ალგორითმის ბლოკ-სქემა.

172. ვ. მარგველაშვილი, რ. ფარცხალაძე, ს. შარაშენიძე, ა. შერმაზანაშვილი. საკითხები მოსიარულე რობოტის მიწასთან ურთიერთქმედების შესახებ. IV ქართულ-პოლონური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის კრებული "სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია". გვ. 160-165. ISBN 978-9941-8-0567-7.

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია მოსიარულე მამრავის გრუნტთან ურთიერთქმედების ისეთი ასპექტები, რომლებიც განპირობებულია არიან საყრდენი რგოლის მამრავთან შემაერთებელი სხვადასხვა სქემებით. ნაჩვენებია, რომ მოსიარულე რობოტის დაბალი მზიდი უნარიანობის გრუნტებზე გადაადგილებისას მიზანშეწონილია ე.წ. სპეციალური სახსრის გამოყენება, რომლის ბრუნვის ცენტრიც მდებარეობს საყრდენი რგოლის მოძრაობის ზედაპირთან შეხების ხაზის ქვემოთ. ნაშრომში მოცემულია ექსპერიმენტის შედეგები.

173. ნ. მუხიგულაშვილი, მ. პაპასკირი, მ. ჩალაძე. საქართველოს რკინიგზის და თბილისის მეტროპოლიტენის ავტომატიკისა და ტელემექანიკის მოწყობილობების დაზიანებათა შედარებითი ანალიზი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №4, თბილისი, 2018წ. 6 გვ. ISSN 0201-1467.

რეზიუმე: ნაშრომში გაანალიზებულია, როგორც სარკინიგზო ასევე მეტროპოლიტენის ავტომატიკისა და ტელემექანიკის მოწყობილობების დაზიანებების სტატისტიკური მონაცემები, როელთა მიხედვითაც აგებულია დიაგრამები. მიღებულია დასკვნა, რომ სარკინიგზო და მეტროპოლიტენის ავტომატიკისა და ტელემექანიკის მოწყობი-ლობების დაზიანებები თითქმის იდენტურია და გამოვყოფილია ავტომატიკისა და ტელემექანიკის ის მოწყობილობები, რომლებსაც დაზიანების ყველაზე დიდი ალბათობა გააჩნიათ.

174. ნ. მუხიგულაშვილი, მ. ჩალაძე, მ. კობლატაძე, ბ. დიდებაშვილი. მიკროპროცესორული ნახევრ-რადიავტომატური ბლოკირე-ბის ავტომატური ტექნიკური მომსახურების ორგანიზება. სამეცნიერო-ტექნიკური და საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალი „Транспорт“, № 1-4(69-72), 2018წ., თბილისი, გვ. 5-7. ISSN 1512-0910.

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი МПБ-ტიპის მიკროპროცესორული ნახევრად ავტომატური ბლოკირება და შედარებულია რელეური ПАБ ტიპის ნახევრადავტომატურ ბლოკირებასთან. МПБ-ტიპის მიკროპროცესორული ნახევრად ავტომატური ბლოკირება მცირე გაბარიტულია, მისი ტექნიკური მომსახურება ბერად ეკონომიურია და გამოირჩევა გაფართოებული ფუნქციურობით, ეკონომიური ეფექტურობით.

175. ნ. მუხიგულაშვილი, მ. ჩალაძე, ბ. დიდებაშვილი, მ. გრიგორაშვილი. მიკროპროცესორული საგადასავლელო სიგნალიზაციის ავტომატური ტექნიკური მომსახურების ორგანიზება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-რეფირირებული ჟურნ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“. #3 (730) -2018. გვ. 78-80. ISSN 0130-7061.

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია ახალი МАПС-ის ტიპის მიკროპროცესორული სისტემა, რომელიც საშუალებას გავძლევს გავაკონტროლოთ და ვმართოთ ყველა სახის არსებული გადასავლელები სიგნალიზაციის ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების საშუალებით. ასეთი ტიპის სისტემა წარმოადგენს მცირე მომსახურებად, ადვილად დასამონტაჟებელ ბლოკურ-მოდულურ სისტემას, რომელსაც მაღალი საიმედოობა და გააჩნია გარკვეული ეკონომიკური ეფექტურობა, რაც საშუალებას იძლევა შეამციროს საექსპლუატაციო ხარჯები და გამორიცხოს დანაკარგები გამოწვეული სპილენძის მასალების მოპარვის (ქურდობა) გამო.

176. **ბ.დიდებაშვილი, მ. ჩალაძე, ტ. კოტრიკაძე, ვ. ვაშაკიძე.** შუალედური სადგურების სასარგებლო სიგრძის დაგრძელება რკინიგზის სიმძლავრისა და მატარებელთა მოძრაობის სიჩქარის ამაღლების მიზნით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-რეფირირებული ჟურ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“. #3 (730) -2018. გვ. 81-83 ISSN 0130-7061.

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია მოძრაობის ზომებისა და ტვირთის მოცულობის ზრდასთან დაკავშირებით შუალედური სადგურების გადაკეთება ახალი მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგის დამატებით დ ყველა მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგის სასარგებლო სიგრძის დაგრძელებით 850 მ-მდე, ვინაიდან ასეთი ტიპის გადაკეთება სჭირდება საქართველოში არსებული შუალედური სადგურების უმრავლესობას, რომელთა სასარგებლო სიგრძე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს (850, 1050, 1250 მ) და გაცილებით ნაკლებია (720 მ და უფრო ნაკლებიც). კვლევების საფუძველზე დადგენილია ისეთი ვარიანტი, რომლის დროსაც სადგურის გამტარუნარიანობის გაზრდა პერსპექტივაში გადაზიდვის მოცულობის გაზრდის საშუალებას იძლევა.

177. **С. Карипидис, А. Шарвашидзе, Л. Чичуа, Ю. Схиртладзе.** Повышение пропускной и провозной способности ЭПС постоянного тока стабилизацией напряжения контактной сети. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #1 (44) 2019. გვ. 26-37. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია რკინიგზის გამტარუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობა, სადაც ფუნქციონირებს მუდმივი დენის ელექტრული მოძრავი შემადგენლობა. ნაჩვენებია, რომ ყველა სიჩქარის რესტატული მართვის ელმავლისა და ელექტრული მატარებლების, გამტარუნარიანობა პირდაპირპროპორციულია საკონტაქტო ქსელის ძაბვისა. განხილულია ასევე საკონტაქტო ქსელის ძაბვის სტაბილიზაციის სხვადასხვა ვარიანტები.

178. **A. Sharvashidze, M. Paturashvili, D. Gogishvili.** Development of perspective schemes for repair of bogies and wheel pairs of carriages repair plant with application of modern technological equipment. International Scientific Journal, PROBLEMS OF MECHANICS. № 2(75) / 2019. pp. 81-86. ISSN 1512-0740. Georgian IFToMM.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ვაგონშემკეთებელი ქარხნის ურიკების შემკეთებელი საამქროს პერსპექტიული სქემა, რომელიც პარალელურ წყობაშია ქარხნის ვაგონამწყობ უბანთან. ასევე ნაჩვენებია წყვილთვლების დემონტაჟის მექანიზირებული საამქროს პერსპექტიული ვარიანტი ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენებით.

179. **A. Sharvashidze.** Modernization of gondola car model 12-9880 for purpose of improvement of technical and economical indicators. International Scientific Journal, PROBLEMS OF MECHANICS. № 4(77) / 2019. pp. 21-27. ISSN 1512-0740. Georgian IFToMM.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ნახევარვაგონის მოდელი 12-9880 წყვილთვალაზე მოსული ღერძული დატვირთვით 23,5 ტმ., რომელსაც აქვს გაუმჯობესებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გაზრდილი საექსპლუატაციო საიმედოობა, განპირობებული ახალი მასალების გამოყენების ხარჯზე, შრომატევადობის შემცირებით დამზადების პროცესში და ვაგონის ტარის კოეფიციენტის სიდიდის შემცირებით.

180. **პ. ქენჭაძე, გ. თელია, დ. მაზანაშვილი, ა. ნიკოლაიშვილი.** ლოკომოტივის მწარმოებლურობის გაუმჯობესება საქართველოს რკინიგზის მთავარ მაგისტრალზე ვაგონნაკადების შემჭიდროებული გატარებით. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #3 (46) 2019. 8 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საქართველოს რკინიგზაზე სატვირთო ლოკომოტივის მწარმოებლურობის ამაღლების შესაძლებლობები; მოყვანილია ვაგონნაკადების შემჭიდროვების

თანამედროვე მეთოდები; გაანალიზებულია მათი გამოყენების მიზანშეწონილობა ლოკომოტივის მწარმოებლურობის ამაღლების კუთხით; დასაბუთებულია აღნიშნული მეთოდების შერჩევის კრიტერიუმები.

181. ბ. დიდებაშვილი, ა. კაკაბაძე, ტ. კოტრიკაძე, ლ. ლომსაძე, ვ. ვაშაკიძე. საუბნო (ტექნიკური) სადგურების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის პერსპექტივები საქართველოში პირობებში. "მეცნიერება და ტექნოლოგიები", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი. №3(732)/2019. გვ. 79-82. ISSN 0130-7061.

რეზიუმე: განხილულია ტვირთნაკადის მოძრაობისა და ტვირთის მოცულობის ზრდასთან დაკავშირებული საუბნო სადგურების რეკონსტრუქციის საკითხი, რაც გულისხმობს ახალი ლიანდაგების დამატებას და ნებისმიერი ლიანდაგის სასარგებლო სიგრძის გაზრდას. ვინაიდან საქართველოში არსებული საუბნო სადგურების კონსტრუქციები ვერ პასუხობენ მისდამი წყენებულ მოთხოვნებს და მოსალოდნელი ტვირთნაკადების ზრდასთან დაკავშირებით ვერ უზრუნველყოფს სათანადო გამტარუნარიანობას, შემოთავაზებული სარეკონსტრუქციო ელემენტების საშუალებით შესაძლებელია მახარისხებელი ლიანდაგების საკმარისი სასარგებლო სიგრძის მიღწევა და საუბნო მატარებლების ფორმირება ყელეების მინიმალური სიგრძის გამოყენებით. ამასთან, ყველა სარეკონსტრუქციო სამუშაო შეიძლება შესრულდეს არსებული სასადგურო მოედნის ფარგლებში.

182. მ. გოცაძე, ა. დუნდუა, თ. ტაბიძე, ლ. ფხაკაძე. ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელის მახასიათებლების ვიბრაციის ძალებზე დამოკიდებული დეფორმაციის გადამწოდების გამოყენება სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #2 (45) 2019. გვ. 9-18. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელის მახასიათებლების ვიბრაციის ძალებზე დამოკიდებული დეფორმაციის გადამწოდების გამოყენების შესაძლებლობები სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში, განხილულია ბგერის ბოჭკოვანი ცხაურების დატანის, დეფორმაციაზე მგრძობიარობის ანალიზური გაანგარიშებისა და დეფორმაციული გადამწოდების საიმედოობის საკითხები მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით.

183. ნ. მუხიგულაშვილი, მ. ჩალაძე, მ. პაპასკირი, ლ. ლომსაძე, მ. კოპლატაძე. სიგნალიზაციის ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების მკვებავ ფარებზე განლაგებული, საზომი ხელსაწყოების ჩვენების ცდომილების ავტომატური დიაგნოსტიკა. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №3 2019 წ. 10 გვ. ISSN 0130-7061.

რეზიუმე: განხილულია მკვებავი ფარებიდან გამომავალი სხვადასხვა ძაბვების სტაბილურობის დიაგნოსტიკა.

184. N. Davitashvili, A. Sharvashidze. Problem of dynamic analysis of RRRRT type spherical five-bar hinged mechanism with two degrees of freedom with clearances in kinematic pairs. International Scientific Journal, PROBLEMS OF MECHANICS. № 1(78) / 2020. pp. 7-13. ISSN 1512-0740. Georgian IFToMM.

რეზიუმე: სტატიაში მოცემულია RRRRT ტიპის ორი თავისუფლების ხარისხის მქონე სფერული ხუთბოლოა მექანიზმის დინამიკური კვლევის პრობლემის ანალიზი ღრეჩოებით კინემატიკურ წყვილებში. გამოკვლეულია სფერული ხუთბოლოა სამი ღრეჩოთი კინემატიკურ წყვილებში. დადგენილია რვა სახის დამატებითი და ძირითადი მოძრაობები მექანიზმისთვის, რომელიც ხასიათდება 52 დიფერენციალური განტოლებით. სფერული ხუთბოლოას დინამიკური ანალიზის ამოცანის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით რეკომენდებულია გამოკვლეულ იქნეს

მექანიზმი ერთი ღრეჩოთი ორი ბარბაცას შეერთებაში. მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს გამოსაკვლევი მექანიზმის სიზუსტის გაზრდას.

185. С. Карипидис, А. Шарвашидзе, П. Барбакадзе, М. Цоцхалашвили. Вновь об энергетических показателях однофазных тиристорных выпрямителей электроподвижного состава переменного тока. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #1-2 (47-48) 2020. გვ. 31-47. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია და შემოთავაზებულია სხვადასხვა ვარიანტები ქსელის დენის ერთფაზიანი ტირისტორული გარდამქმნების ფორმის შესაქმნელად. შემოთავაზებულია გარდამქმნელების სქემები, რომლებიც უზრუნველყოფენ სიმძლავრის კოეფიციენტის მაქსიმალურ მუდმივ 0,975 და 0,99 მნიშვნელობებს და ქსელის დენის მინიმალურ დამახინჯებას. შესრულებულია სხვადასხვა ავტორების მიერ შემოთავაზებული პულსი-სიგნალის მოდულაციის (პსმ) რებ ლიგანის მოდულაციის ძირითადი მაჩვენებლების ანალიტიკური გაანგარიშება, ნაჩვენებია მათი გამოუსადეგარობა ნებისმიერი გარდამქმნელებისათვის.

186. N. Davitashvili, A. Sharvashidze, N. Keburia. Dynamic researcher of RRRRT type spherical five-bar hinged mechanism with two degrees of freedom with one clearances in connection of two couplers. International Scientific Journal, PROBLEMS OF MECHANICS. № 3(80) / 2020. pp. 7-15. ISSN 1512-0740. Georgian IFToMM.

რეზიუმე: სტატიაში მოცემულია RRRRT ტიპის ორი თავისუფლების ხარისხის მქონე სფერული ხუთბოლო მექანიზმის დინამიკური კვლევის ანალიზი ერთი ღრეჩოთი ორი მრუქმხარას შეერთების ადგილში. მოცემულია მექანიზმის კინეტიკური ენერჯის ფორმულის ანალიზი ერთი ღრეჩოთი და გამოვლენილია დამოკიდებულება, რომელიც ახასიათებს მოძრაობას ღრეჩოს გარეშე და ღრეჩოთი ერთ კინემატიკურ წყვილში. წარმოდგენილია მექანიზმის დამატებითი და ძირითადი მოძრაობები. მოცემულია დინამიკის ამოცანის გადაწყვეტის რიცხვითი მეთოდი ღრეჩოს გარეშე და ერთი ღრეჩოთი ორი მრუქმხარას შეერთების ადგილში. მოყვანილია იდეალური (უღრეჩო) და რეალური მექანიზმების დინამიკის შედეგების შედარებითი ანალიზი საიმედო ხუთბოლოს გამოვლენით.

187. ი. ბიწაძე, ა. შარვაშიძე, კ. შარვაშიძე. ინტელექტუალური სისტემების დანერგვა და განვითარება რკინიგზის სადგურებში. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #4 (47-48) 2020. 9 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია რკინიგზის სადგურებში თანამედროვე ინტელექტუალური სისტემების დანერგვისა და პერსპექტიული განვითარების აქტუალური საკითხები. მათი მეშვეობით საუბნო, საკვანძო და მახარისხებელ სადგურებზე მატარებელთა მიღება, დამუშავება, დახარისხება, ფორმირება, გაგზავნა და სამანევრო მუშაობის ოპერატიულად და სწრაფად განხორციელება. მთლიანად რკინიგზაზე მატარებელთა მოძრაობის ცენტრალიზებული ავტომატიზირებული მართვა, სადაც უზრუნველყოფილ იქნება ფუნქციონალური, საინფორმაციო, ეკოლოგიური და სახანძრო უსაფრთხოება. აღნიშნული კი განაპირობებულია იმ გარემოებით, რომ რკინიგზაზე გადაზიდვითი პროცესის მართვაში მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება გახდა უპირველესი ამოცანა, რადგან გაზრდილია მატარებელთა მოძრაობის ინტენსივობა, რაც თავისთავად ზრდის რისკებს უსაფრთხოების კუთხით.

188. Серго Карипидиси, Автандил Шарвашидзе, Мириан Цоцхалашвили, Юза Схиртладзе. УПРОЩЕННЫЙ МЕТОД РАСЧЕТА ПУСКОВЫХ СОПРОТИВЛЕНИЙ ТЯГОВЫХ ДВИГАТЕЛЕЙ ПОСЛЕДОВАТЕЛЬНОГО ВОЗБУЖДЕНИЯ ЭПС ПОСТОЯННОГО ТОКА. თბილისი,

გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი
რეზიუმე: „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ #2 (51) 2021. 5 გვ. ISSN 1512-3537.

სტატიაში მოცემულია სარკინიგზო ელექტრომოდრავ შემადგენლობებზე გამოყენებული თანმიმდევრული აგზნების წვევის ძრავების გამშვები წინააღმდეგობების გაანგარიშების გამარტივებული მეთოდი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს და ამარტივებს გამოთვლითი სამუშაოს მოცულობას.

189. გრიგოლ თელია, ავთანდილ შარვაშიძე, კახაბერ შარვაშიძე, ლევან სამხარაძე. რკინიგზის საუბნო სადგურების მუშაობის ინტენსიფიკაცია. თბილისი, გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა #1 (50) 2021. 7 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: რკინიგზაზე არსებული საუბნო სადგურების, სქემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი ხასიათდებიან სერიოზული ნაკლოვანებებით, რაც ზღუდავს რკინიგზის ხაზების გამტარუნარიანობას. ამ თვალსაზრისით სტატიაში ჩამოყალიბებულია ასეთ სადგურთა პერსპექტიული განვითარების ძირითადი მიმართულებები და შემუშავებულია საუბნო სადგურის სქემის ბაზაზე რაიონული მახარისხებელი სადგურის პროგრესული სქემა, რომელიც უზრუნველყოფს ვაგონაკადების გადამუშავების ნაკადურობას. როგორც გაანგარიშებებმა გვიჩვენეს შემოთავაზებული საუბნო სადგურის სქემა 5-10%-ით ზრდის სადგურის გამტარუნარიანობას.

190. პეტრე ქენჭაძე, ავთანდილ შარვაშიძე, ტარიელ კოტრიკაძე, რეზი ქაშიბაძე, ნიკა კოტრიკაძე. საქართველოს რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის გაუმჯობესების საკითხებისადმი. თბილისი, გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ #2 (51) 2021. 10 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: ტვირთებთან დაკავშირებული მოცდენების შესამცირებლად სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის ურთიერთქმედების დროს და საპორტო სადგურებში გადასამუშავებელი შემადგენლობების მოცდენების სრულად ან ნაწილობრივ აღმოსაფხვრელად აუცილებელია გაიზარდოს სადგურების სასაწყობო და ტერიტორიულად მიმდებარე უბნების გადაზიდვითი სიმძლავრეები. მაგალითისათვის სადგურ ბათუმის პერსპექტიული განვითარების გათვალისწინებით (თხევადი ტვირთების 10-12 მლნ. ტ და ყოველწლიური ზრდის ტემპი 2-4 მლნ.ტ), საჭირო იქნება სასაწყობო სიმძლავრეების გაზრდა თხევადი ტვირთებისათვის 40 ათას ტ-მდე (ფოტის სადგური ამ კუთხით მოცემულ ეტაპზე სიმძლავრის გაზრდას არ საჭიროებს), ხოლო უბნის გადაზიდვითი სიმძლავრეების გაზრდა (არსებული ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში) შესაძლებელია სამტრედია-ბათუმის უბანზე 5 მატარებლით, ხოლო სამტრედია-ფოტის უბანზე - 7 მატარებლით დღე-ღამეში. აღნიშნულთან ერთად სარკინიგზო საპორტო სადგურისა და საზღვაო პორტის ურთიერთშეთანხმებული გეგმიური მუშაობის მიზნით უნდა გაფართოვდეს ტრანსპორტის ორივე სახეობისათვის, როგორც მუშაობის ოპერატიული დაგეგმვა ცვლებში, ასევე საინფორმაციო უზრუნველყოფაც.

191. დიდებაშვილი ბ., ცოცხალაშვილი მ., მორჩილაძე ჯ., ლომსაძე ლ., გრიგორაშვილი მ. მატარებლების სამუხრუჭო მანძილს შემცირება მოძრაობის სიჩქარის რეჟიმის რეგულირებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი "მეცნიერება და ტექნოლოგიები", №2(736)/2021. 8 გვ. ISSN 0130-7061.

განხილულია მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება მატარებლის სამუხრუჭო მანძილის შემცირებით. ეს შეიძლება განხორციელდეს დამუხრუჭების საწყისი სიჩქარის შემცირებით რომელიც მიიღწევა მატარებლის მოძრაობის სიჩქარის რეჟიმის რეგულირებით. მოძრაობის სიჩქარის ასეთი რეგულირება განსაკუთრებით აუცილებელია ლიანდაგის მცირე რადიუსიან მრუდეების, დიდ ქანობიან დაღმართების მქონე უბნებთან მიახლოებისა და

გადასარბენიდან სადგურში შესვლის წინ. ამ დროს იზრდება ხუნდების ბანდაჟზე საანგარიშო ხახუნის კოეფიციენტი.

192. რომან მორჩილაძე, ჯემალ მორჩილაძე, მეგი პატურაშვილი, გიორგი ჯანგავაძე. ვაგონის საბუქსე კვანძის ტექნიკური გამართულობის კონტროლი ექსპლუატაციაში. თბილისი, გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ #2 (51) 2021. 6 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: განხილულია ვაგონის საბუქსე კვანძის გამართულობის მნიშვნელობა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. არსებული სტატისტიკის საფუძველზე ბუქსის დაზიანებათა პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით გაანალიზებულია დაზიანებათა გამომწვევი მიზეზები და მათი აღმოჩენის ტექნიკური საშუალებები. პრაქტიკაში გამოყენებული ბუქსის ხურების აღმოჩენი დაზიანებების გარდა განხილულია ის წინაპირობები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბუქსის დაზიანება და მოკვლევების ჩატარებისას იქნას ათვალისწინებული.

193. რომან მორჩილაძე, ჯემალ მორჩილაძე, ბეჟან დიდებაშვილი, ტარიელ კოტრიკაძე, კახაბერ შარვაშიძე. საქართველოს რკინიგზის ერთლიანდაგიანი უბნების გადაზიდვის პროცესის ინტენსიფიკაციის შესაძლო საშუალებები თანამედროვე პირობებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი "მეცნიერება და ტექნოლოგიები", №2(736)/2021. 7 გვ. ISSN 0130-7061.

რეზიუმე: განხილულია საქართველოს რკინიგზის ერთლიანდაგიან უბნებზე გადაზიდვის პროცესის ინტენსიფიკაციის შესაძლო საშუალებების გამოყენება თანამედროვე პირობებში. საქართველოს ერთლიანდაგიანი რკინიგზის ხაზების ექსპლუატაციისას ტრადიციული მეთოდები ხშირად ვერ წყვეტს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია რკინიგზის სიმძლავრის გაზრდასთან. ასეთი პრობლემების გადაჭრა უნდა მოხდეს არსებულისაგან პრინციპულად განსხვავებულ, ახალ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ საფუძველზე. შემუშავებულია ამ ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი ახალი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს პაკეტური გრაფიკის (მატარებელნაკადების შემჭიდროება) გამოყენებას, როცა ერთლიანდაგიან უბნებზე მატარებელთშორისი ინტერვალის შემცირებით შესაძლებელია ლიანდაგის გამტარუნარიანობის გაზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება. გამოკვლევით დადგენილია, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით გაწეული ხარჯების კომპენსაცია ხდება გამტარუნარიანობის გაზრდის საფუძველზე.

194. N. Mgebrishvili, L. Pkhakadze, G. Mgebrishvili. The use of fiber-optic conductor in rail circuits in the form of distributed sensors ID: NAUN-1486 2021. 9 გვ. International Journal of „Circuits, Systems and Signal Processing “. ID: NAUN-1486. Bulgaria.

განხილულია სარკინიგზო შემადგენლობის მოძრაობის უსაფრთხოების აქტუალური პრობლემა, გამომდინარე რელსებისა და გოგორწყვილების ცვეთისაგან. შემოთავაზებულია ახალი მეთოდი, რომელიც მუდმივ ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს რელსისა და გოგორწყვილების მთლიანობის კონტროლს. განხილულია დამუშავებული მოწყობილობის ალგორითმის ბლოკ-სქემა და აღწერილია მისი მუშაობის პრინციპები.

195. N. Mgebrishvili, M. Iavich, Gr. Moiseev, N. Kvachadze, A. Fesenko, S. Dorozhynskyy. Diagnosis of Rail Circuits by means of Fiber-Optic Cable ICCSEEA_Review_1493_50. <http://www.uacnconf.org/iccseea2021/Accepted-paperlist-1229.txt>. 9 გვ. Ukraine. Kiev.

რეზიუმე: განხილულია გოგორწყვილების ბრუნვის სიჩქარეები სხვადასხვა ზომის ცვეთასთან დამოკიდებულებით. კომპლექსურად ჩატარებული ექსპერიმენტალური და თეორიული

გამოკვლევებით დადგინდა გოგორწყვილების დაზიანების გამოვლენის ხარისხი და განისაზღვრა მისი მაჩვენებელი.

196. მ. გოცაძე, ნ. მღებრიშვილი, თ. ტაბიძე. ბოჭკოვან-ოპტიკური საინფორმაციო-გამზომი სისტემების დამუშავება რკინიგზის ტრანსპორტის ობიექტებისათვის. თბილისი, გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“. ჟურნალი “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ #1(50), 2021. 9 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია მატარებელთა ჩქაროსნულ სარკინიგზო მაგისტრალზე მოძრაობისას მოძრავ შემადგენლობაზე და მგზავრებზე აღძრული ვიბრაციის დონეთა შედარებითი ანალიზი, ვიბრაციებისაგან გამოწვეული ხელშემშლელი ფაქტორები და მათი რეგისტრაციისათვის ბოჭკოვან-ოპტიკური გამზომი ქსელის აგების შესაძლებლობები.

197. Nikoloz Mgebrishvili. The use of fiber-optic conductor in rail circuits in the form of distributed sensors: ISSN 2789-1968. Journal European Academic Science and Research Publisher: ISSN 2789-1968 “EASR” SciPub.de, №XIX 15.11.2021. 1გვ.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ბოჭკოვან-ოპტიკური საინფორმაციო გამზომი სისტემების შექმნისა და დანერგვისთვის აუცილებელი საელემენტო ბაზის დამუშავებისა და ბრევის ბოჭკოვან ცხაურებზე დაფუძნებული სარკინიგზო ობიექტების ტემპერატურისა და დეფორმაციის გადამწოდების საიმედოობის საკითხები მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

198. N. Davitashvili, A. Sharvashidze, N. Keburia. Dynamic precision of RRRRT type spherical five-bar hinged mechanism with two degrees of freedom with clearances in kinematic pairs. International Scientific Journal, PROBLEMS OF MECHANICS. № 4(85) / 2021. pp. 7-15. ISSN 1512-0740. Georgian IFToMM.

რეზიუმე: სტატიაში მოცემულია სფერული ხუთრგოლა სახსრული მექანიზმის დინამიკური სიზუსტის კვლევა ორი თავისუფლების ხარისხით, ტიპი RRRRT ღრეჭობით კინემატიკურ წყვილებში. განიხილება შემთხვევა, როდესაც აუცილებელია მკაცრად განხორციელდეს შემავალი რგოლების განსაზღვრული მოქმედებანი, ხოლო გამომავალი რგოლების მოძრაობა, როდესაც არ არის პირველადი ცდომილებები, განისაზღვრება დიფერენციალური განტოლებებით. ასევე განხილულია შემთხვევა, როდესაც არ არის აუცილებელი შემავალი რგოლების მოძრაობათა სახეების დაცვა. ამ შემთხვევაში პირველ რიგში ამოიხსნება განტოლება, რომელიც განსაზღვრავს მოძრაობათა ცდომილებებს, სიჩქარეებს და აჩქარებებს გამომავალი რგოლებისა განზოგადოებული კოორდინატების ფუნქციაში. შემდგომ, შედგება მექანიზმის კინეტიკური ენერჯის და განზოგადოებული ძალების გამოსახულებები. ლაგრანჟის მეორე რიგის განტოლებების საფუძველზე შედგება მოძრაობის დიფერენციალური განტოლებები იდეალური და რეალური მექანიზმებისათვის.

199. С. Карипидис, А. Шарвашидзе, М. Цоцхалашвили, Ю. Схиртладзе. Плановое регулирование напряжения тяговых двигателей ЭПС постоянного тока с высокими энергетическими показателями. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #3 (52) 2021. 6 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია მუდმივი ძაბვის ემმ-ის ენერგეტიკული მაჩვენებლების წევის ძრავების მომჭერებზე გლუვი ძაბვის რეგულირების სრულიად ახლებური მეთოდი. მითითებულია ძაბვის გლუვი რეგულირების არსებული ერთსაფეხურიანი სისტემის უარყოფითი მხარეები, ამის ნაცვლად შემოთავაზებულია მრავალსაფეხურიანი ძაბვის გლუვი რეგულირების მეთოდი, რომელიც იძლევა ენერჯის დაზოგვას 12,5% VL10 და 18,5% VL15. მძიმე მატარებლებზე ასეთი ძაბვის რეგულირების აუცილებლობა დადასტურდა.

200. ნ. მღებრიშვილი, მ. იავიჩი, თ. ჩორბაჩიძე, მ. გოცაძე. სარელსო წრედის მაკონტროლებელი სისტემის დამუშავება, ოპტიკური გადამწოდების გამოყენებით მატარებელთა მოძრაობის მართვის სისტემებში. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #3 (52) 2021. 8 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობების ერთეულების პარამეტრების კონტროლის სისტემაში ოპტიკური სენსორების გამოყენების მიზანშეწონილობა. ბოჭკოვან-ოპტიკურ კაბელზე აგებული სარელსო წრედები ოპტიკური სენსორების გამოყენებით, ფორმირდება თანამედროვე მოძრავი შემადგენლობის მონიტორინგის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა დიდი სიზუსტით: დააფიქსიროს უბანზე მოძრავი შემადგენლობა, გამოვლენილი იქნას ვაგონის ტიპი და გამოავლინოს მოძრავ შემადგენლობაში არსებული დეფექტები.

201. М. Чаладзе, Л. Ломсадзе, Г. Чаладзе, М. Цолоев. Автоматическое техническое обслуживание микропроцессорной централизации сортировочных горок. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #3 (52) 2021. 6 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია სცბ-ს მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების პროცესის ავტომატიზაცია კომპაქტური ტელეგაზომი გადამწოდებისა და მიკროპროცესორული სისტემების ცალკეული კვანძებისა და ბლოკების რეზერვების ბაზაზე. სარკინიგზო განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა შეიქმნას გორაკების მიკროპროცესორული ცენტრალიზაცია, რომელიც მცირე გაბარიტულია, მისი ტექნიკური მომსახურება ბევრად ეკონომიურია და გამოირჩევა მთელი რიგი გაფართოებული ფუნქციონირებით. სავსე მოწყობილობებს, რომლებსაც მიეკუთვნებათ სიჩქარეზომები, მანძილზომები, წონაზომები მიუერთდებიან უშუალოდ კონტროლერებს. გორაკის მიკროპროცესორული სისტემა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მართვის ხარისხს, საჭირო ინფორმაციის გადაცემას და სხვა სისტემებთან მონაცემთა გაცვლისას იქნება მაღალეფექტური.

202. ი. ბიწაძე (დეპარტამენტის დოქტორანტი). საქართველოს რკინიგზაზე საინფორმაციო ტექნოლოგიური ბაზის შექმნის აუცილებლობის პირობები. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #3 (52) 2021. 12 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საქართველოს რკინიგზაზე მატარებლების/ვაგონების ტექნიკურ მდგომარეობაზე წარდგენის აღრიცხვის არსებული მდგომარეობა და წარმოდგენილია შესაბამისი სქემა, გამოკვეთილია კვლევის პროცესში მიმდინარე საკითხების დამუშავებისას მთელი რიგი უარყოფითი მხარეები, შემუშავებულია მატარებლების/ვაგონების წარდგენის აღრიცხვის ვუ-14 ელექტრონული სისტემის დანერგვით მიღებული შედეგები. მოცემულია აღრიცხვის ელექტრონული სისტემის და შესრულებულ სამუშაოთა სათანადო სქემები. ჩატარებული რეალური სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას პროცესი დაყოფილ იქნა ფაზებად, რომელმაც მოიცვა საქართველოს რკინიგზაზე სპეციალურად შერჩეული სადგურები. მთლიანობაში აღრიცხვის ელექტრონული სისტემა დანერგულია საქართველოს რკინიგზაზე, აქვს შემდგომი განვითარების პერსპექტივები და მუშაობს წარმატებით.

203. ი. ბიწაძე (დეპარტამენტის დოქტორანტი). საქართველოს რკინიგზაზე საინფორმაციო ტექნოლოგიური ბაზის შემდგომი განვითარების პერსპექტივები 2021-2022 წლებისთვის. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #3 (52) 2021. 10 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საქართველოს რკინიგზაზე სატვირთო გადაზიდვების საოპერაციო სისტემის (RAPL) ბაზაზე ახალი მოდელის „სამატარებლო მუშაობის დაგეგმვის ელექტრონული სისტემის“ შექმნა, სადაც გაერთიანებულია სატვირთო, სამგზავრო და

ინფრასტრუქტურის ბაზების ერთეულები. მონაცემთა საფუძველზე მოხდება ოპერატიული ინფორმაციის ავტომატური შეკრება და სათანადო გადამუშავების შემდეგ, დროის რეალურ რეჟიმში განხორციელდება, როგორც ოპერატიული, ასევე გრძელვადიანი დავალებების ავტომატურად და ნახევრადავტომატურად გაცემა რკინიგზის შესაბამის სამსახურებზე და მატარებელთა მოძრაობის მართვის სადისპეტჩერო ცენტრზე, დავალებების კორექტირების და შესრულების სტატუსების შევსება-დათვალიერების შემდგომი შესაძლებლობით. მთლიანობაში სამატარებლო მუშაობის დაგეგმვის ელექტრონული სისტემის დამუშავებაზე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საქართველოს რკინიგზაზე, რომელსაც ეტაპობრივად 2021-2022 წლებში აქვს დანერგვის დიდი პერსპექტივა.

204. პ. ქენჭაძე, ა. შარვაშიძე, გ. კაციტაძე. საქართველოს რკინიგზაზე სატვირთო ვაგონის მწარმოებლობის გაზრდის აქტუალურობა. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #1 (53) 2022. 7 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია სატვირთო ვაგონი, როგორც საქართველოს რკინიგზაზე გადაზიდვითი პროცესის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება. მოყვანილია სატვირთო ვაგონის ინტენსიური გამოყენების გზები და საშუალებები; მისი გავლენა სატვირთო გადაზიდვების მოცულობაზე. სატვირთო ვაგონის მწარმოებლობის გაზრდისთვის, დასაბუთებულია მოცემულ ეტაპზე ვაგონის ექსპლუატაციის პირობების გამოკვლევის აუცილებლობა და მისი ფუნქციონირების რაციონალური ფორმების დადგენა, საქართველოს რკინიგზაზე სატვირთო გადაზიდვების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

205. პ. ქენჭაძე, ა. შარვაშიძე, გ. კაციტაძე. საქართველოს რკინიგზის სიმძლავრის გაზრდის შესაძლებლობები ვაგონთა ინტენსიური გამოყენებით. სტუ-ს 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VI ქართულ-პოლონური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომების კრებული, 2022, 7 გვ. "სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია". ISBN 978-9941-8-4775-2.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საქართველოს რკინიგზის წინაშე მდგარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის, ცალკეული ხაზების გადაზიდვითი სიმძლავრის ლოკალურად აქტუალური საკითხები. მოყვანილია გადაზიდვისუნარიანობის ამაღლების კონკრეტული მეთოდები და საშუალებები სატვირთო ვაგონის მწარმოებლობის გაზრდის გზით, მათი ინტენსიური გამოყენების საფუძველზე.

206. ს. კარიპიდისი, ა. შარვაშიძე, მ. ცოცხალაშვილი, ი. სხირტლაძე. მატარებლის მოძრაობის ძირითადი რეჟიმების წევის ანალიზური ანგარიში სიჩქარის ოპტიმალური რეგულირებისას. სტუ-ს 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VI ქართულ-პოლონური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომების კრებული, 2022, 7 გვ. "სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია". ISBN 978-9941-8-4775-2.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია წევის ანგარიშის ანალიზური, უფრო ზუსტი მეთოდი მატარებლის მოძრაობის სამი ძირითადი რეჟიმისთვის (დაძვრის, თავისუფალი გორვის, დამუხრუჭების) სიჩქარის ოპტიმალური რეგულირების დროს. სამივე რეჟიმში დადგენილია ანგარიშისთვის საჭირო შესაბამისი დამოკიდებულებები: $t=\varphi_1(V)$, $S=\varphi_2(t)$ და $V=\varphi_3(S)$. წევის ძრავას დენის დროსთან დამოკიდებულების ანგარიშის შემოთავაზებული მეთოდი საშუალებას გვაძლევს დაძვრის რეჟიმისთვის მარტივად განისაზღვროს ელექტროენერგიის ხარჯი და წევის ძრავას დენის ეფექტური მნიშვნელობა, რომელიც განაპირობებს მის გახურებას.

207. С. Карипидис, А. Шарвашидзе, М. Цоцхалашвили, Ю. Схиртладзе. Тяговый расчет при разгоне ЭПС и оптимальном регулировании скорости. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #2 (54) 2022. 7 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში მოცემულია ანალიტიკური დაზუსტებული გაანგარიშების მეთოდი, რომელიც იძლევა საშუალებას მარტივად განისაზღვროს ენერგიის მოხმარება და გამოთვლილია წევის ძრავის დენის ეფექტური მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრავს მის გადახურებას. გამოთვლილია შესაბამისი დამოკიდებულებები $t = \varphi_1(V)$, $S = \varphi_2(V)$ და $S = \varphi_3(t)$, რომელიც აუცილებელია გამოთვლებისათვის.

208. მ. ჩალაძე, მ. პაპასკირი, პ. ელიზბარაშვილი, გ. ჩალაძე, მ. გვეტაძე. სარკინიგზო ტრანსპორტის სიგნალიზაციის და ბლოკირების მკვებად მოწყობილობებში მოდერნიზებული „არბ“-ის ტექნიკური მდგომარეობა და მომსახურება. სტუ-ს 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VI ქართულ-პოლონური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომების კრებული, 2022, 4 გვ. „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“. ISBN 978-9941-8-4775-2.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია სარკინიგზო და მეტროპოლიტენის ავტომატიკის და ტელემექანიკის მოწყობილობების კვების შემომყვან $\Pi B-24/30$ ტიპის კვების აკუმულატორული სისტემის გამართვების ფარგლებში არსებული „არბ“ – ტიპის (BAP) ავტომატური რეგულირების ბლოკი, რომელიც მოქმედებს „ავტომატური“ და „ხელოვნური“ რეგულირების რეჟიმში. წინა პერიოდის დამუხტავ-მკვებავი მოწყობილობები, რომლებიც მუშაობდნენ ბუფერულ რეჟიმში შეცვალა მოდერნიზებულმა „არბ“ ტიპის ბლოკით დამონტაჟებულმა სტატივმა, რომელიც გამოირჩევა მაღალი საიმედოობით, რაც საგრძნობლად ამცირებს უწყისობების რაოდენობას, აიოლებს ტექნიკურ მომსახურებას და აკუმულატორული კომპლექტის ჩახსნის შემთხვევაში უზრუნველყოფს დატვირთვის ქვეშ მყოფ სარელეოს დამოუკიდებელი კვების სტაბილურ მდგომარეობას.

209. რ. მორჩილაძე, ჯ. მორჩილაძე, ვ. კობალეიშვილი. რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის თავისებურებანი თანამედროვე პირობებში. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #1 (53) 2022. 8 გვ. ISSN 1512-3537.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საქართველოს რკინიგზის მახარისხებელი სადგურის მუშაობის თავისებურებანი ტვირთნაკადის მოცულობათა ცვალებადობის პირობებში. სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის (ლოკომოტივები, ვაგონები) ეფექტიანი გამოყენების მიზნით განხილულია მათი მუშაობის პარამეტრები და ის მოთხოვნები, რომელთა გატარების შემთხვევაში გაუმჯობესდება ერთმაგი და ორმაგი სატვირთო ოპერაციები, დაჩქარდება ვაგონების ბრუნვა და შემცირდება უშედეგოდ გაწეული საექსპლუატაციო დანახარჯები.

210. N. Davitashvili, A. Sharvashidze, A. Talakvadze. Dynamics of the spherical slider-crank mechanism of a cone crusher drive. International Scientific Journal, PROBLEMS OF MECHANICS. № 4(89) / 2022. pp. 7-25. ISSN 1512-0740. Georgian IFToMM.

რეზიუმე: ნაშრომში მოცემულია სფერული ოთხრგოლა მრუდმხარა-ცოცია მექანიზმის კვლევა რგოლებში დრეკადობის გათვალისწინებით, რომელიც გამოიყენება ამძრავ მექანიზმად კონუსურ სამსხვრეველებში. განსაზღვრულია: რგოლის დრეკადი დეფორმაცია განაწილებული მასებით დიფერენციალური განტოლებების შედგენის გარეშე კერძო წარმოებულებში და სიხისტის დაყვანილი კოეფიციენტი, რომელიც ითვლება განზოგადოებული კოორდინატის არაწრფივ ფუნქციად და აქვს ცვალებადი მნიშვნელობა. მიღებულია ელექტროძრავის და სფერული ოთხრგოლას მოძრაობის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლებები. სფერული მრუდმხარა ცოცია მექანიზმის დინამიკური კვლევებით მიღებული შედეგები, შესაძლებელია გამოყენებული იქნას მათი სინთეზის დროს და კონუსური სამსხვრეველას ამძრავის კონსტრუირებისას.

211. მზია ბეგიაშვილი - ზოგიერთი მეტრული ამოცანის ამოხსნა პერსპექტივიში; სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“=4 (60), თბილისი 2021. ISSN1512-3936 ნ. მუმლაძე

მოკლე ანოტაცია: ნაშრომში განიხილება მოცემული განზომილების მქონე ბრტყელი ფიგურების აგება პერსპექტივში.

212. მზია ბეგიაშვილი - ინტერიერის აგება პერსპექტივში; სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“=2 (55), თბილისი 2020. ISSN1512-3936 ე. წვერავა ნ. მუმლაძე

მოკლე ანოტაცია: არქიტექტურული ფორმების პროექტირებისას მნიშვნელოვანია მოცემული ზომების მიხედვით ფიგურის ფორმის და სივრცეში მათი ურთიერთმდებარეობის გათვალისწინებით ინტერიერის აგება პერსპექტივში.

213. საცხოვრებელი სახლის კიბის უჯრედის ნახაზის შედგენა; სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“=2 (55), თბილისი 2020. ISSN1512-3936 ნ.ჯავახიშვილი თ. კოკია
სტატიაში განხილულია, სხვადასხვა ფორმის და ზომის კიბის უჯრედების ნახაზის შედგენის სამი ხერხი.

214. სამშენებლო არიტექტურულ საქმეში გამოყენებადი ზედაპირების ასახვა გრაფიკული პროგრამა AutoCAD-2019-ით; სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“=1 (50), თბილისი 2019. ISSN1512-3936 ე. წვერავა ნ. მუმლაძე თ. შუბითიძე

მოკლე ანოტაცია: სახურავის ზედაპირის ორთოგონალური გეგმილით მისი სივრცითი გამოსახულების აგება გრაფიკული პროგრამა AutoCAD 2019-ით.

215. ამოზნექილი ოთხკუთხედის თვისება; სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“=1 (50), თბილისი 2019. ISSN1512-3936 ნ. მუმლაძე თ. შუბითიძე

მოკლე ანოტაცია: კონგრუენტულობის, მსგავსების, ჰომოთეტიის გამოყენებით, გრაფიკული აგებით მიღებულია ოთხკუთხედის საინტერესო თვისება.

216. პოზიციური ამოცანების გადაწყვეტა კატალანის ზედაპირებზე; სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“=2 (49), თბილისი 2018. ISSN1512-3936 ნ. მუმლაძე თ. შუბითიძე

მოკლე ანოტაცია: ორთოგონალური დაგეგმილების მეთოდით განხილულია წრფოვანი ზედაპირები - კატალანის ზედაპირები და მასთან დაკავშირებული პოზიციური ამოცანები.

217. სიმონ ბიწაძე - One boundary problem for equation describing the hydraulic shock absorption during membrane magneto hydraulic pusher anchor's attraction to the core, 2018 , Tbilisi, "Transporti & manqanatmshenebloba", ISSN 1512-3537.

ანოტაცია: ნაშრომში დასმულია დირიხლეს სასაზღვრო ამოცანა მემბრანისანი მაგნიტურჰიდრაულიკური საბიძგებელას ღუზის გულართან მიზიდვისას ჰიდრაულიკური ამორტიზაციის აღმწერი განტოლებისათვის, რომლის ამოხსნის შედეგად დადგენილია გამოსაწნევი სითხის არეში რგოლის რადიუსის გასწვრივ წნევის განაწილება დროის მიხედვით. მისი ინტეგრებით რგოლულ მიდამოზე მიღებულია სითხის წინაღობა ღუზის გულართან მიახლოებისას, რომლის გამოსახულების გათვალისწინებითაც განსაზღვრულია მიზიდვისას ღუზის მოძრაობის დრო.

218. სიმონ ბიწაძე - Initial Cauchy problem for the class of equations describing electromagnetic oscillations in the magneto hydraulic pushers of different design, 2020, Tbilisi, "Transporti & manqanatmshenebloba", ISSN 1512-3537.

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია ჩვენ მიერ შემუშავებული სხვადასხვა კონსტრუქციის მაგნიტურჰიდრაულიკურ საბიძგებელაში არსებული ელექტრომაგნიტური რხევების აღმწერი კვაზიწრფივი ჰიპერბოლური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა კლასისთვის კომის

საწყისი ამოცანა. ზოგად ინტეგრალზე დაყრდნობით მიღებულია ამოცანის ამონახსნი და დადგენილია მისი გავრცელების არე.

219. სიმონ ბიწაძე - On the solution of the class of equations of electromagnetic oscillations in the magneto hydraulic pushers of different design, 2020, Tbilisi, "Transporti & manqanatmshenebloba", ISSN 1512-3537.

ანოტაცია: ნაშრომში ჩვენ მიერ შემუშავებული სხვადასხვა კონსტრუქციის მაგნიტურჰიდრაულიკურ საბიძგებელაში არსებული ელექტრომაგნიტური რხევების აღმწერი მეორე რიგის არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების კლასისთვის განტოლების პირველი და შუალედური ინტეგრალების გამოყენების საფუძველზე ჰიპერბოლურ ამონახსნთა კლასში ე.წ. მახასიათებელ ცვლადებში წარმოდგენილია ზოგადი ამონახსნი.

220. სიმონ ბიწაძე On the class of equations describing electromagnetic oscillation in the magneto hydraulic pushers of some design , Scientific-Technical Journal, 2020, Tbilisi, "Transporti & manqanatmshenebloba", ISSN 1512-3537.

ანოტაცია: ნაშრომში ჩვენ მიერ შემუშავებული სხვადასხვა კონსტრუქციის მაგნიტურ-ჰიდრაულიკურ საბიძგებელაში არსებული ელექტრომაგნიტური რხევების აღმწერ არაწრფივ მეორე რიგის კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა კლასისათვის მახასიათებელთა კლასიკური მეთოდის გამოყენებით ჰიპერბოლურ ამონახსნთა კლასში მიღებულია ოთხი პირველი და ორი შუალედური ინტეგრალი.

221. სიმონ ბიწაძე - Analysis of membrane magneto hydraulic pusher's rod down-stroke start delay and ways of its reduction, Scientific-Technical Journal, 2021, Tbilisi, "transporti & manqanatmshenebloba", ISSN 1512-3537.

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია ამწე-მანქანების ტვირთამწე მექანიზმების მუხრუჭებში ამძრავად გამოყენებული საბიძგებლების ჭოკის დაშვების დაწყების დაყოვნების დროის სიდიდის დამოკიდებულება სხვადასხვა ფაქტორებზე. მოცემულია სხვადასხვა კონსტრუქციის საბიძგებელას დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი. აღნიშნული დროის სიდიდის შემცირება მიღწეულია ჩვენს მიერ შემუშავებული მემბრანიანი მაგნიტურჰიდრაულიკური საბიძგებელას მეშვეობით.

222. სიმონ ბიწაძე - On the increasing the durability of magneto hydraulic pusher, 2021, Tbilisi, "Transporti & manqanatmshenebloba", ISSN 1512-3537.

ანოტაცია: მანქანა-მექანიზმების საიმედო მუშაობის, მწარმოებლობის და ხანგამძლეობის გაზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს მათში ამძრავად გამოყენებული საბიძგებლები. განხილულ მაგნიტურჰიდრაულიკურ საბიძგებელაში გამორიცხულია ჩართვისას მისი მწყობრიდან გამოსვლა ჭოკის აწევის შეუძლებლობით, რადგან მჰს-ს კონსტრუქცია უზრუნველყოფს ამ დროს ღუზა-დგუმის ელექტრომაგნიტის გულართან სრულ მიზიდვას, რაც გამორიცხავს ელმაგნიტის კოჭაში დენის გაზრდას, მის გადახურებას და გადაწვას. ამით იზრდება საბიძგებელას ხანგამძლეობა.

223. სიმონ ბიწაძე - On decreasing the time of membrane magneto hydraulic pusher's rod lifting, 2021, Tbilisi, "Transporti & manqanatmshenebloba", ISSN 1512-3537.

ანოტაცია: მანქანა-მექანიზმების საიმედო მუშაობის, მწარმოებლობისა და ხანგამძლეობის გაზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს მათში ამძრავად გამოყენებული საბიძგებელას ჭოკის აწევის დროის სიმცირე. საბიძგებლების ჭოკის აწევის დრო, თავის მხრივ, დამოკიდებულია როგორც საბიძგებელას ელექტრომაგნიტის ელექტრომაგნიტურ

მახასიათებლებზე, ისე იმ მექანიკურ თუ ჰიდრავლიკურ წინააღმდეგობებზე, რომლებიც განპირობებულია საბიძგებლების კონსტრუქციული თავისებურებებით. ერთ-ერთ მიზეზი ჰოკის აწევის დროის გაზრდისა არის ღუზასა და გულარს შორის არსებული მუშა სითხის გამოწნევის წინააღმდეგობის ძალა. შემოთავაზებულ მემბრანიან მაგნიტურჰიდრავლიკურ საბიძგებლებში აღნიშნული ძალა შემცირებულია იმ სიდიდემდე, რომ ვეღარ ახდენს გავლენას ჰოკის აწევის დროის სიდიდეზე. ამით მიღწეულია მკს-ს ჰოკის აწევის დროის სიდიდის შემცირება.

224. სიმონ ბიწაძე - Determination of the magneto hydraulic pusher's electromagnet armature-piston attraction time to the core using mathematical modeling, 2021, IJRST, ISSN 2349-6010.

ანოტაცია: ჩვენ მიერ შემუშავებულ არამემბრანიან მაგნიტურჰიდრავლიკურ საბიძგებლებში ელექტრომაგნიტის გულართან მიზიდვისას სითხის გამოწნევის ძალის გათვალისწინებით ღუზა-დგუმის მოძრაობის დროის განსაზღვრის მიზნით, მწკრივების გამოყენებით ამოხსნილია სასაზღვრო ამოცანა მკს-ში არსებულ ზეთში წნევის აღმწერი განტოლებისთვის. დადგენილია ზეთის წინააღმდეგობა, რის საფუძველზეც განსაზღვრულია ღუზა-დგუმის მოძრაობის დრო.

225. სიმონ ბიწაძე - Improvement of dynamic characteristics of the membrane magneto hydraulic pusher of lifting-and-shifting machine brake gear using mathematical modeling, 2022, Tbilisi, "Transporti & manqanatmshenebloba", ISSN 1512-3537.

ანოტაცია: ამწე-სატრანსპორტო მანქანების მუხრუჭების ამძრავის მემბრანიანი მაგნიტურ-ჰიდრავლიკური საბიძგებელასთვის ღუზის გულართან მიზიდვისას მათ შორის არსებული სითხის გამოწნევის წინააღმდეგობის ძალის აღმწერი განტოლებისთვის დასმული სასაზღვრო ამოცანის ამოხსნით დადგენილია სითხეში წნევის განაწილებისა და გულართან მიზიდვისას ღუზის გადაადგილების სიჩქარის ცვლილების ამსახველი ფორმულები, რომელთაგან გამომდინარე გაკეთებულია დასკვნა დინამიკური მახასიათებლების გასაუმჯობესებლად ღუზის გულარზე მიბჯენის ფართის შემცირების მიზანშეწონილობაზე. შემოთავაზებულია ახალი ორიგინალური კონსტრუქცია, რომელშიც რეალიზებულია დინამიკური მახასიათებლების გაუმჯობესება.

226. არსებული შენობა-ნაგებობების გადაადგილების ტექნოლოგიური გადაწყვეტა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0160 თბილისი, საქართველო);

რ. გოგალაძე, ი. ქვარაია

სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი - „მშენებლობა“; No 3(63), 2022 ISSN1512-3936; DOI:thhps://doi.org/10.36073/1512-3936

ანოტაცია: განხილულია არსებული შენობა-ნაგებობების გადაადგილების ანუ მათი ადგილმდებარეობის შეცვლის ამოცანის გადაჭრა, რომელიც წარმატებით გამოიყენება მსოფლიო სამშენებლო პრაქტიკაში. თანამედროვე ტექნიკური საშუალება, გამოყენებითი გეომეტრიის ჩართულობით მნიშვნელოვნად ამარტივებს ტექნოლოგიური პროცესების საბოლოო შედეგის მიღებას.

227. დაღმართის მაქსიმალური სიგრძის განსაზღვრა მატარებლის დამუხრუჭების პირობით (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0160 თბილისი, საქართველო);

რ. გოგალაძე, გ. კვანტალიანი, გ. ლუტიძე, ნ. არემიძე

სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი - „მშენებლობა“; No 3(63), 2022 ISSN1512-3936; DOI:thhps://doi.org/10.36073/1512-3936

ანოტაცია: გრძელ დაღმართებზე მატარებლის დამუხრუჭებისას მოსალოდნელია სამუხრუჭე ხუნდების გადახურება და საჭაერო მაგისტრალში წნევის დაცემა ნორმაზე დაბლა, რაც მოძრაობის უსაფრთხოების პირობით დაუშვებელია. სტატიაში წარმოდგენილია საინჟინრო

გეომეტრიის როლი დადმართის ოპტიმალური სიგრძის განსაზღვრისათვის შესაბამის ოპტიმალურ სიჩქარესთან კავშირში.

228. წყალნაჯერი ფუძის ჯდენისა და ზიდვის უნარის განსაზღვრა სტატიკური დატვირთვების ზემოქმედებისას (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0160 თბილისი, საქართველო); რ. გოგალაძე, გ. ლუტიძე, ნ. არეშიძე, გ. არეშიძე
სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი - „მშენებლობა“; No 3(63), 2022 ISSN1512-3936;
DOI: <https://doi.org/10.36073/1512-3936>

ანოტაცია: განხილულია როგორც სტატიკური დატვირთვების დროებითი ზემოქმედებით ასევე დინამიური დატვირთვების პირობებში გრუნტის ფენის დეფორმაციის განსაზღვრა ფუძის კუმშვადი ზონის შემადგენლობაში. ამოცანის გადაჭრა განიხილება იმ შემთხვევისათვის როდესაც ფუძე-გრუნტების წყლით გაჯერება იცვლება 0.8-1 დიაპაზონში. წრფივი და არაწრფივი მრუდის გეომეტრიული პარამეტრების კვლევა მეტად აქტუალურია რომელშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს გამოყენებითი გეომეტრია და საინჟინრო გრაფიკა.

229. ზ. მჭედლიშვილი ლ. ყორღანაშვილი მ. ლოსაბერიძე

ღერძ-სიმეტრიული მბრუნავი დისკოს არაწრფივი დამაბულ - დეფორმირებული მდგომარეობა.

მშენებლობა # 3 (52) 2019 წ. ISSN 1512-3936.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ნებისმიერ მანქანა დანადგარში გამოყენებული ღერძსიმეტრიული დეტალების სიმტკიცეზე ანგარიში, როდესაც მათი დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა არის არაწრფივი.

230. ზ. მჭედლიშვილი ლ. ყორღანაშვილი

ძვრაზე მომუშავე რგოლისებრი ფილის სექტორის მდგრადობის ამოცანა.

მშენებლობა # 2 (55) 2020წ. ISSN 1512-3936.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ნებისმიერ მანქანა დანადგარში გამოყენებული რგოლური ტიპის ფილის მდგრადობაზე ანგარიში

231. ზ. მჭედლიშვილი ლ. ყორღანაშვილი

მცირე სიხისტის მქონე ღეროს ღუნვა მასზე შეყურსული ძალების ზემოქმედებისას.

მშენებლობა # 3 (56) 2020 წ. ISSN 1512-3936.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ნებისმიერ მანქანა დანადგარში გამოყენებული რგოლისებრი მრუდწირული ღეროს სიმტკიცეზე ანგარიში მისი დიდი გადაადგილებების შემთხვევაში.

232. ზ. მჭედლიშვილი ლ. ყორღანაშვილი

წინასწარდამაბული გრეხაზე მომუშავე სტატიკურად ურკვევი კონსტრუქციის დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრა.

მშენებლობა # 4(57) 2020 წ. ISSN 1512-3936.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საამშენებლო კონსტრუქციებსა და სხვადასხვა მანქანების აგრეგატებში გამოყენებადი წინასწარდამაბული ერთმანეთზე მიერთებული გრეხაზე მომუშავე ლილვების სიმტკიცეზე ანგარიში.

233. ზ. მჭედლიშვილი ლ. ყორღანაშვილი - მრუდწირული ჩარჩოს სიმტკიცეზე ანგარიში
დრეკადობის ცენტრის მეთოდის გამოყენებით.

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საამშენებლო კონსტრუქციებისა სხვადასხვა მანქანები საგრეგატებში გამოყენება დიძალური ზემოქმედების ქვეშეყოფი რგოლის ებურიელიფტიკური

ფორმის შპანგოუტის სიმტკიცეზე ანგარიში დრეკადი ცენტრის მეთოდის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს მანქანებისა და კონსტრუქციების საამშენებლო მექანიკის ფუნდამენტალურ ამოცანას. მშენებლობა # 3 (59) 2021წ. ISSN 1512-3936

234. ნინო ნიკვაშვილი

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასაწყობე მეურნეობის შექმნაში; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2022წ; ISBN 978-9941-8-4775-2;

რეზიუმე: სატრანსპორტო გადაზიდვების ეფექტური დაგეგმვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასაწყობე მეურნეობების შექმნას ან არსებულის გამოყენებას. ტექნოლოგია საშუალებას იძლევა დაპროექტებისთვის ვისარგებლოთ არა ერთი, არამედ რამოდენიმე კომპიუტერული პროგრამით. მაგალითად AutoCAD, Civil 3D, Revit და ა.შ. სტატიაში განხილულია ამ მეთოდით შექმნილი (BIM) ინფორმაციული მოდელის მაგალითი, რომელიც დამკვეთს აძლევს თვალსაჩინო ინფორმაციას როგორც პროექტის ვიზუალურ მხარეზე, ასევე გამოყენებული მასალების და ხარჯების შესახებ.

235. ნინო ნოზაძე

გორგოლაჭიანი საბიძგებლით აღჭურვილი დამქუცმაცებელი მოწყობილობის შნეკიანი მუშტა მექანიზმის წნევის ძალვის განსაზღვრის საკითხისათვის.

გამოცემის თარიღი და გამომცემლობა:

სტუ-ის შრომები - Works of GTU-Труды ГТУ №4(510), 2018 ციფრული საიდენტიფიკაციო კოდი: ISSN 1512-0996 www.shromebi@gtu.ge UDC 531.8,621.8 SCOPUS CODE 2210

ანოტაცია: განხილულია დამქუცმაცებელი მოწყობილობა და შნეკში მოთავსებული მჭრელი დანის კონსტრუქცია, რომელიც მოძრაობას იწყებს მუშტას და გორგოლაჭიანი საბიძგებელას საშუალებით. დამატებითი, ორიგინალური მჭრელი იარაღი დაყენებულია ექსცენტრულად შნეკის გულში, რომელიც დაპროექტებულია სპეციალურ სამართულში. სამართულის ბოლოში დაყენებულია კუმშვის ზამბარა უძრავი მუშტების მოქმედებით უკუსვლითი მოძრაობის მისანიჭებლად. მუშტები წამოცმულია შნეკის ბოლოზე დაყრდნობილ მილტუჩზე; მუშტები მილტუჩზე დაყენებულია სამაგრი მოწყობილობის მეშვეობით, რომლებიც არეგულირებენ მათ აუცილებელ საკოორდინატო ფიქსაციას; განიხილება შნეკური მოწყობილობის სპეციალური კონსტრუქციის საკითხი პროდუქტის დამქუცმაცებელი წრიული სიჩქარის გაზრდის მიზნით. პროდუქტის დაქუცმაცების პროცესის დროს წარმოიშობა შნეკზე დამატებითი ძალვა, რაც გამოწვეულია მუშტა მექანიზმისა და მჭრელი დანის მოქმედებით. განხილულია კავშირი მუშტას დაწოლის კუთხესა და საბიძგებელას გორგოლაჭს შორის. იმისათვის, რომ არ მოხდეს საბიძგებელას თვითდამუხრუჭება, შერჩეულია დაწოლის ოპტიმალური კუთხე, განხილულია საბიძგებელას და მუშტას სიხისტეთა გავლენა დინამიკურ პროცესზე. დიფერენციალური განტოლებების გამოყენებით განსაზღვრულია შნეკზე მოქმედი ღერძული ძალა.

236. ნინო ნოზაძე - მარცვლეულის ასაღები მანქანების ტექნიკური გადაიარაღება მოსავლის აღებისას დანაკარგების შემცირების მიზნით.

სამეცნიერო - პრაქტიკული და თეორიული ჟურნალი: Научно-практический и теоретический журнал «Экономика и управление народным хозяйством» №6(8), სანკტ პეტერბურგი 2019
ISSN 2415-833X

ანოტაცია: სტატიაში შემოთავაზებულია თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისათვის განკუთვნილი კომბაინის პლანეტერული რედუქტური არამრგვალი ცილინდრული კბილანებით, რომელიც უზრუნველყოფს ნორმალური, საშუალო და სრული ჩაწოლის ღეროების აწევას და მჭრელ ელემენტამდე მიწოდებას, ასევე ტარაბუსის მუშაობის დროს თავთავიდან მარცვლების გამოლეწვის შემცირებას. შემოთავაზებული ტექნიკური გადაიარაღება გამოიწვევს

მოსავლის ალების პროცესში დანაკარგების საგრძნობლად შემცირებას და მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს.

237. ნინო ნოზაძე - არამრგვალი კბილანების ცენტროიდის აგების საკითხი შნეკის არაწრფივი მოძრაობისას. სტუ-ის შრომები - Works of GTU-Труды ГТУ - № 2 (516) 2020 წელი
ISSN 1512-0996 www.shromebi@gtu.ge - UDC 23.2 SCOPUS CODE 2210

ანოტაცია. არამრგვალი კბილანების გამოყენებას ეძღვნება მრავალი მეცნიერის ნაშრომი, რომლებმაც შეიტანეს წვლილი მათ გავრცელებაში როგორც კონსტრუქციული, ისე ტექნოლოგიური სრულყოფით. გერმანული ფირმა KOEPFEER “EMAG”-ი, რომელიც სპეციალიზებულია მრგვალი და არამრგვალი კბილანების გამოშვებაში, თვლის, რომ ბოლო წლებში გავრცელებული არამრგვალი კბილანების დამზადება ელექტროეროზიული ტექნოლოგიით, საკმაოდ ძვირი პროცესია. მინიშნებულია, რომ ტრადიციულად მრგვალი კბილანის გამოყენება არ არის ოპტიმალური ვარიანტი არაწრფივი მოძრაობის დროს, როდესაც საჭიროა ზუსტი ტექნოლოგიური მოქმედება, რაც უფრო მნიშვნელოვანია, არამრგვალი კბილანებით შესაძლებელია ზუსტად ვაწარმოოთ მუდმივად განმეორებადი არათანაბარი მოძრაობა და პროცესი მიმდინარეობდეს ვიზრაციის გარეშე.

238. ნინო ნოზაძე - საკვების დამაქუცმაცებელი მოწყობილობის მუშტა მექანიზმის დინამიური შესწავლის საკითხისათვის.
ISBN-979-8-8889-533-7 - DOI -10.46299/ISC.2023.1.7

ანოტაცია: სტატიაში განხილულია საკვები პროდუქტების დამაქუცმაცებელ მოწყობილობაში ჩამენებული მუშტა მექანიზმი საფქვავის ღრუში შესატანად, რათა გაიზარდოს პროდუქტიულობა ერგონომიული სამუშაო პირობების შექმნით [1]. მექანიზმის კონსტრუქციაში გვერდითი წნევა წარმოიქმნება გორგოლაჭებიან საბიძგელაზე. ოპტიმალური დიზაინისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტის მოსაძებნად, გათვლები გაკეთდა მუშტა მექანიზმის მოძრაობის კანონის გათვალისწინებით; გორგოლაჭის პარაბოლური მოძრაობისთვის მისაღება მარტივი ჰარმონიული კანონი, სადაც ინერციის ძალები დიდია მოძრაობის დასაწყისში და მცირდება შემდგომი მუშაობისას [2]; განიხილება დინამიური პროცესები მოწყობილობის მუშაობის დროს.

239. ნინო ნოზაძე - სტატია ზედაპირის იმპორტირება Google Earth-დან AutoCAD Civil 3d-ში 2019 ჟურნალი ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა N 1 (44) ISSN 1512-3537

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ზედაპირის ციფრული მოდელის მიღების მეთოდი Google Earth-ის დახმარებით. შემოთავაზებულია შესაძლებლობა, პროექტზე მუშაობის დროს, იმ შემთხვევაში თუ არ გვაქვს საპროექტო ზედაპირის ციფრული მოდელი გამოვიყენოთ Google Earth-ი და მისი დახმარებით მოვახდინოთ სასურველი ადგილმდებარეობის მონიშვნა და მისი Kmz გაფართოებით ფაილად შენახვა.

240. ნინო ნოზაძე - სტატია კოპიტნარი – მესტიის ვიწროლიანდიანი რკინიგზის მშენებლობის შესაძლებლობის დასაბუთების შესახებ 2021 “მშენებლობა”, თბილისი. 2021, #2(58). –გვ.117-121.
ISSN 1512-3936 www.sheneba.ge

ანოტაცია: სტატიაში წარმოდგენილია საინჟინრო გადაწყვეტა სვანეთის წლის განმავლობაში უწყვეტი სატრანსპორტო უზრუნველყოფის შესახებ კოპიტნარი-მესტიის უბანზე ვიწროლიანდიანი რკინიგზის გამოყენებით. დასაბუთებულია აღნიშნული მიმართულებით წლის ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში გადაადგილებისათვის სატრანსპორტო საშუალებად ვიწროლიანდიანი რკინიგზის გამოყენების უპირატესობა, მშენებლობის შესაძლებლობა. სტატიაში მოტანილია კოპიტნარი-მესტიის უბანზე ჩატარებული წინასაპროექტო სტადიაზე მიღებული შედეგები და აღნიშნული რკინიგზის მშენებლობის

გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განსაზღვრულია მომავალი პროექტის კრიტერიუმები ეფექტიანი ტრასის ჩამოყალიბების მიზნით.

241. ნინო ნოზაძე - სტატია Determining The Intersection Circumference Of Second-Order Surfaces By Graphic And Analytical Methods 2021 საერთაშორისო კონფერენცია „Topical Tendencies Of Science And Practice” Edmonton, Canada.

ანოტაცია: თანამედროვე ეტაპზე გეომეტრიული ხასიათის ამოცანების ამოხსნა ხდება გრაფიკული ან ანალიზური მეთოდებითა და ასევე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. გეომეტრიაში გეომეტრიული ფიგურები მოცემულია გრაფიკულად. ამიტომ მიზანშეწონილია ზედაპირი განხილულ იქნას, როგორც რაიმე წირის სივრცეში თანამიმდევრული გარკვეული კანონით გადაადგილების შედეგი. გრაფიკული მეთოდი ხასიათდება სიმარტივითა და თვალსაჩინოებით, მაგრამ შედეგს ვლელობთ ნაკლები სიზუსტით, თუმცა საინჟინრო ამოცანების გადასაწყვეტად სავსებით მისაღებია.

242. სტატია Analysis And Synthesis Of High-Class Planar And Spatial (Spherical) Lever Mechanism By Autodesk Software 2022 საერთაშორისო კონფერენცია „The Latest Problems Of Modern Science And Practice” BOSTON, USA

ანოტაცია: შემოთავაზებული მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა ყველა მოდიფიკაციის ბრტყელი და სფერული მექანიზმების კინემატიკური ანალიზისა და სინთეზის ამოცანების ამოხსნა ჩატარდეს ერთნაირი მიდგომის საფუძველზე, ამასთან თითოეული ამოცანის ამოხსნა მარტივდება. მექანიზმების კვლევის შედეგად მიღებული ფუნქციონალური დამოკიდებულებები საშუალებას იძლევიან დავსვათ საკითხი მთელი პროცესის ოპტიმიზაციის შესახებ. წარმოდგენილი მეთოდის გამოყენება შესაძლებელია მეცნიერებისა და მანქანათმშენებლობის ნებისმიერ სფეროში ჩვენს მიერ მიღებული კვლევების შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და მასალის ათვისებისათვის, რამეთუ იგი ეფუძნება თანამედროვე, მარტივ, თვალსაჩინო და პრაქტიკულ მეთოდებს. ამასთან დასმული ამოცანების გადაწყვეტა ხდება ინჟინერ-კონსტრუქტორებისათვის ცნობილი ანალიზური გეომეტრიის ძირითადი დებულებების გამოყენებით. დამუშავებულია მათემატიკური მოდელი, ბრტყელი და სივრცითი მექანიკური სისტემების სტრუქტურის, კინემატიკური ანალიზისა და სინთეზის პრობლემების გადასაწყვეტად.

243. ნინო ნოზაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასაწყობე მეურნეობის შექმნაში;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2022წ; - ISBN 978-9941-8-4775-2;

ანოტაცია: სატრანსპორტო გადაზიდვების ეფექტური დაგეგმვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასაწყობე მეურნეობების შექმნას ან არსებულის გამოყენებას. ტექნოლოგია საშუალებას იძლევა დაპროექტებისთვის ვისარგებლოთ არა ერთი, არამედ რამოდენიმე კომპიუტერული პროგრამით. მაგალითად AutoCAD, Civil 3D, Revit და ა.შ. სტატიაში განხილულია ამ მეთოდით შექმნილი (BIM) ინფორმაციული მოდელის მაგალითი, რომელიც დამკვეთს აძლევს თვალსაჩინო ინფორმაციას როგორც პროექტის ვიზუალურ მხარეზე, ასევე გამოყენებული მასალების და ხარჯების შესახებ.

244. თენგიზ ჩხაიძე - გორგოლაჭიანი საბიძგებლით აღჭურვილი დამქუცმაცებელი მოწყობილობის შნეკიანი მუშტა მექანიზმის წნევის ძალვის განსაზღვრის საკითხისათვის.

სტუ-ის შრომები - Works of GTU-Труды ГТУ - №4(510), 2018

ISSN 1512-0996 www.shromebi@gtu.ge - UDC 531.8,621.8 SCOPUS CODE 2210

ანოტაცია: განხილულია დამქუცმაცებელი მოწყობილობა და შნეკში მოთავსებული მჭრელი დანის კონსტრუქცია, რომელიც მოძრაობას იწყებს მუშტას და გორგოლაჭიანი საბიძგებელას

საშუალებით. დამატებითი, ორიგინალური მჭრელი იარაღი დაყენებულია ექსცენტრულად შნეკის გულში, რომელიც დაპროექტებულია სპეციალურ სამართულში. სამართულის ბოლოში დაყენებულია კუმშვის ზამბარა უძრავი მუშტების მოქმედებით უკუსვლითი მოძრაობის მისანიჭებლად. მუშტები წამოცმულია შნეკის ბოლოზე დაყრდნობილ მილტუჩზე; მუშტები მილტუჩზე დაყენებულია სამაგრი მოწყობილობის მეშვეობით, რომლებიც არეგულირებენ მათ აუცილებელ საკოორდინატო ფიქსაციას; განიხილება შნეკური მოწყობილობის სპეციალური კონსტრუქციის საკითხი პროდუქტის დამქუცმაცებელი წრიული სიჩქარის გაზრდის მიზნით. პროდუქტის დამქუცმაცების პროცესის დროს წარმოიშობა შნეკზე დამატებითი ძალვა, რაც გამოწვეულია მუშტა მექანიზმისა და მჭრელი დანის მოქმედებით. განხილულია კავშირი მუშტას დაწოლის კუთხესა და საბიძგებელას გორგოლაჭს შორის. იმისათვის, რომ არ მოხდეს საბიძგებელას თვითდამუხრუჭება, შერჩეულია დაწოლის ოპტიმალური კუთხე, განხილულია საბიძგებელას და მუშტას სიხისტეთა გავლენა დინამიკურ პროცესზე. დიფერენციალური განტოლებების გამოყენებით განსაზღვრულია შნეკზე მოქმედი ღერძული ძალა.

245. თენგიზ ჩხაიძე სათაური: არამრგვალი კბილანების ცენტროიდის აგების საკითხი შნეკის არაწრფივი მოძრაობისას.

სტუ-ის შრომები - Works of GTU-Труды ГТУ № 2 (516) 2020 წელი - ISSN 1512-0996 www.shromebi@gtu.ge - UDC 23.2 SCOPUS CODE 2210

ანოტაცია. არამრგვალი კბილანების გამოყენებას ეძღვნება მრავალი მეცნიერის ნაშრომი, რომლებმაც შეიტანეს წვლილი მათ გავრცელებაში როგორც კონსტრუქციული, ისე ტექნოლოგიური სრულყოფით. გერმანული ფირმა KOEPFEER “EMAG“-ი, რომელიც სპეციალიზებულია მრგვალი და არამრგვალი კბილანების გამოშვებაში, თვლის, რომ ბოლო წლებში გავრცელებული არამრგვალი კბილანების დამზადება ელექტროეროზიული ტექნოლოგიით, საკმაოდ ძვირი პროცესია. მინიშნებულია, რომ ტრადიციულად მრგვალი კბილანის გამოყენება არ არის ოპტიმალური ვარიანტი არაწრფივი მოძრაობის დროს, როდესაც საჭიროა ზუსტი ტექნოლოგიური მოქმედება, რაც უფრო მნიშვნელოვანია, არამრგვალი კბილანებით შესაძლებელია ზუსტად ვაწარმოოთ მუდმივად განმეორებადი არათანაბარი მოძრაობა და პროცესი მიმდინარეობდეს ვიბრაციის გარეშე.

246. თენგიზ ჩხაიძე - სათაური: ვიბრაციის გავლენა პორტალური და კომპურა ამწის ისრის მოსაბრუნებელი მექანიზმის საექსპლოატაციო საიმედოობის საკითხისადმი.

სტუ-ის შრომები - Works of GTU-Труды ГТУ - № 3 (521) 2021 წელი
ISSN 1512-0996 www.shromebi@gtu.ge - UDC 621.891.621.6212.822 - SCOPUS CODE 2201

ანოტაცია. განიხილება პორტალური და კომპურა ამწის მოსაბრუნებელი მექანიზმის ვიბრაციის გავლენა საექსპლოატაციო საიმედოობაზე კონსტრუქციის კინემატიკური ჯაჭვის კბილანური გადაცემის შიგა მოდების გავლენა საერთო ამძრავზე, მათ შორის გორვის უსეპარატორო გორგოლაჭიანი ცილინდრულ საკისრის გავლენა ექსპლოატაციის დროს დინამიკური დატვირთვის წარმოქმნა. შეთავაზებულია ტექნოლოგიური და კონსტრუქციული გადაწყვეტილება მოსაბრუნებელი მექანიზმის სრულყოფის, ნომინალური ტვირთამწეობის მისაღწევად ორიგინალური უსეპარატორო კონუსურგორგოლაჭებიანი გორვის საკისრის გამოყენება.

247. თენგიზ ჩხაიძე - საკვების დამაქუცმაცებელი მოწყობილობის მუშტა მექანიზმის დინამიური შესწავლის საკითხისათვის. APPLICATION OF KNOWLEDGE FOR THE DEVELOPMENT OF SCIENCE -Proceedings of the VII International Scientific and Practical Conference Stockholm, Sweden, February 21-24, 2023

ISBN-979-8-8889-533-7 - DOI -10.46299/ISC.2023.1.7

ანოტაცია: სტატიაში განხილულია საკვები პროდუქტების დამაქუცმაცებელ მოწყობილობაში ჩაშენებული მუშტა მექანიზმი საფქვავის ღრუში შესატანად, რათა გაიზარდოს პროდუქტიულობა ერგონომიული სამუშაო პირობების შექმნით [1]. მექანიზმის კონსტრუქციაში გვერდითი წნევა წარმოიქმნება გორგოლაჭებიან საბიძგელაზე. ოპტიმალური დიზაინისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტის მოსაძებნად, გათვლები გაკეთდა მუშტა მექანიზმის მოძრაობის კანონის გათვალისწინებით; გორგოლაჭის პარაბოლური მოძრაობისთვის მისაღებია მარტივი ჰარმონიული კანონი, სადაც ინერციის ძალები დიდია მოძრაობის დასაწყისში და მცირდება შემდგომი მუშაობისას [2]; განიხილება დინამიური პროცესები მოწყობილობის მუშაობის დროს.

248. გიორგი ხატიაშვილი - (სტატია ამერიკულ სამეცნიერო შრომითი კრებულის ჟურნალში)
SUBJECT: "CUTTING DEVICE FOR DECREASING ECONOMIC EXPENSES",

ISBN 978-1-73981-126-6- MODERN DIRECTIONS OF SCIENTIFIC RESEARCH DEVELOPMENT,
CHICAGO ,USA, 24-26 NOVEMBER 2021, P (189-192)

ანოტაცია:სტატიაში აღწერილია არალითონური მასალების დასტის ჭრის მოწყობილობა, რომლის ტექნიკური შედეგია კონსტრუქციის გამარტივება, ექსპლუატაციასა და მომსახურებაზე დანახარჯების შემცირება და დანის სპეციფიკური(დახრილ-მრუდწირული) მოძრაობის ფართო დიაპაზონში რეგულირების შესაძლებლობა

249. გიორგი ხატიაშვილი სტატიის სათაური: "კინემატიკური წყვილების მოდელირება 3D გრაფიკული რედაქტორებით"

გამოქვეყნების თარიღი 14.11.2022 წ. გვ.201-208 - ტომ. 4 No. 5 (2022) სტატია ჟურნალში „ქართველი მეცნიერები“ DOI: <https://doi.org/10.52340/g.s.2022.04.05.21> - E-ISSN: 2667-9760

ანოტაცია: სტატიაში წარმოდგენილია ჩვენს მიერ კონსტრუირებული მექანიზმი, რომელიც პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული კინემატიკური წყვილებისაგან შედგება და ფურცლის ავტომატურ მობრუნებას უზრუნველყოფს. ნაშრომში ნაჩვენებია კინემატიკური წყვილების აგების თანმიმდევრობა, სამ განზომილებიანი გრაფიკული რედაქტორის მეშვეობით. წარმოდგენილი აგების შემდეგ შექმნილია ანიმაციური კადრები და აღწერილია პროცესი, რომელიც ჩვენს მიერ კონსტრუირებული კინემატიკური წყვილების მოძრაობებს უზრუნველყოფს. მოდელირებული მექანიზმის უპირატესობაა მარტივი შეთანხმებული მოძრაობით ფურცლის ნებისმიერი კუთხით მობრუნების შესაძლებლობა.

250. ნ. ჯავახიშვილი, თ. ბარამაშვილი;

„გეომეტრიული ამოცანები“;

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, №2(42)2018 წ.; - ISSN 1512-3537;

რეზიუმე: მოცემულ ნაშრომში განხილულია გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა. კერძოდ, განხილულია ეილერის წრფე და ეილერის წრე. ამოცანების გადაწყვეტა ხდება გეომეტრიული გარდაქმნის ჰომოტეტიის საშუალებით, რაც ხშირ შემთხვევაში ამარტივებს და თვალსაჩინოს ხდის მათ ამოხსნას. მათემატიკური ამოცანების ამოხსნა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს როგორც სტუდენტებში, ასევე მათში ვისაც უყვარს მათემატიკა.

251. ნ. ჯავახიშვილი, თ. ბარამაშვილი;

„წესიერი მრავალკუთხედების გამოხაზვის გრაფიკული მეთოდები“;

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, №1(44)2019 წ.; - ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია მრავალკუთხედების (8 კუთხედი, 12 კუთხედი, 16 კუთხედის) აგების ხერხები. ამოცანის ამოხსნა მოწოდებულია, როგორც გრაფიკული მეთოდით, ასევე კომპიუტერული პროგრამა Auto CAD-ის გამოყენებით. გრაფიკული ხერხი - როდესაც

მრავალკუთხედი მიიღება გრაფიკული აგებების და გეომეტრიული გაანგარიშების საფუძველზე. კომპიუტერული ხერხი - როდესაც წინასწარ განსაზღვრული გვერდის სიდიდის მიხედვით, ბრძანება Polygon-ის საშუალებით ვლებულობთ წრეში ჩახაზულ წესიერ n კუთხედს.

252. ნ. ჯავახიშვილი, თ. ბარამაშვილი;

„Corel DRAW - გრაფიკული დიზაინის პროგრამული უზრუნველყოფა (რასტრული სურათები, ვექტორული სურათები, ფერადი გამოსახულებები)“;

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, №2(45)2019 წ.; - ISSN 1512-3537;

რეზიუმე: მოცემულ ნაშრომში განხილულია გრაფიკული პაკეტი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ინსტუმენტებს ვექტორულ და რასტრულ გრაფიკაში მუშაობისათვის. ეს მრავალწახნაგოვანი გრაფიკული ამოხსნა გვთავაზობს ძლიერი ინსტრუმენტების სრულ სპექტრს ვექტორულ ილუსტრაციებთან და გვერდების მაკეტებთან სამუშაოდ. რასტრული და ვექტორული გამოსახულებებისათვის განკუთვნილი ეფექტები უზრუნველყოფენ მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს ორიგინალური ილუსტრაციების, აბრების და ბეჭდვითი ლოგოტიპების ინტერნეტში პუბლიკაციებისათვის.

253. ნ. ჯავახიშვილი, თ. ბარამაშვილი;

„გრაფიკული ფაილების ფორმატების სახეობანი და მათში გამოსახულებების შენახვა“;

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, №2(45)2019 წ.; - ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია Corel DRAW პაკეტის მუშაობის ძირითადი პრინციპები: ობიექტის შექმნა, რედაქტირება და სათანადო ადგილზე განთავსება. სურათების და ილუსტრაციების შექმნა და მათი Web-გვერდად გენერირება შემდგომ ინტერნეტში განთავსებით. ნაშრომში აღწერილია, თუ როგორ ხდება ციფრული ინფორმაციის შენახვა გრაფიკული ფაილების ფორმატებში. გრაფიკული ფორმატების მრავალსახეობიდან განხილულია ფართოდ გავრცელებული სახეობები.

254. ნ. ჯავახიშვილი, თ. ბარამაშვილი;

„CorelDRAW-ს ფერები და ფერთა მოდელების ურთიერთდამოკიდებულება“;

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, №3(49)2020 წ.; - ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია კომპიუტერზე ფერის მიღების საშუალებები. მოცემულია ფერების დახასიათება, ფერთა მოდელები, რომლებიც ყველა ფერს ციფრული კოორდინატებით წარმოადგენენ. ეს მოდელები გამოიყენება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოსახულების პიქსელების ფერის ციფრული მნიშვნელობის ჩასაწერად. ნაშრომში აღწერილია ფერის ციფრული მაჩვენებლის ჩაწერის ფერთა რეჟიმები, ფერის ჩაწერის მარტივი ვარიანტები დიდი ზომის ფაილების შემცირების მიზნით. მოცემულია გამოსახულების მოდელის შეცვლის შესაძლებლობები და საბოლოო რედაქტირება.

255. ნ. ჯავახიშვილი, თ. ბარამაშვილი;

„ობიექტების შეუღლების მაგალითები AutoCAD კომპიუტერული სისტემის გამოყენებით“;

გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, №3(52)2021 წ.; - ISSN 1512-3537;

რეზიუმე: AutoCAD-ი იძლევა საშუალებას დეტალების ნახაზების შედგენისათვის, ნახაზების გამოყენების წაკითხვის უნარებს, გვეხმარება შემოქმედებითი და შემეცნებითი ამოცანების ამოხსნაში. ავითარებს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს. AutoCAD საჭიროა 2D და 3D გამოსახულებიანი ნახაზების შესრულებისათვის, როგორც ბრტყელი, ასევე სივრცითი

ობიექტების მისაღებად. სტატიაში განხილულია საკმაოდ საინტერესო თემა: შუალედების მაგალითები AutoCAD პროგრამის გამოყენებით. ობიექტების შეუღლების ალგორითმია: 1. ვიპოვოთ შეუღლების ცენტრი; 2. ვიპოვოთ შეუღლების წერტილები, რომლებიც შეუღლების რკალი გადადის შესაუღლებელ წრფეებში. 3. ავაგოთ შეუღლების რკალები, ე.ი. შევავროთ შეუღლების წერტილები მოცემული შეუღლების რადიუსით. განხილულია შეუღლების ძირითადი სახეები: კუთხეების სწორი ხაზების, წრეწირების და რკალების და წრეწირების წრფესთან შეუღლების მაგალითები.

256. ნ. ჯავახიშვილი, თ. ბარამაშვილი;

„მოცემული ფუნქციის აღმსრულებელი ოთხრგოლა სფერული მექანიზმის კვლევა“;

გამომცემლობა „ტრანსპორტი & მანქანათმშენებლობა“, ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, №2(54)2022 წ.; - ISSN 1512-3537;

რეზიუმე: სტატიაში განხილულია წინასწარ განსაზღვრული ფუნქციის აღმსრულებელი ოთხრგოლა სფერული მექანიზმის კვლევის საკითხები, რომლის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სფერული მექანიზმის ბრტყელი მოდელის შექმნა და მისი ეფექტური გამოყენება შემდეგი შესწავლისათვის. ინვერსიული გარდაქმნის მეთოდების გამოყენება აღნიშნული ამოცანების შესრულების პროცესში, კერძოდ, კი სფერული მექანიზმების ბრტყელი მოდელების შექმნაში, სფერული მექანიზმების კინემატიკური ანალიზის და სინთეზის შრომატევადი სამუშაოს გამარტივების საშუალებას იძლევა.